კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

თებეა გოგისვანიძე

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

დისერტაცია

ქალის უფლებათა დაცვის მდგომარეობა საქართველოში

(ისტორიულ-გენეტიკური ანალიზი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი : **მარინა მესხი,** სამართლის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

თბილისი, საქართველო, 2024 წელი

განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო ნაშრომის სტანდარტის შესაბამისად.

თებეა გოგისვანიძე

თარიღი : 02/02/2024

ანოტაცია

დღეს, არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში, ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში ქალის უფლებების დაცვა კვლავ რჩება უდიდეს გამოწვევად. ქალის უფლებების დარღვევის შემთხვევები არც თუ ისე იშვიათია. იგი ილახება თითქმის ყველა სფეროში - შრომით, საოჯახო თუ ყოველდღიურ ურთიერთობებში.

ქალს ხშირად უწევს აიტანოს სხვადასხვაგვარი ძალადობა, შევიწროება და დისკრიმინაცია. პრობლემას წარმოადგენს სტერეოტიპული მიდგომები. იქნება ეს ადრეული ქორწინება, სხვადასხვა მკაცრი რელიგიური დოგმები, აკრძალვები თუ სხვა. მსგავსი დამოკიდებულება ხელს უშლის თანასწორობის პრინციპის განხორციელებას და ქალს მამაკაცთან არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის როლი მეტად მნიშვნელოვანია გენდერული ბალანსის მიღწევისა და დაცვის საქმეში. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზირებულია ის საკანონდებლო ხარვეზები, რომელებიც დღეს არსებობს საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის კუთხით. ამ საკითხთან დაკავშირებით, რესპოდენტთა ინტერვიუირებამ წინამდებარე ნაშრომში საკითხების უკეთ შესწავლა გახადა შესაძლებელი.

ნაშრომში საფუძვლიანად არის განხილული სავალდებულო გენდერული კვოტირების თემა და ქალთა საარჩევნო უფლებების ისტორია საქართველოში. არსებული სიტუაციის უკეთ შესწავლის მიზნით, ასევე გამოყენებულია ინტერვიუირების მეთოდი, შესაბამისი დარგის სპეციალისტთან. ვიღებთ თუ არა ახლა იმ შედეგს, რაც კანონმდებელმა გათვალა, როდესაც შესაბამისი ცვლილებები შეიტანა საარჩევნო კოდექსში და რა თვალთახედვა და პერსპექტივაა ამ კუთხით მომავალში; რამდენად პასუხობს სავალდებულო გენდერული კვოტირების

საკანონმდებლო ჩარჩო სხვა ქვეყნების გამოცდილებას; რა შედეგი მიიღო ქვეყნებმა, რომლებმაც საქართველოსთან შედარებით გაცილებით ადრე დაიწყო სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმის ამოქმედება; კვოტირების რომელი მოდელი აღმოჩნდა ყველაზე ეფექტური და რატომ?

წინამდებარე ნაშრომი ისტორიული, სოციალური და სამოქალაქო უფლებების ანალიზია. ის თუ რა რეალური დილემის წინაშე დგას დღეს ქალი, როგორც სამოქალაქო უფლებათა სუბიექტი.

Annotation

Protection of women's rights and the promotion of gender equality in Georgia are encountering new challenges, highlighting the ongoing need for encouragement and raising awareness. The development of women's rights in the country holds significant potential for strengthening the nation, fostering successful and empowered women, eliminating oppression, providing quality education, ending domestic violence, and ensuring equal development opportunities. Gender equality stands as a fundamental characteristic of a harmonious society built upon principles of social justice, where men and women have equal access to resources and opportunities in all spheres of life, including politics, economy, social affairs, culture, and more.

Gender equality should not be misconstrued as advocating for sameness, but rather recognizes that individuals possess diverse values and aspirations, with their interests deserving equal consideration, rights, and opportunities. International human rights law emphasizes that human rights and freedoms are applicable to all individuals, regardless of gender, race, culture, religion, or development level. Women should enjoy equal rights, along with equal opportunities, and benefit from the recognized principles of basic human rights and freedoms. Historical experiences and European examples have demonstrated that greater pressure on electoral legislation and public engagement, along with active propaganda and information campaigns, yield more favorable outcomes. Women’s rights encompass the rights of females of all ages and demand steadfast protection. This thesis aims to explore the foundational nature of the right to vote, its significance, and the struggles endured by women to attain it, while examining our country's historical experience in this realm. The term gender equality is often misinterpreted. It does not simply mean that men and women are the same.

On the contrary, a democratic, pluralistic society recognizes that people in general have different values and goals. Nevertheless, their interests should be equally considered. They should enjoy equal rights and opportunities. Both men and women should have the same responsibilities and obligations.

According to international human rights law, human rights and freedoms apply equally to all people, regardless of gender, race, cultural characteristics, religious principles or level of development. Accordingly, women should equally benefit from recognized principles of basic human rights and freedoms. Along with equal rights, women should have equal opportunities.

As historical experience and examples of European countries show, the more pressure there is on the electoral legislation and public life in this regard, the more propaganda and information campaign is active, the more favorable the result.

Specifically, women's rights are related to the rights of females of all ages and their unwavering protection. One of the essential features of a harmonious society based on the principles of social justice is gender equality.

In this thesis, I will talk about the fundamental nature of the right to vote, its importance and the struggles endured by women to achieve it. What was the historical experience of our country in this field?

Gender quotas play a significant role in promoting female candidates, who are often distinguished by their ideological stability, party loyalty, excellent negotiation skills, and diplomatic approaches. Increasing women's representation in legislative bodies not only enhances the protection of women's and children's rights but also contributes to the development of robust legislation in areas such as education, healthcare, and environmental protection, as women possess deep understanding and familiarity with these needs. Furthermore, global experiences highlight the positive impact of greater female political representation in

peacekeeping and conflict resolution efforts, which is particularly relevant given our country's geopolitical situation. It is worth noting that after acquiring the passive right to vote, efforts were made to encourage and implement active participation, enabling women to engage in the activities of representative bodies and hold positions of power, make important decisions, and assume active leadership roles. Historically, many states have implemented measures to stimulate active voting rights, and statistics demonstrate its effectiveness.

The increase of women's representation in the legislative body and not only, in addition to better protection of women's and children's rights, contributes to the development of better legislation in the country in the direction of education, health care and environmental protection, since precisely women know better and are familiar with the needs of this area.

World experience also clearly shows the positive side of high representation of women in politics in the field of peacekeeping and conflict resolution. This is also very important considering the geopolitical situation of our country.

It is interesting that after gaining the passive right to vote, it became necessary to encourage and implement the active vote: certain measures were implemented that allowed women to participate in the activities of the representative body. It became necessary for women to be in positions of power, to make important decisions and occupy active managerial positions. Historically, many states stimulated the right of active voting. Statistics shows that it works.

სარჩევი

შესავალი 10

თავი I. ქალთა უფლებების განვითარების ისტორიული 16

1.1. ქალის უფლებებისათვის ბრძოლის დასაწყისი.....18

1.2.ფუნდამენტური უფლებებისათვის ბრძოლიდან- მეორე სქესამდე, რა მივიღეთ დღეს?.....27

1.3 საქართველოში ქალთა უფლებების ისტორიული განვითარება.....30

1.3.1. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და ქალთა უფლებები.....30

1.3.2. საბჭოთა საქართველო და ქალთა უფლებები…….....34

თავი II. ქალთა უფლებების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები 39

2.1. ქალის უფლებების დაცვა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.....45

2.2. ქალის უფლებათა დაცვა უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტებით….....55

2.2.1 ქალთა უფლებათა დაცვის გაეროს უნივერსალური სისტემა …….....55

2.2.2 ქალთა უფლებათა დაცვის რეგიონალური სისტემა …….....62

2.2.3 გენდერული თანასწორობა და სასამართლო პრაქტიკა.....67

თავი III. გენდერული კვოტირების მნიშვნელობა და ისტორია.....73

3.1. სავალდებულო გენდერული კვოტირების ისტორია.....75

3.2. სავალდებულო კვოტირება საქართველოში.....95

3.3. სავალდებულო გენდერული კვოტირების შედეგები, თვალთახედვა და პერსპექტივა.....108
დასკვნა.....112
ბიბლიოგრაფია.....121
დანართი 1.....129
დანართი 2.....132

შესავალი

"შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად".

ილია ჭავჭავაძე

,,მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან".

,,ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ , ისე სამოქალაქო , ეკონომიკური და საოჯახო უფლებით".[1]

საქართველოს 102 წლის წინანდელი კონსტიტუციის გაცნობისას, ნათელია ერთი რამ: საქართველოში სქესთა შორის თანასწორობის იდეა ოდითგან წარმოადგენდა პრინციპულ და მნიშვნელოვან საკითხს. ქვეყანაში, სადაც საუკუნეების წინ, ლეკვი ლომისა სწორი იყო, გასაკვირი არ არის სქესთა შორის თანასწორობის იდეის ამგვარი გაგება, დაცვა და მის ერთ-ერთ სამართლებრივ პრინციპად განმტკიცება.

ქალთა უფლებების განვითარებისა და დაცვის გზა საკმაოდ საინტერესო, წინააღმდეგობრივი და მოვლენებით დახუნძლულია. ჩვენს ქვეყანაში, და არამხოლოდ აქ, ცვლილებებს ქმნიდნენ ქალები, რომლებმაც ყველა დროს შეძლეს და ხმა აიმაღლეს ჩაგვრასა და უთანასწორობაზე.

ისტორიული განვითარების ქარტეხილების ყველა პერიოდმა, უნიკალური და საინტერესო გამოცდილება მოიტანა. მნიშვნელოვანი და განსხვავებულია ასევე თანამედროვე პერიოდის გამოცდილება და ბრძოლები. დღეს ქალი სხვა

[1] საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-16 და 39-ე მუხლები.

გამოწვევების წინაშე დგას, რომელიც მომავალში მნიშვნელოვანი გახდება სხვა თაობებისათვის გენდერული თანასწორობის მიღწევის რთულ საქმეში.

ქალის უფლებების განვითარების ისტორია მოწმობს, რომ მისი განვითარება კონკრეტულად უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ წინსვლას სტაბილურობასა და სხვაგვარ სიკეთეებს. მათი წარმატებული ყოფა, ემანსიპაცია, რეალიზაცია, ჩაგვრის აღმოფხვრა , განათლების მიღება, ოჯახში ძალადობის შეწყვეტა და განვითარების თანაბარი პირობები, განაპირობებს ყველა ქვეყნის ეკონომიკურ თუ სოციალურ კეთილდღეობას.

ქალთა უფლებების სათანადო დაცვა და მამაკაცებთან გენდერული თანასწორობა, მტკიცედ არის დაკავშირებული მათ უფლებებთან და ხშირად მოითხოვს არსებით ცვლილებს, იქნება ეს საკანონმდებლო კუთხით, თუ სოციალური მოძრაობის თვალსაზრისით.

თემის აქტუალურობა (საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება):

ქალთა უფლებები, უაღრესად აქტუალური პრობლემაა როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში. თემის აქტუალურობას განაპირობებს ის რომ მიუხედავად საკანონმდებლო რეგულაციებისა, მაინც მნიშვნელოვნად ირღვევა ქალთა უფლებები ყოველდღიურ ცხოვრებაში. გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე, ძალიან მნიშვნელოვანია, მსგავსი თემების არსებობა, სადაც განხილულია როგორც ქალთა უფლებების განვითარების ისტორია, ისე მისი მიმდინარე გამოწვევები. საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხი და ქალის უფლებების დაცვა, პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციასთან.

მიზნები და ამოცანები:

კვლევის მიზანია - ისტორიული ანალიზისა და მოქმედი კანონმდებლობის შეფასების გზით, გენდერული თანასწორობის მისაღწევად და იმ კონკრეტული პრობლემების გამოვლენა, რომლებიც ამ პროცესს გააჩნია. რა გამორჩა კანონმდებელს,

სხვადასხვა სფეროს კანონმდებლობაში, თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპების იმპლემენტირებისას.

ნაშრომში საუბარია იმ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც დღეს ქალთა უფლებათა დაცვის კუთხით მნიშვნელოვანია. როგორ დაიწყო ქალის უფლებათა დაცვა და ქალთა მოძრაობა მსოფლიოში სუფრაჟისტების მოძრაობიდან დაწყებული, დღემდე. მსოფლიოში მიმდინარე ძვრები და ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილება განუყოფელია. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებია. სწორედ ამიტომ, ისტორიულ კონტექსტში პრობლემის განხილვა და ანალიზი მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია.

წინამდებარე ნაშრომში დეტალურად არის შესწავლილი ქალთა უფლებები და გენდერულ თანასწორობა საკანონმდებლო კუთხით, ყველა ის ადგილობრივი და საერთაშორისო აქტები, რომლებიც ეხება გენდერულ თანასწორობასა და წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის გამოყენებით. ცალკე თავის სახით არის განხილული სავალდებულო გენდერული კვოტირება და მისი სამართლებრივი შედეგები. შესწავლილია საკანონმდებლო ხარვეზები და შესაბამისი რეკომენდაციების სახით ჩამოყალიბებულია მათი გადაჭრის გზები და მეთოდები.

კვლევის **ამოცანა,** განაპირობებს თუ რისთვის არის საჭირო ამ თემაზე მუშაობა. ეს არის გენდერული თანასწორობის მისაღწევად განსახორციელებელი ნაბიჯები, როგორც საკანონმდებლო, ისე ცნობიერების დონეზე. კვლევაში წარმოდგენილი ისტორიული მიმოხილვა, პროგრესი და ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერა, მნიშნელოვნად დაეხმარება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირთა წრეს, შეაფასოს რეალური მდგომარეობა და იპოვოს პრობლემების გადაჭრის გზები.

საკვლევი კითხვები და ამოცანა ერთგვარად გადაჯაჭვულ საკითხებს წარმოადგენს. კვლევის მთავარი კითხვებია:

1) არის თუ არა გენდერული თანასწორობა რეალურად უზრუნველყოფილი საქართველოში?

2) რა აქტუალური პრობლემები არსებობს დღეს გენერული თანასწორობის მიღწევის გზაზე და რა საკანონმდებლო ხარვეზები გააჩნია კანონმდებლობას გენდერულ ჭრილში.

ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულ იქნა ნაშრომზე მუშაობის დროს, წარმოადგენს ქართულ და უცხოურ ნაშრომებს ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში. შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, საშუალებას იძლევა გაანალიზო პრობლემები და იპოვო მათი გადაჭრის გზები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ნაშრომზე მუშაობის დროს, საერთაშორისო ხელშეკრულებები.

კვლევის თეორიული საფუძვლები და თეორია, რომელსაც კვლევის დროს ვეყრდნობი, არის მემარცხენე ლიბერალიზმის თეორია. იდეოლოგია და ფილოსოფიური შეხედულებების ერთიანობა, რომელიც ადამიანის პიროვნულ თანასწორობასა და თავისუფლებას განიხილავს, ყოველგვარი სიკეთის ქვაკუთხედად. მემარცხენე ლიბერალიზმი, ოჯახის, განათლების და გენდერული როლების შესახებ, იზიარებს ტრადიციულ მიდგომებს და ამავდროულად მხარს უჭერს თავისუფალ საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობას.

ნაშრომში გამოყენებული **კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია** მრავალგვარია. ისტორიული კვლევის მეთოდის გამოყენებით, ცალსახად გამოჩნდა ის პროგრესი, რომელიც გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე გაიარა სამყარომ. ამ მეთოდის გამოყენებით მრავალი ადამიანის ღვაწლის წარმოჩენა და ისტორიული კანონზომიერების სხვა თვალით შეხედვა გახდა შესაძლებელი. თუ საიდან დაიწყო და რა მივიღეთ. ნაშრომში ასევე გამოყენებულია შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს სხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და გამოცდილების შედარების მეშვეობით, დავინახოთ რა

გვაკლია ჩვენ. კომპარატივისტიკა გვეხმარება სხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზითა და შედარებით, შევავსოთ ის სიცარიელე, რაც ამ დროს ჩვენ გაგვაჩნია. ისტორიულ კვლევის მეთოდთან სინთეზში ცალსახა ხდება, რა იყო კარგი თანასწორობისაკენ მიმავალ გზაზე. დედუქციური და ემპირიული კვლევა, რომელიც ასევე გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომში, გვაძლევს ფაქტების ანალიზის საშუალებას. სტატისტიკური მონაცემები, სასამართლო პრაქტიკა და კვლევის ინტერვიუირების მეთოდი, სრულყოფილს და დამაჯერებელს ხდის მსჯელობას.

ნაშრომის **მეცნიერული სიახლე და თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა** უკავშირდება გენდერული თანასწორობისკენ მიმავალ გზაზე განხორციელებულ რეფორმებსა და საკანონმდებლო ცვლილებში აღმოჩენილ ხარვეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებს. კონკრეტულად გადასადგმელი ნაბიჯებისა და რეკომენდაციების სახით, სიახლე ჩამოყალიბებულია დასკნით ნაწილში.

ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ კონკრეტულად ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის კუთხით იგი საკმაოდ მწირია და ატარებს უფრო მეტად მხატვრულ ხასიათს. გარდა საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია უცხოენოვანი ლიტერატურა. ასევე სასამართლო პრაქტიკა და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსი.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცამეტი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

ნაშრომის პირველი თავი მოიცავს ქალთა უფლებების განვითარების შესახებ ისტორიულ მიმოხილვას. ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება იმ ძირითადი მოვლენების განხილვას, რასთანაც დაკავშირებულია ქალის უფლებების განვითარება მსოფლიო მასშტაბით. ამავე თავში, საუბარია კონკრეტულად საქართველოში ქალის

უფლებების დაცვაზე. რა ხდებოდა რომის სამართალში, მოგვიანებით შუა საუკუნეების განმანათლებლების იდეები და ბოლოს ფემინიზმის ე.წ. მეორე ტალღა, როგორც ბიძგი, მნიშვნელოვანი სამოქალაქო უფლებების მოსაპოვებლად. საქართველოს პირველი კონსტიტუცია და ის ისტორიული ქარტეხილები, რომლებიც გაიარა ადამიანის უფლებათა ფორმირების პროცესებმა.

ნაშრომის მეორე თავი ეხება ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობას. განხილულია ქალის უფლებების დაცვის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ინსტრუმენტები. რეგიონალური და საერთაშორისო სისტემები, საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ჰქმნიან გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ბაზას.

ნაშრომის მესამე თავი ეთმობა სავალდებულო გენდერულ კვოტირებას, ვინაიდან ისტორიულად საარჩევნო უფლება მეტად მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების განვითარების გზაზე. ეს თემა ცალკე განხილვისა და კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა. თანაც, აღნიშნული რეფორმა დღეს საქართველოში აქტუალურია და საკანონმდებლო პროცესები, მეტად დინამიურად განვითარდა.

დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია შესაბამისი რეკომენდაციები, მიგნებები და მეცნიერული სიახლე.

თავი პირველი

ქალთა უფლებების განვითარების ისტორიული ასპექტები

ყველა ადამიანი იბადება თანასწორი. განუყოფელი უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით.[2]

ადამიანის უფლებებს მრავალსაუკუნოვანი და რთული ისტორია გააჩნია. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა თითქმის ყოველთვის უკავშირდებოდა აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვას. მოგვიანებით, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის და სხვა დემოკრატიული ინსტრუმენტების ჩამოყალიბების გზით, სახელმწიფოები ცდილობდნენ დაეცვათ ინდივიდის უფლებები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე, სქესის, რასის, კულტურული თავისებურებების, რელიგიური პრინციპებისა და განვითარების დონის მიუხედავად.

თანასწორობის გაგება, საკმაოდ პრობლემატური საკითხია. ხშირად იგი აღიქმება წმინდა ფორმალისტური გაგებით. ეს გაგება გულისხმობს, ცხოვრების ყველა ასპექტში, ქალისა და მამაკაცის სრულ თანასწორობას და შესაბამისად, მცირე გადახვევაც კი (მაგ: პოზიტიური დისკრიმინაციის იმგვარი სახე, როგორიც არის სავალდებულო გენდერული კვოტირება), მიიჩნევა დაუშვებლად და ამ აბსოლუტურ უფლებაში უხეშ ჩარევად.

თანასწორობის იდეის აბსოლუტური, ფორმალისტური გაგება, მოგვიანებით ჩანაცვლდა, თანასწორობის სუბსტანციური გაგებით. ამ გაგებამ ასახვა ჰპოვა,

[2] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულა. მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ.

ევროპის უმრავლესი ქვეყნების კონსტიტუციებში და მათ შორის საქართველოს კონსტიტუციაში. იგი გამოიხატა, სახელმწიფოთა მხრიდან გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებში. კანონმდებელი, ქალისა და მამაკაცის რეალური თანასწორობის მისაღწევად, სპეციალურ ღონისძიებებს ატარებს. ამის კარგი მაგალითია, სავალდებულო გენდერული კვოტირება, რომელსაც ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა.

ქალის უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობა - ეს არის ორივე სქესისათვის თანაბარი, სუბსტანციური შესაძლებლობების მინიჭება და შეთანხმება იმაზე რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორივე სქესის მონაწილეობა აუცილებელია და ასევე დაცულია მათი უფლებების განხორციელების თანაბარი შესაძლებლობები. ისევე როგორც ზოგადად, ადამიანის უფლებების დაცვას სჭირდება მუდმივი ბრძოლა, მხარდაჭერა და კონტროლის მექანიზმების შემუშავება, გენდერული თანასწორობისათვისაც საჭიროა ბრძოლა, პროპაგანდა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა.

ჰარმონიული, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია სქესთა შორის თანასწორობა. ეს ნიშნავს, ქალისა და მამაკაცის თანაბარ პირობებსა და შესაძლებლობებს თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. მათ თანაბარ მონაწილეობას ყველა პროცესში, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა. ქალებს, თანაბრად უნდა მიეცეთ ყველა საზოგადოებრივი სიკეთეებით სარგებლობის შესაძლებლობა და ყველა იმ რესურსზე ხელმისაწვდომობა, რითაც მამაკაცები სარგებლობენ.

ქალის უფლებებზე ხმამაღლა საუბარი ხშირად მტკივნეულად აღიქმება იმ საზოგადოებასა და განსაკუთრებით იმ ქვეყნების მოსახლეობაში, სადაც პატრიარქალური კულტურა და რელიგიური დოგმები ძლიერია. ამასთანავე, გენდერული თანასწორობა დემოკრატიულ პლურალისტურ საზოგადოებაში წარმოდგენილია, როგორც სხვადასხვა ღირებულებებისა და მიზნების მქონე

ინდივიდების თანაარსებობა, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი. მათი ინტერესები განსხვავებების მიუხედავად, თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ დონეზე. ყველა ადამიანი თანაბრად უნდა სარგებლობდეს ყველა უფლებებითა და შესაძლებლობებით. ქალსაც და მამაკაცსაც უნდა გააჩნდეს ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.

1.1. ქალის უფლებებისათვის ბრძოლის დასაწყისი

ქალის უფლებების შესახებ საუბარი არ იქნება სრულყოფილი, თუკი მას არ დავიწყებთ რომის სამართლიდან.

ძველ რომში ქალთა უფლებრივი მდგომარეობა დამოკიდებული იყო მმართველობის ფორმებსა და პოლიტიკურ რეჟიმზე, მაგრამ სამართლებრივად ქალები ყოველთვის რთულ ვითარებაში იმყოფებოდნენ.

რომის ისტორიის ადრეულ პერიოდში, ქალთა უფლებები და სტატუსი უფრო შეზღუდული იყო, ვიდრე გვიანდელ რესპუბლიკასა და იმპერიაში.

ჯერ კიდევ ძვ. 264 წელს, ისტორიკოსი ვალერიუს მაქსიმუსი თავის ნაშრომში სამახსოვრო საქმეებისა და გამოსვლების ნაწილს უთმობს ქალებს, რომლებიც აწარმოებდნენ საქმეებს საკუთარი ან სხვათა სახელით. რომის რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში პატარძალი მამის კონტროლიდან გადადიოდა ქმრის ხელში.[3]

კლასიკური რომაული სამართალი არ აძლევდა უფლებას ქმარს ცოლის მიმართ ოჯახში ძალადობა ჩაედინა. თუკი აღნიშნული მაინც მოხდებოდა, ქალზე ფიზიკური

[3] ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, 2005, გვ.61-62.

ძალადობა საკმარისი საფუძველი იყო ქმრის წინააღმდეგ სამართლებრივი მოქმედებების დაწყებისა და განქორწინებისათვის.

ორივე, ქალიშვილები და ვაჟები ექვემდებარებოდნენ patria potestas-ს, ძალაუფლებას, რომელსაც მათი მამა ფლობდა, როგორც ოჯახის უფროსი. თუკი მამა ანდერძის გარეშე იღუპებოდა, ქალიშვილს ოჯახის საკუთრებაში მონაწილეობის უფლება უტოლდებოდა ვაჟის უფლებას, თუმცა ძვ. წ. II საუკუნის კანონმდებლობა ცდილობდა ამ უფლების შეზღუდვას. საზოგადოებრივი ცხოვრებაც,უფრო მეტად კაცების ასპარეზი იყო ვიდრე ქალების. მიიჩნეოდა რომ ოჯახის რჩენის ვალდებულებაც მამაკაცსს გააჩნდა. [4]

ადამიანის უფლებათა თანამედროვე კონვენციებს და დეკლარაციებს წინ უძღოდა ისეთი მნიშვნელოვანი, ისტორიული დოკუმენტების მიღება, როგორებიცაა :

- *ინგლისის თავისუფლებათა დიდი ქარტია და უფლებათა ბილი (1689 წ.)*[5]*,*
- *საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია. Déclaration des Droits de l'Homme et du Citoyen (1789 წ.),* [6]
- *ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია (1787 წ.).* [7]

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დღეს აღიარებულია და დაცულია არაერთი საერთაშორისო კონვენციით და დეკლარაციით, მათ შორის უმთავრესი გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაა.[8]

ადამიანის უფლებები, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, განიმარტება როგორც ყველა ადამიანის თანდაყოლილი უფლებები, განურჩევლად რასისა, სქესია, ეროვნებისა, ეთნიკურობისა, ენისა, რელიგიისა ან სხვა

---

[4] ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, 2005, გვ.61-62.

[5] ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, სადაც მოცემულია ინგლისის თავისუფლებათა დიდი ქარტია და უფლებათა ბილის, ორიგინალი ტექსტი მოცემულია: https://www.bl.uk

[6] საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი, სადაც მოცემულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის ორიგინალი ტექსტი.

[7] ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია.

[8] გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

ნებისმერი სტატუსისა. ადამიანის უფლებები გაგებულია, როგორც ფუნდამენტური, საყოველთაო უფლებები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დაკავშირებულია ადამიანად ყოფნასთან.[9]

თანამედროვე ადამიანის უფლებების შესახებ იდეებს საფუძველი შუა საუკუნეებში ჩაეყარა. ახალი ტიპის ევროპული გამოცდილება ამ საკითხებში, მთლიანად ემყარება განმანათლებლების საქმიანობას ევროპაში.

მე-18 საუკუნის ორმა მთავარმა მოვლენამ: საფრანგეთში 1789 წელს, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის“ შექმნამ და ამერიკაში „შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მიღებამ, დასაბამი დაუდო დღევანდელ ყველა აქტს თუ მოსაზრებას, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.[10]

ჯონ ლოკი, იყო პირველი მოაზროვნე, რომელმაც განმარტა თუ რას ნიშნავს პიროვნებ.[11] პიროვნულ იდენტობას, იგი უკავშირებდა ცნობიერების უწყვეტობას, რომელიც ყველა ადამიანს ერგო თანაბარი, სუფთა სახით. ლოკის აზრით, ადამიანები დაბადებით საწყის მდგომარეობაში იმყოფებიან, თუმცა მოგვიანებით მათი ადგილი, კუთვნილება და უფლებები უკავშირდება გამოცდილებებს, ცოდნას, აღქმებს და მდებარეობას.[12] ბუნებით მდგომარეობაში კი, მეცნიერის აზრით ყველა ადამიანი თანასწორია.[13]

სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში საჭირო გახდა ქალთა უფლებების, როგორც მოწყვლადი ჯგუფის ცალკე გამოყოფა და დაცვა. ქალები სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა გამოწვევებს ებრძოდნენ და ებრძვიან დღემდე. გარდამტეხი

---

[9]გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
[10] Nickel, J., Encyclopedia of Philosophy, Human Rights, Stanford University press. P.65.2014
[11]Namita Nimbalkar., *John Locke on Personal Identity,* 2011, P.268-275.
[12] იქვე.
[13] იქვე.

ეტაპი ამ კუთხით იყო მეოცე საუკუნე, როდესაც გაუქმდა მონობა და ასევე ქალებმა დაიწყეს ხმის უფლებების მოსაპოვებლად ბრძოლა.[14]

ქალებს მოუწიათ საკუთარი უფლებების დასაცავად და მამაკაცებთან თანასწორობის მისაღწევად ბრძოლის დაწყება, ერთერთი ყველაზე ფუნდამენტური - საკუთრების და მემკვიდრედ ყოფნის უფლებით. გილიოტინაზე, 1791 წელს, თავი მოჰკვეთეს ოლიმპია დე გუჟს, ფრანგ პუბლიცისტს და პოლიტიკურ მოღვაწეს. ქალს, რომელმაც საფრანგეთში ქალთა უფლებების აღიარებისთვის დაიწყო ბრძოლა და დაწერა „ქალისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია “, რომელიც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოადგენდა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის “ალტერნატივას. მან ჩათვალა, რომ სიტყვა „ადამიანი “დეკლარაციაში ნიშნავდა კაცს და ამიტომ იგი გამიჯნა ქალისგან. (ფრანგ. „l'homme“).[15]

მერი უოლსტონ კრაფტმა, ბრიტანელმა მწერალმა და ფილოსოფოსმა, 1792 წელს გამოაქვეყნა *„ვინდიკაცია ქალის უფლებებისა “.* ფილოსოფოსი, ნაშრომში სასტიკად აკრიტიკებდა გენდერულ ჩაგვრას, რაც იმ პერიოდის ბრიტანეთისთვის სრულიად გაბედული და თამამი ნაბიჯი იყო. იგი ითხოვდა თანაბარ შესაძლებლობებს და განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობას.[16] ეს იდეები განუხორციელებელი იყო, იქედან გამომდინარე რომ ქალებს არ გააჩნდათ საკუთრების უფლება და განათლების მიღების უფლება, რაც უმთავრესი იქნებოდა, მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. თუკი ქალი ვერ შეძლებდა მოეპოვებინა ეკონომიკური ავტონომიურობა, მისი სხვა უფლებებისთვის ბრძოლა აზრს კარგავდა.

---

[14] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-4 მუხლი: არავინ უნდა იყოს მონა ან მონობაში; მონობა და მონებით ვაჭრობა აიკრძალოს ყველა ფორმით.

[15] ვინდიკაცია ქალის უფლებებისა. ორიგინალი ტექსტი იხ. ვებ გვერდზე: https://www.olympedegouges.eu/

[16] Lauren, Paul Gordon., The evolution of international human rights: visions seen. University of Pennsylvania Press, 2003, 32-33.

სამწუხაროდ, კიდევ მრავალი წელი დასჭირდა ქალს ამ უფლებების მოსაპოვებლად. ისტორიულად, საუკუნეების მანძილზე, ის ძირითადი უფლებები, რომელიც ესაჭიროებოდა ქალს რათა ფორმალურად მაინც მიეღწია თანასწორობისათვის შემდეგია:

საკუთრების უფლება. რომელიც იმდენად გამორჩულია სხვა უფლებებს შორის, რომ ჯონ ლოკმა თავისუფლების და სიცოცხლის უფლების გვერდით მოიხსენია. ჯონ ლოკი ამბობს: ,,ყველას შეუძლია დასაჯოს ნებისმიერი ადამიანი, ვინც დაარღვევს ბუნებით კანონს ანუ ხელყოფს მეორე ადამიანის სიცოცხლეს, თავისუფლებას და საკუთრებას.''[17] ბრძოლა ქალთა საკუთრების უფლებებისათვის იყო ერთ-ერთი ყველაზე გრძელი და მნიშვნელოვანი, რომელიც გაგრძელდა 1700-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. სანამ ქალებს კანონიერად მიენიჭათ საკუთრების უფლება, მათ ქმრებს ან სხვა მამრობითი სქესის ნათესავს შეეძლოთ კონტროლი ჰქონოდათ ნებისმიერ ქონებაზე.[18] დღეს ქალები სარგებლობენ თანაბარი საკუთრების უფლებით. პირველი ქვეყანა, რომელმაც ქალებს მიანიჭა საკუთრების უფლება, იყო ახალი ზელანდია.

განათლების მიღების უფლება დიდი ხანი იყო პრობლემა და გენდერული მასშტაბით ქალებს სხვადასხვა სოციალური ფენიდან არ ეძლეოდათ საშუალება მიეღოთ განათლება. დღეს, გლობალური სურათი გვიჩვენებს, რომ ქალები აჭარბებენ მამაკაცებს უმაღლესი განათლების მიღების კუთხით. თუმცა, ეს არ ფარავს მუდმივ უთანასწორობას, როგორიცაა გოგონების დაწყებითი სკოლის განათლებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა. იუნესკოს მონაცემებით, აფრიკაში 6-დან 11 წლამდე ასაკის 9 მილიონი გოგონა არასოდეს წასულა სკოლაში.[19]

---

[17] Locke, J,. Second Treatise of Government, 1960, p.27-28.

[18] იქვე.

[19] იუნესკოს მონაცემები, ქალთა და გოგონათა განათლების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია იხ.იუნესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: https://en.unesco.org/womeninafrica/

ისტორიულად, საგანმანათლებლო მოთხოვნილებები განსხვავებულად აღიქმებოდა. გოგონები უფრო მეტად განათლებას იღებდნენ სახლში და ორიენტირებულნი იყვნენ მომავალი ცოლებისა და დედების პერსპექტიულ როლებზე. საგნები, როგორიცაა მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები, ჩვეულებრივ, განკუთვნილი იყო ვაჟებისათვის, რომლებიც მოსალოდნელი იყო პროფესიის მიღებაზე. განათლება ასევე დაკავშირებული იყო კლასთან. მუშათა კლასის გოგონები ძირითადად ვერ იღებდნენ განათლებას და ეს ბურჟუაზიული კლასის პრივილეგიად რჩებოდა.[20]

მიუხედავად იმისა, რომ დღეს, უმეტეს ქვეყნებში განათლებაზე ხელმისაწვდომობა გენდერულად თანაბარია და კანონის მიხედვით სავალდებულოა, გარკვეული პირთა წრისათვის და კონკრეტული ქვეყნებისთვის კვლავ რჩება, დილემად აღნიშნული საკითხი. მაგალითად: აფრიკაში, ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში და ა. შ.

ხმის მიცემის უფლება ფუნდამენტური უფლებაა და ასევე წარმოადგენდა დიდი ბრძოლის და განსჯის საგანს.[21] აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება გულისხმობს წვლილის შეტანის შესაძლებლობას იმ მთავრობის არჩევაში, რომელიც წარმოადგენს ჩვენს შეხედულებებს და ატარებს იმ პოლიტიკას, რომელზეც დამოკიდებულია, მომავალში ყველა მოქალაქის პოლიტიკური ცხოვრება. ნაშრომში, ცალკე თავის სახით არის განხილული საარჩევნო უფლებების ისტორია, ქალთა ბრძოლა, დაწყებული სუფრაჟისტებიდან დღემდე. ახლა მსოფლიო სხვა გამოწვევების წინაშე დგას და აქტიური საარჩევნო უფლების წახალისების გზებზე ფიქრობს.[22]

---

[20] Sneider, A., *The New Suffrage History: Voting Rights in International Perspective*. History Compass, 2011, P.8-7.

[21] იგივე.

[22] Gerhard, U., *Debating women's equality: toward a feminist theory of law from a European perspective*. Rutgers University Press, 2001, P.33-34.

ქალების საარსებო წყარო ისტორიულად მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვისზე დაქორწინდებოდა იგი. მათი როლი როგორც წესი, განიხილებოდა, როგორც ბავშვების აღზრდასა და სახლის მართვაში, ხოლო ქმარი იღებდა შემოსავალს და მოქმედებდა როგორც ოჯახის უფროსი და მთავარი გადაწყვეტილების მიმღები პირი. დაქორწინებისთანავე ცოლები ქმრის მფარველობის ქვეშ ექცეოდნენ და ხშირად ხდებოდნენ ერთი პირი კანონის თვალში, რომელიც მათ არ აძლევდა უფლებას ჰქონოდათ საკუთრება, ქონება ან შემოსავალი.[23] მემკვიდრეობას იღებდა უფროსი ვაჟი, ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში, ქალსაც შეეძლო ესარგებლა ქონებით. ასევე იყო გენდერული განსხვავება განქორწინების კრიტერიუმებში.[24] ხშირად ქორწინება ატარებდა იძულებით ხასიათს და ქალს არ გააჩნდა საშუალება თავად აერჩია მომავალი მეუღლე. ადამიანის უფლებების ეფემერულ ხასიათზე მიგვითითებს ისიც, რომ ეს პრობლემა დღესაც დგას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იძულებით ქორწინება, ადრეულ ასაკში ნიშნობის ტრადიცია, კვლავ აქტუალურია და არა მხოლოდ შორეულ ქვეყნებში.[25]

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში კვლავაც ბევრ ქვეყანაშია ქალი ჩაგვრის ობიექტი, საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების, კულტურული გავლენის და ცივილიზებული მსოფლიოს სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, უკვე საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით სარგებლობენ და თანაბარი მოვალეობები ეკისრებათ. ასევე თანაბარი უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ არასრულწლოვანი შვილების მიმართაც. თუმცა, ახლა ამ

---

[23] *Property Rights of Women*. დამატებითი ინფორმაცია იხ. www.umich.edu

[24] აღნიშნულ საკითხზე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, მომზადებულია მოხსენება, რომლის მიხედვითაც, საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ქორწინების იძულების ფაქტები და მათზე რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. კვლევამ აჩვენა, რომ ქორწინების იძულების მსხვერპლები ქალები, ხოლო ბრალდებულები კაცები არიან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქორწინების იძულების ფაქტებზე ყველაზე ხშირად გამოძიება იწყება ქვემო ქართლში, თუმცა დაახლოებით მათი ნახევარი წყდება. ამ რეგიონში საქმეებზე საბოლოო შედეგის დადგომის, განაჩენის გამოტანის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. დამატებითი ინფორმაცია იხ. : https://gyla.ge/files/2020/კვლევები/იძულებითი-ქორწინება-კანონმდებლობა-და-პრაქტიკა.pdf

[25] Gender equality and women's rights in the context of child custody and child maintenance: An international and comparative analysis. Publication year: https://www.unwomen.org

მარტივ მოცემულობას, ისტორიული ბრძოლა დასჭირდა, რადგან გარკვეული პერიოდის განმავლობაში შვილები მამის საკუთრებად ითვლებოდა. ამის მიუხედავად, მათ აღზრდაზე პასუხისმგებლობა დედას ეკისრებოდა.[26]

კანონმდებლობის დახვეწა და გენდერულად სამართლიანი და მგრძნობიარე აქტების მიღება, გულისხმობს ყველა იმ უფლებების გამართვას და თავმოყრას, რამაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალის უფლებების დაცვა. სიტყვიერი მხარდაჭერა და აქტივიზმი აზრს კარგავს, თუკი იგი საბოლოოდ არ აისახა კანონმდებლობაში. მხოლოდ ამ გზით ხდება სიტყვები და მონდომება რეალობა და ქალთა უფლებების დაცვის გარანტია.

ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ე.წ. ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში, ქალთა კანონიერი უფლებები ჯერ კიდევ ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას. საქართველოში, გენდერული კანონმდებლობა ნეიტრალურია და უფრო მეტად წახალისებულია ქალების უფლებები, ვიდრე შეზღუდული. იგი გამოიხატება როგორც შრომით კანომდებლობაში, ისე საარჩევნო თუ სხვა კუთხით. რაც შეეხება საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის გავლენას გენდერულ თანასწორობაზე, ნაშრომში ცალკე თავის სახითაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება საქართველოს. იგი ადამიანის უფლებათა ბევრი საერთაშორისო დოკუმენტის, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის[27] (CEDAW) ხელმომწერი მხარეა. აქედან გამომდინარე, აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ფაქტობრივი თანასწორობა მამაკაცებსა და ქალებს შორის. უფრო ადრე კი, საქართველო მუდამ იზიარებდა პროგრესულ მიდგომებს

[26]1979 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია. იგი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს მას შემდეგ, რაც მეოცე ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიცირება, კონვენციის მეათე წლისთავისათვის, რომელიც 1989 წელს აღინიშნა, თითქმის ასმა სახელმწიფომ გამოხატა თანხმობა დაეცვათ მისი დებულებები. რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994წ. 22 სექტემბრის N 561 დადგენილებით.

[27] ევროკავშირი საქართველოსთვის კვლევა. დამატებით იხ. ოფიციალურ ვებ გვერდზე: https://csogeorgia.org

ქალთა უფლებათა დაცვისა და მათ მიერ, სოციალურ ცხოვრებაში ჩართვის საკითხებში. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბევრ ევროპულ ქვეყანაზე ადრე ჩატარდა საყოველთაო არჩევნები, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ქალები. ამავე არჩევნების შედეგად, ხუთი მათგანი: ქრისტინე შარაშიძე, ელეონორა მახვილაძე, მინადორა ტოროშელიძე, ანა სოლოღაშვილი და ელისაბედ ბოლქვაძე არჩეულ იქნა, წარმომადგენლობით ორგანოში. თითოეული მათგანის ბიოგრაფია, ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველოში ქალები აქტიურ სოციალურ ცხოვრებას ეწეოდნენ და ის უფლებები, რომლებიც ევროპის უმრავლეს ქვეყანაში ქალებმა საკმაოდ გვიან მიიღეს, საქართველოში თითქმის ორმოცი წლით ადრე ჰქონდათ მინიჭებული.[28]

კონსტიტუციონალისტები ხშირად ამბობენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციამ გაუსწრო დროს და დღემდე პროგრესულად მიიჩნევა. აღსანიშნავია რომ ამ კონსტიტუციამ გააუქმა საქართველოში სიკვდილით დასჯა და აღიარებდა ადამიანის თანასწორობას და თანაბარ უფლებებს. ასევე ითვალისწინებდა გენდერულ თანასწორობას, იცავდა რწმენისა და შეკრების თავისუფლებას.

[28] პაპუაშვილი გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონტიტუცია 90 წლის გადმოსახედიდან. 2014, გვ.18-19.

1.2.ფუნდამენტური უფლებებისათვის ბრძოლიდან - მეორე სქესამდე, რა მივიღეთ დღეს?

სხვადასხვა დროს გატარებულმა ზომებმა, გაბედულებამ, ბრძოლამ და თანასწორობის იდეამ, 1960-იანი წლებში დიდ ფემინისტურ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი. მანამდე კი ტერმინი „მეორე სქესი "გამოიყენა ფრანგმა ეგზისტენციალისტმა მწერალმა, ფილოსოფოსმა და მოაზროვნე სიმონ დე ბოვუარმა. მან, 1949 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „მეორე სქესი", რომელიც 60-იან წლებში აგორებული ფემინისტური მოძრაობის ერთგვარ მანიფესტად იქცა.[29] ამ ნაშრომში ეს ტერმინი ორმაგი მნიშვნელობით არის გამოყენებული. ***ერთი მხრივ,*** ავტორი ხაზსს უსვამს კულტურაში ქალის მეორეხარისხოვან როლს და იგი ამას ასაბუთებს პატრიარქალური კულტურის არსებობით. ბოვუართან ქალი წარმოდგენილია, როგორც სხვა, საგანი, რომლის ფონზეც მამაკაცი საკუთარ იდენტობას აყალიბებს.[30] ***მეორე მხრივ*** კი ტერმინი „მეორე" შეიძლება გულისხმობდეს ქალის მარადიულ ფემინურ ბუნებას. ბოვუარი თავის ნაშრომში ერთგვარად მიჯნავს გენდერს და სქესს. იგი ამბობს, რომ : ,, One is not born, but rather becomes, a woman".[31] ამ ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა ფემინიზმის მეორე ტალღაზე.

მეამბოხე ქალებს უკვე სურდათ თანასწორობა, იგივე ანაზღაურება, რაც მამაკაცებს, უფლებები საკუთრებაზე, სრული ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვა კანონით მინიჭებული თანაბარი უფლებები და თავისუფლებები.

---

[29] ბოვუარი, ს., *მეორე სქესის* ინგლისური თარგმანი. იხ. ვებ-გვერდზე: https://www.marxists.org/reference/subject/ethics/de-beauvoir/2nd-sex/index.htm

[30] იქვე.

[31]ქალად არ იბადებიან, ქალები ხდებიან. The Politics of Women's Liberation. ტექსტი ვრცლად იხ.www.Jofreeman.com

მათ ამ ძალისხმევას არაერთგვაროვანი შედეგი მოჰყვა.[32] არაერთგვაროვანია დამოკიდებულებაა ახლაც. ხშირად, პატრიარქალური ქვეყნების სივრცეში, აღნიშნული საკითხები აღიქმება თითიდან გამოწოვილ, ხელოვნურ თემებად, რომელიც რეალურად არ საჭიროებს დაცვას. სტატისტიკა ამ დროს ყველაფრის ნაცვლად საუბრობს. თუკი გადავხედავთ ოჯახური ძალადობის, ფემიციდის, დასაქმების, ერთსა და იმავე ადგილზე, თანამდებობრივი სარგოს განსხვავებას, სქესის მიხედვით აღმოჩნდება რომ, პრობლემა რეალურია.

ქალთა უფლებების დაცვის პრობლემატიკა განსხვავდება იმის და მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაზე ვსაუბრობთ. სულ სხვა ამოცანების წინაშე დგას, ქალთა დასავლური მოძრაობა, მაშინ როდესაც ისლამურ სამყაროს, ან სხვა განვითარებად ქვეყნებს, ჯერ კიდევ აწუხებთ ფუნდამენტური უთანასწორობა.[33]

გაერო-ს სტატისტიკის მიხედვით, დასავლური სამყაროს პარალელურად, უამრავი ქალი განიცდის ძალადობას, არათანბარ მოპყრობას და დაახლოებით ეს რიცხვი აღწევს 130 მილიონს. 60 მილიონი გოგონა ხდება იძულებითი ქორწინების მსხვერპლი.[34]

ისლამურ სამყაროში ქალთა უფლებების საკითხი დისკუსიებისა და ინტენსიური დებატების სფეროა როგორც მუსულმანურ სამყაროში, ასევე დასავლეთში. ეს დილემა რეალურია და საფრთხის წინაშე აყენებს ყველა იმ ღირებულებას, რის გამოც იბძოდა საუკუნეების განმავლობაში განვითარებული სამყარო. მუსლიმი ქალები, რომელთაც სურთ იყვნენ კარგი მუსლიმები და სურთ თავიანთი უფლებებიც

---

[32] Gerhard, U., *Debating women's equality: toward a feminist theory of law from a European perspective*. Rutgers University Press. 2001 P.65-66.

[33] Rob Picheta and KieronMirchandani., *Only six countries have equal rights for men and women, World Bank finds*, .2019, P.68-69.

[34] Herbert L. Bodman; Nayereh Esfahlani Tohidi., *Women in Muslim Societies: Diversity Within Unity*. Lynne Rienner Publishers, 1998, P.2-3.

ჰქონდეთ, განიცდიან კონფლიქტს და ზეწოლას მათი სურვილების და ობიქტური რეალობის მიმართებაში.[35]

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია დღეს უკვე აკრძალულია ადამიანის უფლებათა თითქმის ყველა ხელშეკრულებით. ქალთა საერთაშორისო საბჭო (ICW) იყო პირველი ქალთა ორგანიზაცია, რომელიც მუშაობდა ეროვნული საზღვრების მიღმა ქალთა ადამიანის უფლებების ადვოკატირების საერთო მიზნებისათვის. დღეს, ICW ფლობს საკონსულტაციო სტატუსს გაერთიანებული ერების ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან. გლობალურად ქალთა უფლებების დაცვაში მიღწეული დიდი პროგრესის მიუხედავად, მილიონობით ქალი და გოგონა კვლავ განიცდის დისკრიმინაციას და ძალადობას, მათ თანასწორობას, ღირსებასა და ავტონომიას , სიცოცხლესაც კი, ხშირად საფრთხე ემუქრება. ეს დისკრიმინაცია და ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ, რომელიც ღრმად არის ფესვგადგმული საზოგადოებებში, არის მუდმივი და სისტემატიური ხასიათის. ბოლო წლებში განმეორდა სკეპტიციზმი და უარყოფს საერთაშორისო სტანდარტებს ქალის ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გენდერული ძალადობის შესახებ, მაშინ როცა ქალები და გოგონები სულ უფრო იმაღლებენ ხმას თანასწორობის მოთხოვნით, მათ შორის ფემინისტური მოძრაობების მეშვეობით.[36]

ამრიგად, წინამდებარე თავში განხილული ისტორიული განვითარების ქარტეხილები მოწმობს, რომ ქალთა უფლებებისათვის ბრძოლას ყველა ეტაპზე ჰქონდა თავის შედეგი. ქალებმა შეძლეს, მოეპოვებინათ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მნიშვნელოვანი უფლება და ამით თანასწორობის სანატრელ იდეას მიუახლოვდნენ.

---

[35] გაეროს მოსახლეების ფონდის კვლევა. კვლევა დამატებით შეგიძლიათ იხ. ვებ -გვერდზე: https://georgia.unfpa.org

[36] გოგისვანიძე.თ., ქალის უფლებების ისტორიული რეტროსპექტივა საქართველოში, ჟურნალი, მართლსაჯულება და კანონი, 2022.

*1.3.*საქართველოში ქალთა უფლებების ისტორიული განვითარება

„მეგობარო! დღეს ქალებიც თხოულოობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს, მიეცეს, თუ არა, რას იტყვი? მე ამ საკითხზე გაჭიანურებულ პასუხს არ მოგცემ... მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერც ვერავინ შემაცვლევინებს ამ რწმენას'

ვაჟა-ფშაველა

იმის პარალელურად, თუ რა ქარტეხილებს გადიოდა მსოფლიო ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით და კონკრეტულად ქალის უფლებების სფეროში, საქართველოში კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის გამოცდილებას ძალიან საინტერესო ისტორია გააჩნია. დასავლური კურსისა და ისტორიული ტრადიციების მიუხედავად, ჩვენი საზოგადოება სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სოციალური წესების, არასწორად აღქმული რელიგიური დოგმების ზეგავლენას მეტად განიცდიდა, სადაც ქალი მამაკაცის საკუთრება უფროა ვიდრე მისი თანასწორი. საზოგადოებამ ამას ტრადიცია უწოდა, რაც ძალიან ხშირია პატრიარქალური კულტურის ქვეყნებში. რელიგიური ნორმებითა და რეალურად არ არსებული ტრადიციებით მანიპულირება ქმნის სხვადასხვა სოციალურ ილუზიას რომელიც ცხოვრებას ურთულებს ქალებს. [37]

თითქმის მთელი მეოცე საუკუნე, საქართველო იყო საბჭოთა კავშირის წევრი. ამ დროს გავრცელდა სოციალისტური ფემინიზმის მიდგომები და სრულიად სხვა იდეოლოგიური ღირებულებები, ვიდრე მანამდე არსებობდა საქართველოში. ეს არ გრძელდებოდა მცირე პერიოდი. ზუსტად საბჭოთა კავშირმა მოახდინა ბევრი ისეთი

[37] გოგისვანიძე.თ., ქალის უფლებების ისტორიული რეტროსპექტივა საქართველოში “, ჟურნალი, მართლსაჯულება და კანონი”., N1(73)-2022.

მიდგომის ტრადიციად გასაღება, რომელსაც ჩვენს ისტორიულ გამოცდილებასთან, საერთო არაფერი აქვს. საკანონმდებლო დონეზე, ძალიან კარგად იყო დეკლარირებული ქალის უფლებები, თუმცა ყოფით დონეზე, ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა.ქალის უფლებების განვითარება საქართველოში, პირობითად სამ ეტაპად არის წარმოდგენილი:

1.3.1. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და ქალის უფლებები

„ჩვენ ვიცით რისთვის ვიბრძვით და ვიცით აგრეთვე ფასი და მისწრაფება ჩვენი უფლების მტერთა..“

კატო მიქელაძე

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, მნიშვნელოვანი ასპარეზი აღმოჩნდა ქალებისათვის საქართველოში. ცოტა უფრო ადრე, სანამ 1918 წლის 26 მაისს, თბილისში, დღევანდელ რუსთაველის გამზირზე, კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ, ხელი მოეწერებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, შორეულ დიდ ბრიტანეთში ფილოსოფოსმა და პოლიტიკურმა მოღვაწე ჯონ სტიუარტ მილმა, [38] ქალთა ჩაგვრა არასწორად მიიჩნია. მან ქალის უფლებების შეზღუდვას და სოციალურ ცხოვრებაში, მათ არჩართვას, კაცობრიობის ინტელექტუალური შეკავება უწოდა. [39] მეტიც, მან ქალებისათვის საარჩევნო უფლების მინიჭება მოითხოვა. მსოფლიოს ამ ტენდენციებს, არც საქართველოში ჩამორჩნენ და პირველი აქტივობებიც დაიწყო.

[38] ბრიტანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე.
[39] Mill, J.S., *On Liberty*, Batoche Books Limited,Canada, Ontario, 2001 p.11-12

მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოში ქალებმა პირველად დაიწყეს საჯარო გამოსვლები და მათ პრობლემეზე ხმამაღლა საუბარი. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გაბედა და დაუპირისპირდა სხვადასხვა, იმ დროს არსებულ პატრიარქალურ ნორმებს, იყო ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე. მისი წერილი, ,,ორიოდე სიტყვა, ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ“ [40] ქართული ფემინიზმის ერთგვარ მანიფესტად იქცა.

ამავე პერიოდში, ქ. ქუთაისში დაიწყო ყოველკვირეული გაზეთის გამოცემა: ,,ხმა ქართველი ქალისა“. აღნიშნულ გაზეთს გამოსცემდა კატო მიქელაძე. იგი ხელმძღვანელობდა, ასევე ქუთაისში დაარსებულ ქალთა კლუბს. გაზეთი არამხოლოდ ქალთა უფლებებზე წერდა სტატიებს, არამედ ჩართული იყო, საზოგადოების ყველა სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკაში. სარედაქციო კოლეგია, რომელიც მთლიანად ქალებისგან შედგებოდა, გამოხატავდნენ აქტიურ პოლიტიკურ პოზიციებს. საბოლოო ჯამში, სარედაქციო პოლიტიკა, მემარცხენე იდეების მხარდაჭერას გამოხატავდა. ისინი იზიარებედნენ საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას. კატო მიქელაძე სოცილისტ-რევოლუციონერების მხარდამჭერი იყო. გაზეთში აქტიურად ჟღერდებოდა ფემინისტური ლოზუნგები: ,,ქალებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, ,,თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა“ და ა.შ.[41]

1918 წელს, საქართველო ეროვნული საბჭოს არჩევნებისთვის ემზადებოდა. ამ დროს, უკვე საკმაოდ მძლავრი იყო ქალთა ფემინისტური მოძრაობა და ისინი საკანონმდებლო ორგანოში, მამაკაცთან თანაბარ აქტიურ საარჩევნო უფლებებს ითხოვდნენ. აღსანიშნავია, რომ პირველ პარლამენტში არამხოლოდ უბრალოდ ქალი წევრები, არამედ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი

[40] ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე. მისი წერილი, ,,ორიოდე სიტყვა, ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ“ აღნიშნული ტექსტი, შეგიძლიათ იხილოთ ვრცლად: https://gdi.ge

[41] ხმა ქართველი ქალისა, იყო პერიოდული გამოცემა. გაზეთს გამოსცემდა, ქ.ქუთაისის ქალთა კლუბი.1917-1918 წლებში.

მუსლიმანი ქალი, პარიხანუმ სოფიევიც გვყავდა. 34 წლის მუსლიმანმა ქალმა, თანამდებობა დემოკრატიული გზით დაიკავა და იგი სისტემატიურად არღვევდა მუსლიმანი ქალის შესახებ, იმ დროს არსებულ სტერეოტიპებს.[42]

1919 წლის თებერვალში გაიმართა დამფუძნებელი კრების არჩევნები. ამ არჩევნებში, საბოლოო ჯამში კენჭს იყრიდა 26 ქალი. ყველაზე მეტი ქალი წარმოდგენილი იყო სოციალისტ-ფედერალისტებისგან, ხოლო ყველაზე ნაკლები რადიკალ-დემოკრატიული პარტიისაგან. მათ მხოლოდ ერთი ქალი კანდიდატი იყო წარმოდგენილი. საბოლოო ჯამში, საკანონმდებლო ორგანოს წევრი გახდა ხუთი, სოციალ-დემოკრატი ქალი. ესენია: ქრისტინე შარაშიძე, ელეონორა მახვილაძე, მინადორა ტოროშელიძე, ანა სოლოღაშვილი და ელისაბედ ბოლქვაძე. ასევე აღსანიშნავი ფაქტია, რომ იმ დროს როცა განვითარებული ევროპის ქვეყნები ქალთა არათუ აქტიურ, არამედ პასიური საარჩევნო და განათლების უფლებისათვის იბრძოდნენ და მაშინ როდესაც 1971 წელს მოიპოვა შვეიცარიამ ქალების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, სიამაყით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს 1919 წელს ხუთი ქალი ჰყავდა წარმომადგენლობით ორგანოში.

1918 წელს, ანუ იმ დროს, როცა დიდ ბრიტანეთში ქალებს მიეცათ უფლება გამხდარიყვნენ ადვოკატები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, 3 სექტემბერს გამოსცა დებულება, რომლის მიხედვითაც ორივე სქესს გარანტირებული ჰქონდა განათლების უფლება. უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი ქალი იყო მედეა ღამბაშიძე, ხოლო პირველი პროფესორი ქალები: ვანდა ჰოპე-ღამბაშიძე, რომელიც ინგლისურ ენას ასწავლიდა და ელისაბედ ბაგრატიონი, რომელიც ფრანგულ ენას ასწავლიდა. [43] აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში, ევროპის მასშტაბით, წამყვან უნივერსიტეტებში ქალი პროფესორების ნაკლებობა საკმაოდ თავლშისაცემი იყო.

---

[42] თბილისის *სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წელი "მასალები* II,. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ.64 თბილისი, 2018

[43] ქალები პირველ რესპუბლიკაში. დაწვრილებით სტატია, შეგიძლიათ იხ: amerikiskhma.com

ქალთა საკითხებში და ფემინისტურ იდეებში ევროპული გამოცდილების გაზიარება და ხელმისაწვდომობა დასრულდა რუსეთის იმპერიის მიერ ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებით. ის ჰარმონიული პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ევროპასთან ერთად, შეწყდა და სრულიად სხვა რელსებზე გადავიდა.

1.3.2. საბჭოთა საქართველო და ქალთა უფლებები

„რევოლუციამ გაათავისუფლა ქალი. უფლება მისცა მას, იდგეს ქმრის, მამის და ძმის გვერდით შრომის პროცესში. ქალთა საკითხი გადაწყვეტილია,

სტალინი

ამ სიტყვებით დაასრულა იოსებ სტალინმა ქალთა უფლებების საკითხზე დისკუსია და მოსპო აზრთა სხვადასხვაობა. მანამდე კი:

საბჭოთა კავშირი, თითოეული ადამიანის წარმოდგენაში არის ტოტალიტარული სივრცე, რომელიც აწესებს ცენზურას და ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას. ამის მიუხედავად, ძალიან საინტერესო და განსხვავებული ის მიდგომები და ტრადიციები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ქალთა უფლებების მიმართ იჩენდა. 8 მარტი, როგორც მთავარი ფემინისტური დღესასწაული, გერმანელი სოციალ-დემოკრატის, კლარა ცეტკინის სახელს უკავშირდება. კლარა ცეტკინისთვის ქალების განთავისუფლება კაპიტალიზმის განადგურებითა და სოციალიზმის გამარჯვებით მიიღწეოდა. ცეტკინის აზრით, ქალიცა და მამაკაციც, რომელიც წარმოადგენს მუშათა კლასს, არიან ერთნი და იბრძვიან საერთო საქმისათვის. საერთო საქმეს კი სამართლიანობისა და თანასწორობის აღდგენა წარმოადგენდა ამ ორ სქესს შორის[44]. განსხვავებით ნეოლიბერალური ფემინიზმისა, სოციალისტური ფემინიზმი აქცენტს აკეთებდა ქალის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

[44] კლარა ცეტკინისა და 8 მარტისა და ქალის უფლებების შესახებ. დაწვრილებით იხ. https://publika.ge

იგი მჭიდრო კავშირს ხედავდა ადამიანის ინდივიდუალურ თავისუფლებასა და მათ ეკონომიკურ მდგომარეობას შორის.[45]

1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა იდეოლოგებმა განიზრახეს შეექმნათ ახალი ტიპის საზოგადოება, ახალი წესებითა და იდეოლოგიით. აქვე დღის წესრიგში დადგა ქალების როლის გარდაქმნა. წერა-კითხვის სწავლა და მათი ჩაბმა აქტიურ სოციალურ ცხოვრებაში. მოგეხსნებათ, ამ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პოლიტიკურ სულისკვეთებას და პროლეტარული ღირებულებების გავრცელებას. ქალი, როგორც მომავალი თაობის აღმზრდელი, ამ მისის შემსრულებლად იქცა. მისთვის პოლიტიკური ცოდნა სავალდებულო და საჭირო გახდა. საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ქალი, ალექსანდრა კოლონტაი [46] დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალისთვის პირადი თავისუფლების არსებობას. იგი მონოგამიურ ურთიერთობებსაც კი ეწინააღმდეგებოდა და ოჯახს ქალის შემბოჭველ, ბურჟუაზიულ გადმონაშთად მიიჩნევდა.[47]

საბოლოო ჯამში, ოჯახის ინსტიტუტი მაინც წინ დააყენა საბჭოთა იდეოლოგიამ. ძალიან მნიშვნელოვანი, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი იყო მსოფლიოში პირველი ქვეყანა, სადაც აბორტის ლეგალიზება მოხდა. იტალიელი მემარცხენე ფილოსოფოსი, ანტონიო ნეგრი [48] დღეს წერს,რომ თანამედროვე

---

[45] ალექსანდრა კოლონტაი იყო სოციალისტური ფემინიზმის თვალსაჩინო აქტივისტი. იგი ბოლშევიკების რიგებიდან მალევე გადავიდა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სათავეში. ალექსანდრა კოლონტაი აქტიურად ახორციელებდა ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას მუშათა კლასის ქალებთან მიმართებაში. იგი აქტიურად უჭერდა მხარს პარტიის ძირითად მიმართულებას ქალთა გათავისუფლების შესახებ. ამის საუკეთესო გზად იგი ხედავდა მათ საზოგადოებრივ წარმოებაში ჩართვას. მისი აზრით, მხოლოდ წერა-კითხვის სწავლა ქალისათვის არ იყო საკმარისი და ამით ვერ გადაწყდებოდა მათი ჩაგრული მდგომარეობის საკითხი. ალექსანდრა კოლონტაის აზრით, ქალების დაწინაურების შესახებ ემყარებოდა ტრადიციული თვისებებისა და ქცევის ნორმების ჩანაცვლებას სხვა, უფრო მამაკაცისათვის დამახასიათებელი თვისებებითა და ქცევის ნორმებით.

[46] ალექსანდრა კოლონტაის მოსაზრებები, ქალების უფლებების შესახებ.დაწვრილებით იხ: http://womensgaze.org.ge

[47] იქვე.

[48] ანტონიო ნეგრი(1933-), იტალიელი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, ოპერაიზმის თეორეტიკოსი.

ფემინიზმს ბევრი აქვს სასწავლი სოციალური ფემინიზმისგან და რომ მარქსისტული თეორიები, აუცილებლად გასააზრებელია, იმისათვის რომ თანამედროვე ფემინისტური მანიფესტი მივიღოთ. [49] ამის პარალელურად, დღევანდელი გადმოსახედიდან, ბევრი მეცნიერი და მოაზროვნე მიიჩნევს, რომ ყველანაირი დეკლარირებული უფლება, რომელიც ქალს გააჩნდა საბჭოთა კავშირის პერიოდში, იყო ქალთა ცრუ ემანსიპაციის პროცესის წარმოჩენა და სხვა არაფერი. სინამდვილეში ქალები ოჯახისა და სახელმწიფოსთვის ერთდროულად იბრძოდნენ და მუშაობდნენ და ისინი ერთგვარად, მოკლებულნი იყვნენ თავისუფალ ნებას.

საქართველოს სსკ შრომის კანონთა კოდექსი, ცალკე თავს უძღვნიდა ქალთა შრომას. დეკრეტული შვებულებისა და სხვა პროგრესული დათქმების გარდა, ძალიან საინტერესოა 164-ე მუხლი, რომელიც ამბობს: აკრძალულია სამუშაოზე მიღებისას ქალებისათვის უარის თქმა და მათთვის ხელფასის შემცირება ორსულობის ან ბავშვის კვებასთან დაკავშირებული მოტივებით. დაუშვებელია იმ ქალების სამსახურიდან დათხოვნა, რომელსაც ერთ წლამდე ბავშვები ჰყავთ... [50] აღნიშნული დათქმა ცხადია ძალიან მნიშნელოვანია და დღევანდელ დღეს, ქალები ასეთ დაცვას მოკლებულნი არიან. ხშირად დამსაქმებელი უარს ეუბნება დასაქმებაზე ქალს, არათუ ორსულობის, არამედ პოტენციური დედობის გამო. აღსანიშნავია, რომ ადრეული საბჭოთა კავშირის პერიოდი და შემდგომი, გვიანდელი საბჭოთა მიდგომები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, მათ შორის გენდერული პოლიტიკის მიმართულებით.

ქალი, როგორც იდეის ხატება, მნიშნელოვანი ხდება მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან. ეს გამოიხატებოდა სახვით ხელოვნებაშიც. ამ პერიოდში შექმნილ ლოზუნგებს, პოსტერებს, მონუმენტებს, ხშირად ჰქონდათ ქალის სახე. ქალი, რომელიც დედა და მშრომელია. დეკლარირებული კვლავ იყო ქალთა უფლებების

[49] Negri A., insurgencies. 1999.p.47-48.

[50] კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი, მუხლი 164.

დაცვაზე მიმართული პოლიტიკა, რიტორიკურ დონეზე, ქალთა ემანსიპაცია კვლავაც აქტუალურ საგანს წარმოადგენდა. მართლაც, საბჭოთა კავშირის მიზანი ამ პერიოდში, ყველა დიასახლისის დასაქმება და მუშახელად ქცევა ნამდვილად იყო. მასობრივი დასაქმების პოლიტიკაში, ქალი და კაცი არ განირჩეოდა. ამის პარალელურად, შობადობის გაზრდის მიზნით, დედობის პროპაგანდირება და წახალისება მიდიოდა. ქალებს ორმაგ სოციალურ წნეხში უწევდა ცხოვრება. იგი ერთის მხრივ, კარგი დედა და ოჯახის ბურჯი, ხოლო მეორეს მხრივ მშრომელთა ფენის წარმომადგენელი, მუშახელი უნდა ყოფილიყო. იაფ მუშახელად გარდაქმნა და ამავე დროს ოჯახური ცხოვრების წარმართვა, საბჭოთა ქალის ვალდებულება იყო.

საბჭოთა კავშირის ისტორიის ნაწილია რეპრესიები. და სანამ ამ პერიოდის ევროპული ელიტა და მოაზროვნე ნაწილი სიმონ დე ბოვუარის ფემინისტური ნაშრომებით იკვებებოდა და პატრიარქალური წარმოდგენები ნელნელა ეცვლებოდა, აუცილებლად უნდა განვიხილოთ რეპრესიები და მათი გავლენა ქალებზე. კაცებთან ერთად, ხვრეტდნენ და ასახლებდნენ ქალებს, მათ შორის განსაკუთრებით ისეთ ქალებს, რომლებსაც წვდომა ჰქონდათ ძალაუფლებასა და განსაკუთრებულ ინტელექტუალური რესურსებით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, დახვრეტის ზომა მიუსაჯეს ორ ბოლშევიკ ფემინისტს: მარიამ ორახელაშვილსა და ლიდია გასვიანს. სასჯელს ვერ გადაურჩნენ ვერც პარლამენტარი ქალები.[51]

გადასახლებულ ქალთა უმრავლესობა იძულებით შრომას ეწეოდა საბჭოთა კავშირის ტერიოტორიებზე გაფანტულ ბანაკებში. ცალკე კატეგორიად უნდა გამოიყოს, მოღალატეთა ცოლები, რომლებსაც სისტემა იმ დროს, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის წევრობის გამო აკისრებდა სასჯელს. საბჭოთა რეპრესიებს შეწირული ქალების ცხოვრებამ შიშსა და ტკივილში გაიარა.[52]

---

[51] საბჭოთა რეპრესიების დროს, ქალების უფლებების შესახებ: https://feminism-boell.org
[52] იქვე.

არც ამის შემდგომი პერიოდი იყო მარტივი. დამოუკიდებლობის მოპოვებამ და ერის თვითგამორკვევის პროცესის დაწყებამ, რომელიც დღესაც მიმდინარეობს არ შეწყვეტილა, მტკივნეული გამოცდილება მოუტანა ქართველ ქალებს. სოციალურ-ეკონომიკური ქარიშხლის გარდა, რომელიც კონკრეტულად ქალს დაატყდა თავზე საქართველოში, რთული აღმოჩნდა ისევ ძველ, ევროპულ ღირებულებებზე გადაწყობის პროცესი.

ამრიგად, წინამდებარე თავში განხილული საკითხები მოწმობს, რომ ის გზა რომელიც საქართველოში ქალებმა განვლეს, მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული. საკანონმდებლო კუთხით, თითქმის ყოველთვის, ქალისა და მამაკაცის უფლებრივი მდგომარეობა იყო თანაბარი ხოლო ჩვენი ისტორიული გამოცდილება საამაყო. ევროპის ბევრ ქვეყანაზე ადრე მოპოვებული საარჩევნო უფლებები, ფემინისტები, ქალები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მოწმობს საქართველოს ჭეშმარიტი ღირებულებები, ქალისა და მამაკაცის უფლებრივ თანასწორობაზე გადის.

თავი II

ქალთა უფლებების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები.

თანამედროვე საქართველოში ქალის უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის საკითხები, განსხვავებით წარსულისგან, სხვა გამოწვევების წინაშე დგას. ხშირად ისე ხდება, რომ ქალის უფლებები ყველაზე მეტად ირღვევა იქ, სადაც წესით ყველაზე მეტად უნდა იცავდნენ მას. ეს ადგილი ოჯახია. ისევ შემაშფოთებელია ოჯახში ძალადობისა და ქალთა მკვლელობების სტატისტიკა. ყველა პრობლემის ფონზე, ერთი რამ მაინც სასიხარულოა. განსხვავებით წინა პერიოდებისაგან, როდესაც ასე თუ ისე ტურბულენტურ გარემოში იმყოფებოდა ადრეული ფემინიზმი საქართველოში, ხოლო შემდგომში უკვე სოციალურმა ფემინიზმმა ჩაყლაპა, დღეს გაცილებით დაცული და სტაბილურია შეხედულებები, მიდგომები და ქმედებები.

საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა, მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება და ევროპული ლიბერალიზმის ტრადიციების პოპულარიზაცია რთულად, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. დღეს უკვე საახელმწიფოები ვალდებულნი არიან სხვადასხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ და ამაზე ზედამხედველობას სპეციალური კომიტეტები ახდენენ. პერიოდული ანგარიშებისა და რეკომენდაციების გზით, სახელმწიფო მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.[53]

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო უკვე ხელმისაწვდომ და აქტიურად გამოყენებად ორგანოს წარმოდგენს უფლებათა დარღვევის დროს. ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის მიხედვით,

---

[53] მესხი მ., *ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით.* სახელმძღვანელო წიგნი I. გამომცემლობა შპს,, ულტრა“.2021. გვ.169.

ისევე როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება, ევროკავშირის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და პრინციპია.

დამოუკიდებლობის მიღების დღიდან დღემდე, საქართველო არაერთ საერთაშორისო და რეგიონულ ინსტრუმენტს შუერთდა და მიიღო უმნიშნელოვანესი საკანონმდებლო აქტები. ესენია:

- 1994 წელი- საქართველო შეუერთდა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციას (შემდგომში - CEDAW) და ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება იკისრა ცხოვრების ყველა სფეროში - აღმოფხვრას ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპული კონცეფციები;
- 1995 წელი- საქართველო შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფორმას და ვალდებულება იკისრა, შეემუშავებინა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რაც ერთი შეხედვით, თითქოს განხორციელდა 1998-2000 წლებში, ეროვნული სამოქმედო გეგმით - „ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის "-გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებით;
- 2004 წელი- შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო, ხოლო 2005 წელს გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია;
- 2006 წელი- საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია 2006 წელს, ასევე, მიღებული იქნა საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ და საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- 2007 წელი- დაამტკიცდა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმა [54] .

[54] საქართველოს მთავრობის დადგენილება, *„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისიის შესახებ "*. მიღებულია: 2007 წლის 26 სექტემბერს.

სამოქმედო გეგმით გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის განათლების სფეროში, მთელი რიგი ღონისძიებები დაიგეგმა;

- 2007 წელი- შეიქმნა საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისია;[55]
- 2009 წელი- საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება #665, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე[56];
- 2010 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ,[57] კანონის მიზნად განისაზღვრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობის უზრუნველყოფა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ამ კანონმა ნორმატიული ლექსიკით განმარტა თანასწორი მოპყრობის ტერმინი. გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონმა, ასევე დაადგინა და განსაზღვრა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები;[58]
- 2012 წელს მიღებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილება და დაემატა 126 პრიმა მუხლი, რომელმაც მოახდინა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია;[59]
- დაკანონდა ადევნების კრიმინალიზაცია;[60]

---

[55] საქართველოს მთავრობის დადგენილება, *„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისიის შესახებ “.* მიღებულია: 2007 წლის 26 სექტემბერს.

[55]საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #665 *ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე.*

[56] საქართველოს კანონი, გენდერული *თანასწორობის შესახებ “,* მიღებულია: 2010 წლის 26 მარტს.

[57] იქვე.

[58] *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ”,* მიღებულია: 2018 წლის 30 ნოემბერს.

[59] სტამბოლის კონვენცია განმარტავს, რომ ადევნება წარმოადგენს ქალის მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1511 მუხლში, ასახვა ჰპოვა სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლმა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ადევნების შემთხვევაში.

- 2017 წელს , საქართველო მიუერთდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას;[61]
- სექსუალური შევიწროების შესახებ კანონი და კანონმდებლობა;[62]
- ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიერ მიღებული დოკუმენტები ქალის უფლებათა დაცვის სფეროში, უმნიშვნელოვანეს აქცენტებს კარნახობს ეროვნულ კანონმდებლობას და იმპლემენტაციის მექანიზმების ჩამოყალიბებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.[63]

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, დასაქმების ყველა სეგმენტში, ქალების საშუალო შემოსავალი ნაკლებია კაცების საშუალო შემოსავალზე[64].

განათლების სისტემაში, არ არსებობს ინტეგრირებული სწავლება, რომელიც შეცვლიდა გენდერთან დაკავშირებულ სტერეოტიპულ მიდგომებს. ხშირად, კონკრეტული ვაკანსიის ტექსტი, უკვე არის დისკრიმინაციული და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მამაკაცთა დანიშვნის უპირატესობის შემცველი ირიბად თუ პირდაპირ.

ქალი დისკრიმინაციის ობიექტი ხდება მაშინ, როცა საუბარია ორსულობასა და მშობიარობაზე, დეკრეტული შვებულებით სარგებლობაზე. ძალიან ბევრი

---

[61] *,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია."* მიღებულია: 2011 წლის 11 მაისს.

[61] 2010 წლის 12 აპრილის ცვლილებები, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში, გულისხმობს სექსუალური შევიწროების განმარტებას. იგი წარმოადგენს სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

[62] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I გამომცემლობა შპს,, ულტრა".გვ.80.2021

[63] სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემები. დაწვრილებით იხ:https://www.geostat.ge

დამსაქმებელი უარს ეუბნება დასაქმებულ ქალს ამ შვებულებით სარგებლობაზე ან საერთოდაც ათავისუფლებს მას სამსახურიდან. უნდა აღინიშნოს, რომ დეკრეტული შვებულებები პრობლემატურია, როგორც დასაქმებულთათვის, ისე დამსაქმებლისათვის. ძალიან ხშირად, დამსაქმებელიც და სოციუმიც იზიარებს მცდარ კულტურულ შეხედულებებს და მიაჩნიათ, რომ დეკრეტული შვებულება მხოლოდ ქალს უნდა ეკუთვნოდეს. ამ დამოკიდებულების შეცვლა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ნაწილი უნდა გახდეს.

გენდერულ თანასწორობას ორი მთავარი პრინციპი ახასიათებს - კეთილდღეობა და სამართლიანობა. სამართლიანია, თუ ქალსა და კაცს აქვთ თანაბარი სასტარტო პირობები და ცხოვრებისეული შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თუ ქალები და კაცები თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, თუ თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესში. თუ ეს პრინციპები დაცულია საზოგადოებაში, ის ქვეყნის კეთილდღეობასა და სამართლიანობაზე დაფუძნებულ, მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. გენდერული თანასწორობის მისაღწევად ეფექტური მექანიზმების დანერგვის მიზნით მოთხოვნები იზრდება. ამის ფონზე, საქართველომ მიმდინარე პერიოდში, სავალდებულო კვოტირების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. გენდერული კვოტირება - წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ ნორმას პოლიტიკურ ინსტიტუციებში - საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში - ქალთა მონაწილეობის გასააქტიურებლად. კვოტირების იდეა მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისგან.

აქვე, როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ქალთა მკვლელობები და ოჯახში ძალადობის არასახარბიელო სტატისტიკა. ფემიციდის პრევენციისთვის შესაფერისი ზომები უნდა იქნას მიღებული. საჭიროა ყველა შემთხვევის ეფექტურად განხილვა და კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა.

პანდემია ცალკე გამოწვევად იქცა ქალის უფლებების კუთხით. ეს ცხადია, არ არის ლოკალური პრობლემა და საერთაშორისო მასშტაბები გააჩნია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, იღებენ ყველა შესაბამის ზომას, რათა აღმოფხვრან ამ კრიზისის მავნე გავლენა ქალთა უფლებებზეც. ევროპის საბჭო, სტამბულის კონვენციი[65] სულისკვეთებით, პანდემიის პერიოდში, პერიოდულად აქვეყნებდა, სახელმძღვანელოებს, მითითებებს და ინიციატივებს. ევროკავშირის მასშტაბით, ქალებზე ძალადობის შემთხვევები, კარანტინის პერიოდში გაორმაგდა. საქართველოში არსებული გენდერული უთანასწორობა ცხადია პანდემიამ კიდევ უფრო გააღრმავა. როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში, საოჯახო საქმიანობასა და ბავშვების მოვლაზე ძირითადი ტვირთი ქალებზე მოდის. შრომის არათანაბარი გადანაწილება, ქალების უმრავლესობას კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით პანდემიის გავრცელების პირობებში, არ შეინიშნება ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების ზრდა.[66] თუმცა, მეორე მხრივ, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში მათ ძალადობასთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარებისთვის იმაზე მეტმა ქალმა მიმართა, ვიდრე სხვა დროს.[67]

ქალთა უფლებების დაცვა, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ხორციელდება როგორც ეროვნული საკანონმდებლო აქტებით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით. სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება შეასრულონ სხვადასხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. პერიოდული ანგარიშებისა

---

[65] ინფორმაცია ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ, რომელიც მოცემულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. დაწვრილებით იხ. https://police.ge

[66] ახალგაზარდა იურისტთა ასოციაციის კვლევა. დაწვრილებით, შეგიძლიათ იხ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებ-გვერდზე. https://gyla.ge

[67] საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, მოხდა დარგის ექპერტის ინტერვიუირება. აღნიშნულ თემაზე ინტერვიუ წარმოდგენილი დანართი 1- ის სახით, ნაშრომის ბოლოს.

და რეკომენდაციების გზით, სახელმწიფო ასე მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

მაინც რა არის საჭირო იმისათვის, რომ საკანონმდებლო კუთხით არ არსებობდეს გენდერული დისკრიმინაცია? წინამდებარე ნაშრომში, განხილული იქნება, საქართველოში არსებული კანონმდებლობა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით. ასევე, საერთაშორისო მექანიზმები და ხელშეკრულებები. ეროვნული სასამართლო პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ, სხვადასხვა დროს მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, ვეცდები დავინახო ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც დღეს გაგვაჩნია და ასევე მისი აღმოფხვრის გზები.

2.1. ქალის უფლებების დაცვა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს კონსტიტუცია ქალებისა და მამაკაცების თანასწორ უფლებებს უზრუნველყოფს. საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველოში სრულიად ახალი წესრიგი დამყარდა. ღირებულებათა გადაწყობის პროცესი დღემდე რთულად მიმდინარეობს.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული აქტივობები, ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, გამოხატულია საკანონმდებლო აქტებში და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლებსაც ეტაპობრივად უერთდება ჩვენი სახელმწიფო.

CEDAW კონვენციით და პეკინის სამოქმედო პლატფორმით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, 1999 წელს, შემუშავდა და ხელი მოეწერა, პრეზიდენტის 511-ე ბრძანებულებას, ,,საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.“ აღნიშნული ბრძანებულება შედგება თექვსმეტი მუხლისაგან. მოხსენიებულია სხვადასხვა სამთავრობო უწყებები, სამინისტროები, რომლებსაც პრეზიდენტი გენდერული თანასწორობის კუთხით,

აძლევს დავალებებს. უფრო კონკრეტულად, პარლამენტს დაევალა ქალთა პოზიციების გასაუმჯობესებლად დროებითი, სპეციალური ღონისძიებების უზრუნველყოფა. საგარეო საქმეთა სამინისტროს, მოლაპარაკებების პროცესში ქალთა აქტიური ჩართულობა. ჯანდაცვის სამინისტროს - ქალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ღონისძიებების გატარება. ასევე შესაბამის უწყებას დაევალა შრომით ბაზარზე, ქალთა პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის შემთხვევების მოკვლევა და გამოვლენა.[68] მნიშვნელოვანია ,რომ პირველად ქალთა სავალდებულო კვოტირების შესახებ საკანონმდებლო დონეზე საუბარი, სწორედ ამ ბრძანებულებაში იყო. პრეზიდენტმა ქალთა პოზიციების გაუმჯობესების მიზნით, პოლიტიკურ წარმომადგენლობებში, ქალთა კვოტებზეც ისაუბრა.

მორიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, მიღებული იქნა 2000 წლის 25 თებერვალს. საქართველოს პრეზიდენტის 64-ე ბრძანებულება, ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის (2000-2004) დამტკიცების შესახებ. [69] აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკანონმდებლო აქტი არ აღმოჩნდა ფუნქციური. მასში წარმოდგენილი თარიღები არ იქნა დაცული და მოგვიანებით, ყველა დათქმული ვადა, შეცვლილი იყო, ახალი ვადით.

გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო, საქართველოში შეიქმნა 2004 წელს, ხოლო მომდევნო წელს დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია.

2006 წელს მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის დადგენილება, გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების თაობაზე.[70] აღნიშნული კონცეფცია წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტს. ამ აქტით,

---

[68] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის (2000-2002 წლები) დამტკიცების შესახებ მიღებულია: 2000 წლის 25 თებერვალი.

[69] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის (2000-2004 წლები) დამტკიცების შესახებ". მიღებულია: 2003 წლის 17 იანვარსს.

[70] საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი კომისიის შესახებ "მიღებულია: 2007 წლის 26 სექტემბერი.

ნორმატიულ ენაზე განიმარტა რიგი ტერმინები. კერძოდ: გენდერი, გენდერული თანასწორობა, სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და ა.შ. შემდეგ წელს კი პარლამენტმა დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებელი ღონისძიებები. გაიწერა, რომ ეს გეგმა უნდა შესრულებულიყო 2007-2009 წლებში. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო განათლების სფეროში.[71] უნდა მომხდარიყო ამ სისტემაში გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპების ჩანაცვლება ახალი, გენდერულ თანასწორობაზე ორიეტირებული ხედვით. ეს უნდა მომხდარიყო განათლების ყველა საფეხურზე. ასევე გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გენდერული ასპექტები საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში.

2006 წელი, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით. ამავე წელს, მიღებული იქნა ასევე საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“ [72] კანონის მიზანი იყო ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ასევე, ძალადობის თავიდან აცილება და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. ამ კანონში განმარტებულია ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინები, როგორიც არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, იძულება და ა.შ. ასევე განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები. კანონი განმარტავს, დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოწერის წესს, მოქმედების ვადებსა და მუშაობის მექანიზმს.

---

[71] საქართველოს კანონი, ქალთა *მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ*”. მიღებულია: 2006 წლის 25 მაისს.

[72] იქვე.

მოგვიანებით, 2009 წელს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ, გამოიცა 665-ე ბრძანებულება, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ასევე 2010 წელი. ამ წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ.[73] ეს კანონი, გარდა იმისა, რომ ადგენს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს, თავისუფლებებს და შესაძლებლობებს მათი რეალიზაციისათვის, ამავე დროს პირველად განმარტავს ნორმატიულ დონეზე ,,თანასწორი მოპყრობის ტერმინს.“ იგი განიმარტა, შემდეგნაირად: ,,განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმაციის დაუშვებლობა.[74]

2014 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ყველაზე მოცულობითი სამოქმედო გეგმა 2014-2016 წლებისათვის.[75] გეგმა მოიცავს უამრავ პუნქტს, მათ შორის: საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერებას; სასამართლო სისტემაში დასაქმების პროცესში გენდერული პარამეტრების გათვალისწინებას და გენდერული სტატისტიკის წარმოებას; აღმასრულებებლ ხელისუფლებასთან გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისიის შექმნას; საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებთან; საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებას; საჯარო სამსახურის რეფორმის დროს გენდერული პარამეტრების გათვალისწინებას; ეროვნული

---

[73] საქართველოს კანონი, გენდერული თანასწორობის შესახებ., მიღებულია: 2010 წლის 26 მარტს.

[74] საქართველოს კანონი, გენდერული თანასწორობის შესახებ.,მუხლი მე-3.

[75] საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1945-*რს. „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის “დამტკიცების* შესახებ. მიღებულია: 2014 წლის 24 იანვარსს.

სტატისტიკის მონაცემთა ბაზებში გენდერული სტატისტიკის განახლებას; განათლების სფეროში, მოქმედ ძირითად კანონებში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებას; ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის დანერგვის ხელშეწყობას; ტექნიკურ მიმართულებებში გენდერული ბალანსის გაუმჯობესებას; საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებზე ახალგაზრდობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების გზით, გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას ცნობიერების ამაღლების გზით; აგრობიზნესში, ქალთა მონაწილების გაზრდას; სპორტულ ცხოვრებაში, სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ქალთა ცოდნის დონის, დასაქმების გაზრდას და ჩართულობას; პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობას, არჩევით ორგანოებში ქალთა მონაწილეობის გაზრდას, გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას; ძალოვან უწყებებში ქალთა დასაქმება და გენდერული სტერეოტიპების მსხვრევას, პატიმარი ქალის უფლებების დაცვას, გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრას და სხვა უამრავ ასპექტს,რომელიც მოიცავს ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროს.

პრობლემური და საინტერესო საკითხია, **სუროგატი დედების, დეკრეტული შვებულების რეგულირება** საქართველოს მოქმედი შრომის კანონმდებლობით. სახელმწიფოსთვის, გამოწვევაა სუროგაცია როგორც სოციალური მოვლენა და არა მხოლოდ საკანონმდებლო კუთხით.[76] საქართველომ დასაშვებად სცნობს სუროგატი დედის არსებობას, [77] თუმცა, შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს არანაირ სპეციალურ დათქმას ან რეგულაციას, იმის შესახებ თუ რა წესები მოქმედებს, მათ

[76] საქართველოს კანონი, *ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ",* მუხლი 143-ე:,, ექსტრაკორპული განაყოფიერება, ნებადართულია.''

[77] საქართველოს შრომის კოდექსის 54-ე მუხლის დეფინიციაც არის იმგვარი რომ იგი ითვალისწინებს დეკრეტული შვებულების რეგულირებას ორსულობის, ბავშვის მოვლის და შვილად აყვანის გამო. საინტერესოა, რომ კანონმდებელი ცალკე გამოყოფს შვილად ამყვანის დეკრეტულ შვებულებას, ხოლო სუროგატი დედის ან სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვის მშობლის დეკრეტული შვებულების საკითხი, მოუწესრიგებელია.

მიერ დეკრეტული შვებულებით სარგებლობის შესახებ.[78] საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა ორი ქალის უფლება, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს შვებულებით: ერთი, თავად სუროგატი დედა, ხოლო მეორე სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობელი. ამ საკითხთან დაკავშირებით, არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა პრივატულობის და საკითხის განსაკუთრებული დელიკატური ხასიათის გამო. დეკრეტული შვებულება, რომლითაც ქალი სარგებლობს, ერთის მხრივ, განკუთვნილია მათი ბიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, იმიტომ რომ მათ ფიზიკურად არ შეუძლიათ შრომით ურთიერთობებში მონაწილეობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, (და აქ იგულისხმება ასევე ფსიქო-ემოციური განწყობები) ხოლო, სხვა მხრივ ქალსა და ბავშვს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის დასაცავად და ჩამოსაყალიბებად, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, სწორედ სიცოცხლის პირველ დღეებში. შესაბამისად, ორივე ქალი ექცევა განსაკუთრებული დაცვის ქვეშ და საჭიროებს დეკრეტულ შვებულებას.

საქართველოში მოქმედი შრომის კანონმდებლობის მიხედვით, რეგულირებულია შვილად ამყვანის დეკრეტული შვებულება, მაგრამ კანონი არ საუბრობს სუროგატი დედების ან სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვის დედის შრომით სამართლებრივ უფლებებზე. ვინაიდან, კანონმდებელმა ცალკე გამოყო შვილად აყვანის შესახებ დეკრეტული შვებულება, ბავშის მოვლის მიზნით,[79] და ის დააკავშირა მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის მოვლის კომპონენტთან, სადავო საკითხს არ უნდა წარმოადგენდეს, რომ სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვის მშობელი, ამავე ნიშნით უნდა იღებდეს იგივე დეკრეტულ შვებულებას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: ,,ბავშვის დედად, შეიძლება მოგვევლინოს ქალი, რომელმაც არ

---

[78] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 38: დასაქმებულს, რომელმაც იშვილა 1 წლამდე ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე. "

[79] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N3ბ436-16; 4.3.2.

იმშობიარა და არ კვებავს შვილს ძუძუთი“.[80] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“[81] საქართველოს კანონის პირველი მუხლი, განსაზღვრავს ამ კანონის მიზანს და დაუშვებლად სცნობს დისკრიმინაციას რაიმე ნიშნით. იქნება ეს სქესის, რასის, პოლიტიკური შეხედულების თუ რაიმე სხვა ნიშნით. იგივე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად *,,პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს.“* [82] აღნიშნული მუხლების შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახეზეა დისკრიმინაციული მიდგომა, სუროგატი დედებისა და სუროგაციის გზით გამხდარი მშობლის მიმართ. ამ განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრულად დასაბუთებული გამართლება და იგი არათანაზომიერია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გამარტებით, იმისათვის რომ კონკრეტული საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის ქვეშ, [83]აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.[84] ხოლო, ყველა სხვა შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას არ აქვს ობიექტური დასაბუთება და გონივრული საკითხის გონივრული გამართლება. ეს ნიშნავს იმას, რომ განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაყენება, მიზნად არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს

---

[80] საქართველოს კანონი, ''დისკრიმინაციის *ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.''* მიღებულია: 2014 წლის 7 მაისს.

[81] იქვე.

[82] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მუხლი მე-14. დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ.

[83] იქვე.

[84] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მუხლი მე-14. დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ.

პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის. აქედან გამომდინარე, ცალსახაა რომ ორივე ქალი: სუროგატი დედაც და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დედაც საჭიროებს, დეკრეტულ შვებულებას. ერთი მათგანი ორსულობისა და მშობიარობის გამო, ხოლო მეორე, ბავშვის მოვლის შვებულებით სარგებლობის საჭიროებიდან გამომდინარე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, დიდი პალატის შემადგენლობით საქმეზე ,, *CASE OF KONSTANTIN MARKIN v. RUSSIA*"[85] დაადგინა, რომ მშობიარობის გამო შვებულებისგან განსხვავებით, რომელიც მიზნად ისახავს ქალებისთვის საშუალების მიცემას, რომ მშობიარობის შემდგომ რეაბილიტაციას და მათი სურვილის შემთხვევაში, ბავშვი ძუძუთი კვებას, ბავშვის მოვლის გამო შვებულება და მასთან დაკავშირებული სხვა სახის დახმარებები, მიზნად ისახავს, რომ მშობელს, რომელსაც სურს სახლში დარჩენა, ჰქონდეს საშუალება რათა პირადად იზრუნოს ბავშვზე.[86]

ევროკავშირის მიერ, 2006 წელს გამოცემული დირექტივა , თანასწორი მოპყრობის შესახებ, ამბობს: ,,სახელმწიფოებმა სოციალური პარტნიორები, მათი ავტონომიისათვის ზიანის მიყენების გარეშე, უნდა წაახალისონ, რომ ხელი შეუწყონ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას, ასევე სამუშაოსა და პირადი ცხოვრების თავსებადობის მიზნით გაატარონ წამახალისებელი ღონისძიებები."[87]

ევროკავშირის სამართლის მიხედვით, სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვის დედას უფლება აქვს ისარგებლოს დეკრეტული შვებულებით , იმ მომენტიდან როდესაც ბავშვი გადადის მისი მზრუნველობი ქვეშ. დედობის გამო შვებულების

---

[85] 2012 წლის 22 მარტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწვეტილება.
CASE OF KONSTANTIN MARKIN v. RUSSIA
001-100926 (1).pdf

[86] Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council of 5 July 2006 on the implementation of the principle of equal opportunities and equal treatment of men and women in matters of employment and occupation (recast), Art. 1(d).

[87] Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council of 5 July 2006 on the implementation of the principle of equal opportunities and equal treatment of men and women in matters of employment and occupation (recast), Art. 1(d).

უფლება უნდა იქნას განაწილებული სუროგატ ქალსა და ბავშვის დედას შორის. დედობის გამო შვებულება მინიმუმ 2 კვირისოდენობით უნდა ეკუთვნოდეს თითოეულს.[88] ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობები შვებულების შემდეგ ფორმებს იცნობს:

1) დედობის შვებულება (Maternity Leave),
2) მამობის შვებულება (Paternity Leave),
3) მშობლის შვებულება (Parental Leave),
4) ბავშვზე ზრუნვის შვებულება (Home Care Leave). [89]

ეს დიფერენცირება, კარგად გამოხატავს თუ ვის შეიძლება მიეცეს დეკრეტული შვეულება და იგი ფარავს ყველა სფეროს. ცალსახაა რომ დედობის, მამობის თუ მშობლის შვებულების საკითხი გახლავთ უფლებრივი მდგომარეობა, ბავშვზე ზრუნვის შვებულებასთან ერთად. ისინი აერთიანებენ თავის თავში ადამიანის თანაბარი მოპყრობის, ჯანმრთელობის, ქალთა უფლებების დაცვის კომპონენტებს და თავისთავად ცხადია ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვას ითვალისწინებს. ქართული სამოქალაქო კოდექსი კი არ მიჯნავს დეკრეტული შვებულების ცალკეულ კომპონენტებს. გამოყოფს მხოლოდ შვილად აყვანის შესახებ რეგულაციას, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული და შესაბამისად ამ გზით, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს სუროგატი დედის და სუროგაციის გზით შეძენილი დედის უფლებებს.[90]

ასევე ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამასთან, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებასთან დაკავშირებული პროცედურები და ანაზღაურების გაცემის პირობები განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25აგვისტოს №231/ნ

---

[88] Court of Justice of the European Union, Advocate General's Opinion in Case C 167/12 CD v ST. Luxembourg, 26 September 2013 https://eur-lex.europa.eu/legal-content/FR/TXT/HTML/?uri=CELEX:62012CC0167

[89] ბავშვზე ზრუნვის შვებულების შესახებ. დაწვრილებითი იხ. https://www.oecd.org

[90] საქართველოს ორგანული კანონი., ,,საქართველოს შრომის კოდექსი.''

ბრძანებით.[91] ამ ბრძანების მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ამბობს რომ დასაქმებული საჯარო მოსამსახურის დახმარების/შვებულების ანაზღაურების მისაღებად საავადმყოფო ფურცელს, ხოლო ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში – სასამართლო კანონის ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც ადასტურებს შვილების ფაქტს. ამას დასაქმებული წარუდგენს დამსაქმებელს ან დაწესებულებას და ითხოვს ანაზღაურებად შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო. სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვის დედა კი მოკლებულია შესაძლებლობას, წარადგინოს რაიმე სახის საავადმყოფო ფურცელი ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რაც ცალსახად ასევე წარმოადგენს დისკრიმინაციულ მიდგომას და პრობლემას უქმნის დასაქმებულს,ისარგებლოს ფასიანი დეკრეტული შვებულებით თუ ის საერთოდ შეძლებს მისით სარგებლობას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სუ როგატი ქალი დგება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების საჭიროების, ხოლო სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლები კი, ბავშვის მოვლის შვებულებით სარგებლობის საჭიროების წინაშე.

იქედან გამომდინარე, რომ კანონმდებლობა ამ საკითხს ტოვებს მოუწესრიგებელ, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლები და სუროგატი დედები არსებითად არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან იმ პირებთან რომელთა მშობლობაც, სუროგაციასთან დაკავშირებული არ არის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხი საჭიროებს მეტ ყურადღებას რათა პრობლემა იქნას აღმოფხვრილი.

[91] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის N231 ბრძანება : „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე. მიღებულია : 2021 წლის 1 იანვარს.

2.2. ქალის უფლებათა დაცვა უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტებით

ქალთა უფლებების დაცვა და განვითარება, გარდა ადგილობრივი საკონონმდებლო აქტებისა, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული რეგიონულ და საერთაშორისო ინსტრუმენტებთან. ყველა საერთაშორისო აქტი და კონვენცია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადგილობრივი კანონმდებლობის რეგულაციისა და გაუმჯობესების საქმეში.

2.2.1. ქალთა უფლებათა დაცვის გაეროს უნივერსალური სისტემა

1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია[92]. აღნიშნული დეკლარაცია წარმოადგენდა, პირველად ისტორიაში, იმ ძირითადი სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ერთიანობას, რომლითაც ყველა ადამიანი უნდა სარგებლობდეს, განურჩევლად სქესისა, რასისა თუ რელიგიური კუთვნილებისა. დეკლარაციით გათვალისწინებული, ყველა უფლება თანაბრად ვრცელდება ქალის მიმართაც. დეკლარაციის პირველივე მუხლში ხაზგასმულია დაცული უფლებით თანაბრად სარგებლობა, სქესის მიუხედავად, რაც იმპერატიულად მიუთითებს რომელიმე სქესის უფლებათა შეზღუდვის დაუშვებლობის შესახებ. [93] მოგვიანებით, 1966 წელს , მიღებული იქნა ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პაქტი: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების

[92] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს, საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით

[93] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I.გამომცემლობა შპს ,,ულტრა“, თბილისი, 2021,გვ.14-15.

შესახებ (ICCPR) [94] და ასევე სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებების შესახებ (ICESCR).[95]

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კანონმდებლობა, მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვის თანაბარი მექანიზმებისაკენ და აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას,განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მაინც ის აქტებია, რომელიც უშუალოდ ეხება, ქალთა უფლებებს. 1946 წელს დაფუძნდა გაეროს ქალის სტატუსის კომისია (CSW). მისი ძირითადი მიზანი საერთაშორისო ინსტრუმენტებში, ეროვნულ კანონმდებლობაში და სხვადასხვა კონვენციებში, ქალთა მიმართ დისკრიმინაციული ნორმების შეცვლა. ამავე კომისიის მიერ შემუშავდა ისეთი მნიშვნელოვანი აქტი, როგორიც არის ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია . [96] აღნიშნული კონვენცია, ერთ-ერთი პირველი, წამყვანი დოკუმენტია ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. (CEDAW).[97]

კონვენცია, სხვადასხვა მუხლებში დაცული სფეროებით, ფაკულტატური ოქმითა და შესაბამისი რეკომენდაციებით, იცავს ქალის უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სამოქალაქო ცხოვრების სხვადასხვა ჭრილში. [98] კონვენცია შედგება პრეამბულისა და ექვსი თავისაგან შედგება. [99] კონვენციაში წარმოდგენილ მუხლებსა და რეკომენდაციებში საუბარია იმ ზომების შესახებ, რაც გენდერული ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის უნდა იქნას

---

[94] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (international covenant on civil and political rights), მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს და ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან.

[95] საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (international covenant on economic, social and culturad rights), მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერის რეზოლუციით და ძალაშია 1976 წლის, 23 მარტიდან.

[96] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I.გამომცემლობა შპს ,,ულტრა",თბილისი,2021, გვ.46-47.

[97] კონვენცია მიღებულია, 1979 წლის 18 დეკემბერს და ძალაშია 1981 წლის 3 სექტემბრიდან. საქართველოს პარლამენტის მიერ, რატიფიცირებულია 1994 წლის 22 სექტემბერს, N 561 დადგენილებით.

[98] მესხი, მ.,ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I.გამომცემლობა შპს ,,ულტრა". 2021,გვ.21-22

[99] კონვენციის ტექსტი სრულად იხ: https://www.un.org

გამოყენებული სახელმწიფოთა მიერ. ჩამოყალიბებულია სტანდარტები და სახელმწიფოთა ვალდებულებები გენდერული ძალადობის აღსაკვეთად. [100]

კონვენციის მეოთხე მუხლი ეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, მიიღოს ყველა ზომა გენდერული თანასწორობის კუთხით. მათ შორის, იგულისხმება დროებითი ზომები. დროებითი ზომების დაზუსტება, მოგვიანებით ,მოხდა ქალის მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 25-ე რეკომენდაციაში. [101] დროებითი ღონისძიებები, მიუხედავად იმისა, რამდენი ხანი გამოიყენება იგი, არ განიხილება როგორც სამუდამო ღონისძიება და მამაკაცთა მიმართ დისკრიმინაციად.

კონვენციის მეხუთე მუხლი ეხება, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გავლენას სოციალურ-კულტურულ მოდელებზე. იგივე მუხლი ეხება დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ქალისა და მამაკაცის მიერ საერთო ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების გაზიარებას.[102]

მნიშვნელოვანია კონვენციის მეათე მუხლი, რომელიც განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას ეხება. მუხლი უთითებს ფუნქციური განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობის ერთნაირი შესაძლებლობის აუცილებლობაზე.[103]

კონვენცია ეხება დასაქმების ხელმისაწვდომობაზე, თანაბარ უფლებებს. განსაკუთრებული ყურადღება , ცხადია აქ ეთმობა ქალის, როგორც პოტენციური დეკრეტით მოსარგებლე პირის დისკრიმინაციის აკრძალვას. ორსულობისა და მშობიარობის გამო, ქალის სამსახურიდან დათხოვნას, კონვენცია დაუშვებლად

---

[100] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I.გამომცემლობა შპს ,,ულტრა".2021,გვ.23-24

[101] ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაცია N25. მიღებულია 2004 წელს. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 30-ე სესიაზე.

[102] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I.გამომცემლობა შპს ,,ულტრა".2021,გვ.25-26

[103] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I.გამომცემლობა შპს ,,ულტრა".2021,გვ.25-26

მიიჩნევს. ასევე იგი ეხება სექსუალური ზეწოლის და სხვადსხვა ხასიათის ძალადობის გამოხატულებებს სამუშაო ადგილზე. N19-ე ზოგადი რეკომენდაციით, განსაზღვრულია თუ რა მოიაზრება დისკრიმინაციულ ქმედებად სამუშაო ადგილზე: ,,დისკრიმინაციულია ქმედება, თუ ქალს აქვს გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნულის გაპროტესტება უარყოფით გავლენას მოახდენს მის სამსახურეობრივ მდგომარეობაზე, მათ შორის სამსახურში აყვანასა და დაწინაურებაზე, და ასეთი პროტესტის შედეგად სამსახურში მტრული სამუშაო გარემო შეიქმნება."[104]

კონვენცია ასევე დაუშვებლად მიიჩნევს ხანდამულ ქალთა დისკრიმინაციას, დამსაქმებელთა მიერ და ამის შესახებ 27-ე ზოგადი რეკომენდაცია საუბრობს ვრცლად. რეკომენდაციის მიხედვით, ქალებისთვის დადგენილი განსხვავებული საპენსიო ასაკის ნაცვლად, ისინი უნდა ექვემდებარებოდნენ ნებაყოფლობით საპენსიო ასაკს, რაც მათ მისცემთ შესაძლებლობას იმუშაონ სურვილის შემთხვევაში და გაზარდონ საპენსიო სარგო ამის საფუძველზე. [105]

კონვენციის მე-16 მუხლი ეხება ქალისა და მამაკაცის თანასწორობას ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში. ქალს და მამაკავს უნდა გააჩნდეთ თანაბარი და ერთნაირი უფლებები შვილებთან მიმართებაში. აღნიშნული მუხლის რეკომენდაცია N21 , უფრო ვრცლად საუბრობს თანასწორობაზე ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში. [106] კონვენცია უთითებს მიგრანტი ქალის უფლებებზე, იცხოვრონ თავიანთ მეუღლეებთან, პარტნიორებთან და ბავშვებთან ერთად, შეზღუდვების გარეშე. რეკომენდაცია აღიარებს ოჯახში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას, მიუხედავად რელიგიისა თუ ტრადიებისა. ასევე ქვეყნის სამართლებრივი სისტემისა. კონვენციის მე-16 მუხლში, ჩამოყალიბებულია

[104] ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-11 მუხლთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაცია N19.

[105] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, 2021,გვ. 33-34

[106] ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-16 მუხლის ზოგადი რეკომენდაცია N21. მიღებულია 1994 წელს. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-13 სესიაზე.

საქორწინო მინიმალური ასაკის დადგენის ვალდებულება, სახელმწიფოთა მიერ და ეს ერთგვარ ბერკეტად მიიჩნევა, ებრძოლონ , ნაადრევ ქორწინებებს. გარდა ამისა, საუბარია პოლიგამიურ ქორწინებებზე, მის პრობლემატურ ბუნებაზე და 21-ე რეკომენდაცია მიუთითებს სახელმწიფოებს, უარი თქვან, ამგვარ პრაქტიკაზე. იგი უარყოფით გავლენას ახდენს, ქალის როგორც ემოციურ ისე ფინანსულ ცხოვრებაზე და ამით ირღვევა მისი კონსტიტუციური უფლებები. [107] იგივე რეკომენდაცია, ასევე გასცემს მითითებებს ქალისა და კაცის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი და მემკვიდრეობით მიღებული ქონების განკარგვისა და აღიარების კუთხით. [108]

ძალიან მნიშვნელოვანია, კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც ქალთა ტრეფიკინგზე და პროსტიტუციის თემებზე საუბრობს. [109] აღნიშნული მუხლის ზოგადი 34-ე რეკომენდაცია, უფრო ვრცლად ადგენს პრობლემებს და უთითებს მათი გადაჭრის გზებს. [110] აღნიშნული თემები, მჭირდრო კავშირშია ემიგრანტ ქალთა შრომით ექსპლუატაციასთან და ტრეფიკინგთან.

გარდა ამ სფეროებისა, კონვენცია ეხება, ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულებას ისეთ სფეროებში, როგორიც არის: ჯანმრთელობის დაცვა (მე-12 მუხლი), ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება (მუხლი მე-13), სოფლად მცხოვრები ქალები და სხვა. [111]

ზედმიწევნით გაწერილი რეკომენდაციები და კონვენციის მუხლები, აზრს კარგავს, თუკი არ არსებობს, კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების

---

[107] მესხი, მ.,ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I.გამომცემლობა შპს ,,ულტრა".2021,გვ.36-37.

[108] იქვე.

[109] ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-6 მუხლი სრულად ტექსტი იხ. შემდეგ ვებ-გვერდზე: https://www.un.org

[110] ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაცია N34. მიღებულია 2008 წელს. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 42-ე სესიაზე.

[111] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, 2021, გვ.37-38

მექანიზმები. ამ მიზნით, კონვენცია ითვალისწინებს, სპეციალური კომიტეტის შექმნას. კომისია შედგება, მონაწილე წევრი სახელმწიფოების მიერ შერჩეული, 23 წევრისაგან. წევრებზე მოქმედებს როტაციის პრინციპი და ისინი აირჩევიან, ოთხი წლის ვადით. [112] სახელმწიფოები, ვალდებულნი არიან ანგარიშები წარუდგინონ კომისიას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ, კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ. პირველი ანგარიში რომელსაც ეწოდება საინიციატივო ანგარიში, წარდგენილი უნდა იქნეს, რატიფიცირებიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო პერიოდული ანგარიშები, ოთხ წელიწადში ერთხელ. მოსმენის და განხილვის შემდეგ, კომისია ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს და წინადადებებს, რათა აღმოფხვრან შესაბამისი ხარვეზები.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ოფიციალურ ანგარიშებთან ერთად, კომისიას შეიძლება წარედგინოს, ჩრდილოვანი ანგარიშები. მას როგორც წესი,წარადგენს არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო სექტორი და ა. შ.

კომისიაში სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვის გარდა, უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა, მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირის, მიერ წარდგენილი საჩივრების პროცედურა, რომელიც დადგენილია კონვენციის ფაკულტატური ოქმის, მე-2 მუხლით. [113] ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით, საჩივარი უნდა ეხებოდეს კონვენციის დებულებების დარღვევას, ხოლო მე-6 მუხლი ადგენს შესაბამის ვადებსა და პროცედურებს. მნიშვნელოვანია ასევე, ფაკულტატური ოქმის მე-7 მუხლი, რომელის მიხედვითაც, კომიტეტი საჩივრის

[112] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, 2021, გვ.37-38

[113] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. 2021,გვ.38-39

შესწავლის შემდეგ, დაინტერესებულ მხარეებს აწვდის თავის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, გატარებული ღონისღიებების შესახებ. [114]

თუკი, კონკრეტული ადამიანის უფლება ირღვევა და ამას გააჩნია სისტემატიური ხასიათი, კომიტეტს შეუძლია მოსთხოვოს სახელმწიფოს ინფორმაცია ამის შესახებ საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით. ასევე, კომიტეტს შეუძლია, ვიზიტი განახორციელოს სახელმწიფოში, რათა შეისწავლოს კონკრეტული დარღვევა. შიდასახელმწიფო სამართლებივი გზებისა და სასამართლო ინსტანციების ამოწურვის შემდგომ, სულ უფრო ხშირად ხდება ამგვარი საჩივრების წარდგენა. [115]

2010 წელს, ქალთა შესაძლებლობების გაზრდისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა გაეროს ქალთა ორგანიზაცია. იგი ქმედითი და ეფექტური მექანიზმია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და ოჯახში თანასწორობის მიღწევის გზაზე.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციებია:

1) ქალთა მდგომარეობის კომიტეტებისათვის, პოლიტიკის, გლობალური სტანდარტებისა და ნორმების ჩამოყალიბებაში დახმარების გაწევა;
2) წევრი სახელმწიფოების დახმარება აღნიშნული სტანდარტების განხორციელებაში;
3) ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა წევრი სახელწიფოებისათვის;
4) მიღწეული წარმატებების მონიტორინგი, მთელი სისტემის მასშტაბით. [116]

---

[114] ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი, მიღებულია 1999 წლის, 6 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის 28-ე სხდომაზე და ძალაშია 2000 წლის 22 დეკემბრიდან.

[115] მესხი, მ.,ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I.გამომცემლობა შპს ,,ულტრა".2021.გვ.41-42

[116] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, 2021, 53-54

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში გამოაშკარავდა ქალის უფლებების დაცვის, დამატებითი ბერკეტების არსებობის აუცილებლობა.1967 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, მიღებული იქნა ქალის წინააღმდეგ დისკრიმინაციის ლიკვიდაციის დეკლარაცია, ხოლო 1979 წელს, შესაბამისი კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ.

2.2.2 *ქალთა უფლებათა დაცვის რეგიონალური სისტემები*

უნივერსალური სისტემის პარალელურად, დაიწყო ჩამოყალიბება, ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალურმა სისტემებმა. დღეისათვის ცნობილია, ადამიანის უფლებების დაცვის ოთი რეგიონალური სისტემა:

1) *ევროპული;*
2) *ინტერამერიკული;*
3) *აფრიკული;*
4) *აზიური.*

ევროპული სისტემა:

ევროპული სისტემა ჩამოყალიბდა, ევროპის საბჭოს ფარგლებში. იგი დღეისათვის, ყველაზე ეფექტურ სისტემად ითვლება ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში.

2011 წლის 11 მაისს, სტამბოლში ხელი მოეწერა, ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, უმნიშვნელოვანეს კონვენციას. [117] ამ კონვენციაზე მუშაობა, ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ, ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო. კონვენციის პირველი ტექსტი უკვე 2010 წელს იყო მზად, ხოლო მასზე მუშაობა საბოლოოდ, დასრულდა 2011 წელს. კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 33 ქვეყანამ. კონვენციის მთავარი მიზანი არის ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია, მსხვერპლის დაცვა და მოძალადეზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

[117] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია https://rm.coe.int/1680464e72

კონვენცია აყალიბებს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ვალდებულებას ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევის უფრო ვრცელ კონტექსტში. კონვენცია, წევრ სახელმწიფოებს სთხოვს ძალადობის პრევენციას, მსხვერპლის სათანადო დაცვას და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნორმების მისადაგებას მოძალადის მიმართ. კონვენცია მოიცავს არა მხოლოდ ოჯახურ ძალადობას, იქნება ეს ფიზიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური თუ სექსუალური ხასიათის, არამედ ყველა სახის სექსუალურ ძალადობას, გაუპატიურებას. კონვენცია შეეხება ნებისმიერი წარმომავლობის ქალებსა და გოგონებს, მიუხედავად მათი ასაკისა, რასობრივი კუთვნილებისა, სოციალური წარმომავლობისა, მიგრანტის სტატუსის თუ სექსუალური ორიენტაციისა. კონვენცია აღიარებს, რომ არსებობს ქალთა და ბავშვთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლად ქცევის უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან და სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მათი განსაკუთრებული საჭიროებანი. გარდა ამისა, სახელმწიფოებს მოვუწოდებთ, მიუსადაგონ კონვენცია ოჯახში ძალადობის ისეთ მსხვერპლებსაც, როგორებიც არიან კაცები, ბავშვები და ხანდაზმულები. [118]

კონვენცია მოითხოვს, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას ან სხვა სამართლებრივი სანქციების ამოქმედებას , თუკი სახეზეა: ოჯახური ძალადობა (ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობა), [119] დევნა (აკვიატებული ადევნებ/გადაკიდება), [120] სექსუალური ძალადობა, გაუპატიურების ჩათვლით; სექსუალური შევიწროება; [121] იძულებითი ქორწინება; [122] ქალის

[118] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 34-ე მუხლი.

[119] იქვე.

[120] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 36-ე მუხლი.

[121] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 36-ე მუხლი.

[122] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, 2021, 81-82.

გენიტალიების დასახიჩრება “დაცვეთა”;[123] იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია.

კონვენცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საქმე. პირიქით, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს ბევრად უფრო ძლიერი ტრავმის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ ამგვარი დანაშაულის ჩამდენს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა მიესაჯოს, როდესაც მსხვერპლი მისი მეუღლე, პარტნიორი ან ოჯახის წევრია.

კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს იმპერატიულად მოუწოდებს მოახდინონ ისეთი ქმედებების კრიმინალიზაცია, როგორიცაა ოჯახში ძალადობა. ასევე ადევნება. კონვენციის ეს მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში ასახული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის მიღებით (ოჯახში ძალადობა) 2012 წელს და სისხლის სამართლის კოდექსის 151 პრიმა მუხლის (ადევნება) მიღებით 2017 წელს. გარდა ამისა, კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს სისხლის სამართლის ან სხვა საშუალებებით, მოახდინონ სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ შესაბამისი ნორმების მიღება.[124] კონვენცია ასევე ეხება იძულებითი აბორტისა და იძულებითი სტერილიზაციის თემებს. [125]

უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კონვენციაში განმარტებულია გენდერის ცნება [126] და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტერმინი ,,გენდერი“ ჩნდება საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენებში. კონვენციის მიხედვით, გენდერი არის: სოციალურად კონსტრუირებული როლების, ქცევების, საქმიანობებისა და მახასიათებლების ნაკრები, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოება ქალისთვის ან კაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს. კონვენცია ქალთა

---

[123] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, 2021, 91-92.

[124] 2016 წლის 5 მაისის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3ბ/436-16.

[125] საქმე N 24/2009. 2015 წელს, კომიტეტის 61-ე სესიაზე მიღებული რეკომენდაციები. დამატებით იხ. https://juris.ohchr.org

[126] საქმე N 24/2009. 2015 წელს, კომიტეტის 61-ე სესიაზე მიღებული რეკომენდაციები. დამატებით იხ: https://juris.ohchr.org

მიმართ ძალადობას აღიარებს ადამიანის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის ფორმად. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუ ისინი ამგვარ ძალადობაზე ადეკვატურ რეაგირებას არ მოახდენენ. ეს გახლავთ პირველი საერთაშორისო კონვენცია, რომელშიც მოცემულია გენდერის განსაზღვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალი და მამაკაცი არა მხოლოდ ბიოლოგიურად არიან მდედრობითი და მამრობითი სქესისა, არამედ ასევე განეკუთვნებიან სოციალურ კონსტრუქციაზე აგებულ გენდერის კატეგორიას, რომელიც ქალებისა და მამაკაცების კონკრეტულ როლებსა და ქცევის წესებს განსაზღვრავს. კვლევებმა აჩვენა, რომ გარკვეული როლებისა და ქცევების მიღებამ შესაძლოა ქალთა მიმართ ძალადობა დასაშვებ მოვლენად აქციოს.

კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩართონ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები და სამსახურები, რათა ეს პრობლემა კოორდინირებული ძალისხმევით გადაიჭრას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები ცალ-ცალკე კი არ უნდა მუშაობდნენ, არამედ მათ თანამშრომლობის პროტოკოლები/მემორანდუმები უნდა შეიმუშაონ.[127]

გენდერული თანასწორობის მიღწევა საკანონმდებლო რეგულაციებით შესაძლებელია, მაგრამ ძალიან რთულია. ეს ყველაფერი ახლა, რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე ომის დროს ძალიან კარგად გამოჩნდა. ჰუმანიტარული კრიზისების, განსაკუთრებით კი შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ქალები და გოგონები საშინელ სირთულეებს და გაჭირვებას განიცდიან. ქალთა უფლებები სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დადგა, მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. თითქოს, ყველაფერი ის რასაც კაცობრიობამ ამ დარგში მიაღწია მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, განადგურდა.

---

[127] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, 2021, 91-92.

საერთაშორისო ინსტრუმენტების ეფექტურობაზე საუბარი, მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, თითქმის შეუძლებელია. არ არსებობს ომი, ომის დანაშაულის გარეშე და არ არსებობს ომის დანაშაული, სექსუალური ხასიათის დანაშაულების გარეშე, რომელთა მსხვერპლი ძირითადად ქალები და გოგონები არიან. ისინი ძალიან ხშირად ხდებიან გაუპატიურების, სექსუალური დამონების, პროსტიტუციის, იძულებითი ორსულობის, სქესობრივი ძალადობის ობიექტები. გენდერი, საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში იყო, იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალები.[128] სექსუალური ხასიათის ძალადობა, ორივე მსოფლიო ომის დროს, ფართოდ იყო გავრცელებული. დღევანდელ დღეს, სოციალური ქსელებისა და სწრაფი კომუნიკაციის საშუალებების პირობებში, უამრავი სულისშემძვრელი და სახელობითი ისტორია ვიცით, ომის დროს ქალების მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე, მათ მიერ გამოვლენილ სიძლიერესა და გაბედულებაზე. დევნილ და ლტოლვილ ქალთა სიმძიმის მიღმა, არის ომის ტერიტორიაზე დარჩენილი ქალები. რთულია განსაზღვრო, სად უფრო უჭირთ მათ. ომს თან ახლავს, მასიური ხასიათის გაუპატიურებები და სქესობრივი ხასიათის დანაშაულები. ხშირად იგი ჩადენიალი არასრულწლოვანთა მიმართ და ეხება არა მხოლოდ ქალებს. მსხვერპლი შეიძლება იყოს არასრულწლოვანი ბიჭებიც. რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მიერ, სქესობრივი დანაშაულები, რომლებიც იწვევდნენ სასიკვდილო შედეგს, ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლას, იდენტიფიცირებული იქნა, როგორც გენოციდის კონვენციის მეორე მუხლის, ა და ბ პარაგრაფების დარღვევად.[129]

ევროპის სისტემის უდაო უპირატესობას წარმოადგენს, ქ. სტრასბურგში, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სასამართლოს არსებობა. სასამართლო განიხილავს ინდივიდუალურ სარჩელებს თუკი ამოწურულია ქვეყანის შიგნით,

---

[128] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, 2021, 82-83.

[129] მესხი, მ., ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინტრუმენტებით, 2021, 91-92.

უფლებათა დაცვის ყველა საშუალება, მიღებულია ამ კონკრეტულ საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების მიღებიდან გასულია არაუმეტეს ექვსი თვე. აღნიშნული სასამარლოს გადაწყვეტილებანი სრულდება ევროპის ყველა ქვეყანაში და მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, იგი ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავს სტრუქტურას წარმოადგენს.

რაც შეეხება **ინტერ-ამერიკულ** სისტემას, იგი წინ უსწრებდა უნივერსალური სისტემის ჩამოყალიბებას და გამოირჩევა განსაკუთრებული მიდგომებით. 1923 წელს, ჩილეში, ქ. სანტიაგოში იმსჯელეს ქალის უფლებების რეზოლუციაზე. ადამიანის უფლებების ამერიკულმა ორგანიზაციამ, მათი დებულებების შესასრულებლად, დაარსა ადამიანის უფლებათა კომისია და სასამართლო. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ დღევანდელ დღეს, ეს სისტემა არ წარმოადგენს ისეთივე ეფექტურ და წარმატებულ ბერკეტს, ქალის უფლებების დაცვის სფეროში, როგორც მაგალითად ევროპული ან საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემა. იგივე შეიძლება ვთქვათ, **აზიურ და აფრიკულ სისტემებზე.**

2.2.3 გენდერული თანასწორობა და სასამართლო პრაქტიკა

მიუხედავად უამრავი კონვენციის არსებობისა, ქალების მშვიდობისა და დაცვის სფეროში, არცერთ მათგანს არ გააჩნია სავალდებულო იურიდიული ძალა. ეს რეზოლუციები, სახელმწიფოს სთავაზობს, მხოლოდ კონფლიქტის შემდგომ პერიოდებში ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვას, ახსენებს სახელმწიფოებს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვადასხვა ვალდებულებების შესრულებას და ა.შ. ანუ, სამწუხაროდ, რეალურ დროს, მიმდინარე პროცესში, ისინი ვერ იცავენ ქალების უფლებებს და არ წარმოადგენენ რაიმე ქმედით ბერკეტს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ევროპის სასამართლო წარმოადგენს უნიკალურ და ერთადერთ ბერკეტს, რომელსაც ადგილობრივი სასამართლო სისტემის ამოწურვის შემდეგ, რეალური საშუალებაა, დარღვეული უფლებების აღდგენის.

1991 წლიდან მოყოლებული დღემდე, თითქოს ბევრი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და დაცვის მიზნით. თითქოს სამოქალაქო სექტორიც აქტიურობს და აწვდის მოსახლეობას ინფორმაციებს ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის შესახებ. იწერება საინფორმაციო სტატიები, ტარდება ღონისძიებები და სასამართლო პრაქტიკაც მრავალფეროვანია. ქალებმა თითქოს ისწავლეს, როგორ დაიცვან თავიანთი უფლებები. გაიგეს შემაკავებელი ორდერის არსებობის შესახებ, რომელიც მართალია ეფექტური თითქმის არ არის, მაგრამ მაინც ბერკეტია.

არსებობს სხვადასხვა ქალთა ორგანიზაციები და სურვილის შემთხვევაში, ქალს შეუძლია მიმართოს მას, თუკი მისი უფლებები ირღვევა. რეალურად კი, საქართველოს ესაჭიროება მინიმუმ 50 წელიწადი, იმისათვის რათა უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა და ყველა ქმედებას არ ჰქონდეს ისეთი ეფემერული ხასიათი როგორიც ეს დღეს აქვს. საზოგადოების ცნობიერებაც, თაობის ცვლასთან ერთად, გაცილებით მაღალი იქნება. საზოგადოება მანკიერებებს ფუთავს და ცდილობს წარმოაჩინოს ის რაც მიღებულია, მაგრამ დიდი ხანი ეს შეუძლებელია.

ამრიგად, განხილული საკითხების ანალიზი ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო ბაზა არ არის ღარიბი. თუმცა ერთია საკანონმდებლო ბაზის არსებობა და მეორე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია ამ საკანონმდებლო ბაზის პრაქტიკაში გამოყენების და დანერგვის საკითხი. საკანონმდებლო ხარვეზები ძირითადად შრომის კანონმდებლობის კუთხით არის განხილული, ვინაიდან საქართველოს შრომის კანონმდებლობა არის არასრულყოფილი დეკრეტული შებულებისა რეგულაციის საკითხებში. დაუცველია კერძო სექტორში დასაქმებული ქალის შრომითი უფლებები და სუროგატი დედების დეკრეტული შვებულების საკითხი.

საქართველოს სასამართლო სისტემაში გადაწყვეტილებები გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ძალიან ბევრია. ყველაზე ხშირად, იგი ეხება ქალის დეკრეტული შვებულების საკითხებს ან გენდერულ დისკრიმინაციას სამსახურში

მიღების ან უშუალოდ მუშაობის დროს. სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგად უნდა ითქვას, რომ უკეთესი მდგომარეობაა თუკი ეს ეხება სამოქალაქო უფლებების დაცვას, ხოლო უფრო რთულია მდგომარეობა სისხლის სამართლის საქმეებზე. ხშირად მოძალადე უდანაშაულოდ არის ცნობილი, ხოლო კასაციას დაუშვებლად აქვს მიჩნეული საჩივარი. რეალურად, ქალს არ გააჩნია ბერკეტი, ამტკიცოს კაცის მხრიდან ძალადობის შემთხვევები, განსაკუთრებით თუკი ეს არ არის ხილული და ფიზიკური ძალადობა და წარმოადგენს ეკონომიკურ, სექსუალურ ან ვერბალურ ძალადობას.

რაც შეეხება, ქალის უფლებების დაცვას, მაგალითად, დეკრეტულ შვებულებებთან დაკავშირებით, აქ სასამართლო გადაწყვეტილებები გაცილებით დახვეწილია, ითვალისწინებს თანამედროვე ევროპული საზოგადოების მოთხოვნებს, ციტირებს კონვენციებს და ახდენს დარღვეული უფლებების აღდგენას.

საინტერესოა, 2016 წლის 5 მაისის , თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3ბ/436-16 [130] ,სადაც დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქალის დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით და მოპასუხეა ქ. თბილისის მერია და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა. ამ შემთხვევაში, საქმე გვქონდა ძალიან საინტერესო გენდერულ სტერეოტიპებთან, დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, არა ქალს, არამედ კაცს არ მისცეს საშუალება ესარგებლა დეკრეტული შვებულებით. საინტერესო კი ამ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არის ის დასაბუთება, რომელსაც თბილისის სააპელაციო სასამართლო გვთავაზობს. სასამართლომ განმარტა, რომ თანამედროვე ევროპული საზოგადოება აღიარებს პასუხისმგებლობის თანაბარ გადანაწილებას, ქალსა და მამაკაცს შორის და ბავშვის აღზრდაში კაცის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს. განსხვავებული მოპყრობა, ამ შემთხვევაში აღქმულია როგორც

[130] 2016 წლის 5 მაისის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3ბ/436-16.

პოზიტიური დისკრიმინაცია, ქალების სასარგებლოდ და ქალის არახელსაყრელი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. სასამართლო ასევე განმარტავს, რომ დაუშვებელია გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული როლების მკაცრი დაყოფა. დაუშვებელია ქალი, აღიქვას საზოგადოებამ როგორც ძირითადი პასუხისმგებელი პირი ოჯახურ და პირად ცხოვრებაზე, ხოლო მამაკაცი საჯარო და პროფესიულ ცხოვრებაზე. კოლეგია განმარტავს, რომ მსგავსი დამოკიდებულება არის ქალთა დისკრიმინაციის მიზეზი. სასამართლომ იხელმძღვანელა, არამხოლოდ ადგილობრივი კანონებით არამედ მიუთითა საერთაშორისო კანონმდებლობაზე და ზოგად რეკომენდაციებზე. [131] შრომით სამართლებრივი ურთიერთობები ის სფეროა, სადაც დისკრიმინაციული მიდგომები ხშირია. ამის მიზეზს წარმოადგენს, დამსაქმებელის უპირატესი მდგომარეობა შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში. შესაბამისად, დასაქმებული ხშირად ხდება, კონკრეტული დისკრიმინაციის ობიექტი. გენდერული ნიშნით, დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში ძალიან ხშირია. დეკრეტული შვებულება, მხოლოდ და მხოლოდ საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის რეგულირდება, შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმებით. კერძო სექტორში დასაქმებულ ქალს, არ აქვს საშუალება, სრულად ისარგებლოს, მოცულობითი დეკრეტული შვებულებით.

საქართველოდან ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია 2015 წლის გადაწვეტილება X და Y საქართველოს წინაამდეგ [132], რომელიც შეეხებოდა 2009 წელს წადგენილ საჩივარს. საჩივრის ავტორები აცხადებდნენ, რომ, ამ საქმეში, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საჩივრების რეგისტრაცია, გამოძიების დროული დაწყება, ოჯახში ძალადობასთან მიმართებით საჩივრების გათვალისწინება, იმის აღიარება, რომ ფიზიკური ძალადობის ინციდენტები სისხლისსამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენდა,

---

[131] 2016 წლის 5 მაისის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3ბ/436-16.

[132] საქმე N 24/2009. 2015 წელს, კომიტეტის 61-ე სესიაზე მიღებული რეკომენდაციები. დამატებით იხ. https://juris.ohchr.org

აგრეთვე, სქესთან და ბავშვთან დაკავშირებული ფაქიზი თემებიდან გამომდინარე, შესაბამისი დაკითხვის უზრუნველყოფა. საჩივრის ავტორები, შესაბამისად, იმეორებდნენ, რომ სახელმწიფომ, კონვენციის 1-ლი, 2 (გ) და 2(დ) მუხლების მიხედვით, ვერ უზრუნველყო დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის პრინციპების პრაქტიკული რეალიზაცია.

საჩივრის ავტორები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ მოხდა მტკიცებულებების მიუკერძოებელი შეგროვება და წარმოდგენა. ასევე, არ იქნა დაკითხული ყველა მოწმე ჯეროვნად და საფუძვლიანად. ზოგიერთი მათგანი კი, საერთოდ არ დაიკითხა. ქართული მართლმსაჯულების სისტემის გადაწყვეტილებებს, საჩივრის ავტორები ასევე მიიჩნევნდნენ მიკერძოებულად. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას აკლდა ანალიზი და დასაბუთება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორები ითხოვნდნენ უფლებების დარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას. ასევე ითხოვდნენ ოფიციალურ ბოდიშს მთავრობისაგან, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს საქმის გამოძიებისა და გადაწყვეტილების მიღების პერიოდში პაქტებისა და მოვლენების სათანადო შეფასება. საჩივრის ავტორებმა ასევე მოითხოვეს კომიტეტისგან მოპასუხე სახელმწიფოსთვის მიეცა ზოგადი რეკომენდაცია, სამართლებრივი ნორმების გამოყენების გაძლიერების შესახებ. საბოლოო ჯამში, კომიტეტის მიერ, საფუძვლიანად იქნა შესწავლილი აღნიშნული საქმე. გამოიკვლეული იქნა ყველა ინციდენტი და შესაძლო დარღვევა. ამ ფაქტების შეჯერების შედეგად, კომიტეტმა მიიჩნია, რომ სახელმწიფო ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, გაეტარებინა შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის, სანქციები, რომლებიც აკრძალავდა ქალის წინააღმდეგ ძალადობას. შესაბამისად, კომიტეტმა სახელმწიფოს მიმართა შემდგომი რეკომენდაციებით: (1) საჩივრის ავტორებს მიენიჭოთ ადეკვატური ფინანსური კომპენსაცია, რომელიც მათი უფლებების დარღვევის სიმძიმის თანაზომიერი იქნება; (2) ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის და

მათი შვილებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დროული და ადექვატური დახმარების მიწოდება, მათ შორის, თავშესაფარი და ფსიქოლოგიური დახმარება; გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან, უფრო კონკრეტულად, ოჯახში ძალადობასთან მიმართებით წარდგენილ იქნეს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა; განხორციელდეს ევროპის საბჭოს ,,ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ'' კონვენციის რატიფიცირება; [133] მოსამართლეთათვის, ადვოკატებისა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისათვის, მათ შორის, პროკურორებისათვის, უზრუნველყოფილ იქნას სავალდებულო ტრენინგის ჩატარება ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ კანონის გამოყენების თაობაზე; აგრეთვე, ჩატარდეს ტრენინგი ოჯახში ძალადობის განსაზღვრებასა და გენდერულ სტერეოტიპებზე, ისევე, როგორც კონვენციის, დამატებითი ოქმებისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების, კერძოდ, მე-19 ზოგადი რეკომენდაციის შესახებ

[133] საქმე N 24/2009. 2015 წელს, კომიტეტის 61-ე სესიაზე მიღებული რეკომენდაციები. დამატებით იხ: https://juris.ohchr.org

თავი მესამე

გენდერული კვოტირების მნიშვნელობა და ისტორია

..ქალების ადგილი არის ყველგან, სადაც გადაწყვეტილების მიღება ხდება."

რუთ ბეიდერ გინზბურგი[134]

„კვოტა, ეს ავადმყოფობის წამალია. თუმცა, მას გვერდითი მოვლენებიც აქვს: მაგალითად, მის დაწესებას შეიძლება ავტომატურად არ მოჰყვეს პოლიტიკური კულტურის განვითარება".

კრისტინ პინტა.[135]

საარჩევნო უფლება, დემოკრატიული პროცესების განხორციელების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ქალებისთვის უზრუნველყოფილი არ იყო. შეგეძლოს არჩევა და იყო არჩეული- ერთერთი მთავარი ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპია. საქართველოს კონსტიტუცია რამდენიმე მუხლში ასახავს იმ კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს საარჩევნო უფლებას.[136] ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა საარჩევნო უფლების

---

[134] ამერიკელი იურისტი და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს წევრი, 1993-2020 წ. 1972 წელს მან დაარსა ქალთა უფლებების პროექტი სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირში, და 1973 წელს გახდა ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის გენერალური მრჩეველი. რუთ გინზბურგმა ამ პროექტის ფარგლებში, რომლებიც ეხებოდა გენდერული ნიშნით დიკრიმინაციის საქმეებს, მონაწილეობა მიიღო ექვს პროცესზე, რომელთაგან ხუთი მოიგო ამერიკის უზესაესს სასამართლოში. იგი გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებს ყურადღებით არჩევდა. ასევე ირჩევდა კაცებს იმის სადემონსტრაციოდ, რომ გენდერული დისკრიმინაცია საზიანო იყო როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვისაც.

[135] საპარლამენტაშორისო კავშირის წევრი. საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU; ფრანგ. Union Interparlementaire, UIP) არის ეროვნული პარლამენტების საერთაშორისო ორგანიზაცია. მისი უპირველესი მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიულ მმართველობას, ანგარიშვალდებულებას და წევრებს შორის თანამშრომლობას; სხვა ინიციატივები მოიცავს საკანონმდებლო ორგანოებს შორის გენდერული თანასწორობის განვითარებას, პოლიტიკაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერებას და მდგრად განვითარებას.

[136] კუბლაშვილი, *კ. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი,* მეხუთე გამოცემა, 2022, გვ. 324-325.

ისტორიას საქართველოში, ვინაიდან უახლოესი ცვლილება, რომელიც უშუალოდ ეხება ქალთა უფლებების წახალისებას, უშუალოდ ამ სფეროში მოხდა. საარჩევნო უფლება, სახელმწიფოს ყველა მოქალაქის უფლებაა. თანასწორი არჩევნების კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს, რომ ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი (აქტიური თუ პასიური) საარჩევნო უფლება შეძლებისდაგვარად თანაბრად და თანასწორად გამოიყენოს.[137]

საარჩევნო უფლების მნიშნელობის მიუხედავად, ქალებს ისტორიულად ბრძოლა უწევდათ მოეპოვებინათ იგი. არამხოლოდ აქტიური, არამედ პასიური საარჩევნო უფლებაც ბრძოლის შედეგად მოვიდა.

გენდერულ კვოტებს პოლიტიკაში მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც. მომხრეთა მთავარი არგუმენტია ის ფაქტი, რომ ეს არის ერთადერთი სწრაფი საშუალება ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის პოლიტიკაში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევას. კვოტირების სისტემის კრიტიკის მთავარი საფუძველი კი კანონის წინაშე თანასწორობის უფლების საკითხი და ქალთა მიმართ პრივილეგირებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში უპირატეს პოზიციაში აყენებს მათ. მოწინააღმდეგეების დამოკიდებულებას ასევე ამყარებს ის არგუმენტი, რომ პარლამენტში წარმომადგენლების არჩევა უნდა მოხდეს არა სქესის, არამედ მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.[138]

---

[137] კუბლაშვილი, *კ. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი,* მეხუთე გამოცემა, 2022, გვ. 327-328.

[138] ჯიქია, მ. *გენდერული კვოტირების სისტემა, როგორც ქალთა პოლიტიკური აქტივიზმის გარანტი,* თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი მეორე, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022, გვ.45

3.1 სავალდებულო გენდერული კვოტირების ისტორია

მე-19 საუკუნიდან იწყება ქალების ბრძოლა საარჩევნო უფლებების მოსაპოვებლად. ქალებისთვის საარჩევნო უფლებები, პირველად ახალ ზელანდიაში დაკანონდა. მოგვიანებით ამ პროცესს ნორვეგია, ავსტრალია, ფინეთი, დანია და რუსეთი შეუერთდა. საქართველოში 1918 წელს დაკანონდა ქალთა საარჩვნო უფლებები. ამგვარად, 1918 წელი, მიჩნეულია საქართველოში ქალთა საარჩევნო უფლების დამკვიდრების თარიღად.[139]

ამის შემდეგ, საქართველოში საარჩევნო უფლებები ქალებისთვის გარანტირებული იყო. თუმცა, სტატისტიკა და უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა ჩართულობა მოწმობდა, რომ ქალები ნაკლებად იყვნენ არჩეულები და წარმოდგენილები სხვადასხვა უწყებებში. იქნებოდა ეს პარლამენტი, საკრებულო თუ სხვა. პოლიტიკური პარტიების ანალიზიც ცხადყოფდა, რომ ნაკლებად მონაწილეობდნენ ქალები პოლიტიკაში. ასევე სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციებზე. ამაზე დღეს ბევრს საუბრობენ და ეწევიან სოციალურ პროპაგანდას, თუმცა საკანონმდებლო დონეზეც, საჭირო გახდა წახალისება და ჩარევა, რათა მომხდარიყო ქალთა ჩართულობის გაზრდა, პოლიტიკურ პროცესებში.

საარჩევნო კოდექსის გარდა, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორ უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 25-ე მუხლი განამტკიცებს საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას დაიკავოს როგორც არჩევითი ისე დანიშვნითი თანამდებობა. [140]

---

[139] გოცირიძე ე., *გენდერული კვოტირების დოგმატიკისა და მიზანშეწონილობის განომილებათა კვეთში.* კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემა. პირველი ქართული კონსტიტუციის 100 წელი. 2021, 441-442.

[140] კუბლაშვილი, კ., *ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი,* მეხუთე გამოცემა.2022, 329-330.

აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენების სტიმულაცია, გენდერული კვოტების შემოღებაა. ისტორიულად ეს გააკეთა ბევრმა სახელმწიფომ და სტატისტიკა მოწმობს, რომ ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი მუშაობს. "კვოტა" ლათინური სიტყვაა და ის რაიმე დასაშვებ რაოდენობას, მიღებულ ნორმას ნიშნავს. ეს არის ნორმა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში, რელიგიური ეთნიკური თუ სხვა სახის უმცირესობებისათვის დაწესებულ შეღავათს გულისხმობს, რათა პარლამენტში მათი წარმომადგენლებიც მოხვდნენ და უმცირესობათა ინტერესებზე ყურადღების გამახვილება შეძლონ.[141]

ზუსტად იგივე პრინციპზეა დაფუძნებული ქალთა კვოტები. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სავალდებულო კვოტების მეშვეობით არის გარანტირებული პარლამენტში, მთავრობასა თუ პარტიულ სიაში ქალთა გარკვეული რაოდენობის მოხვედრა. გენდერულ კვოტირებას, როგორც ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ზრდის სწრაფ და ეფექტურ მექანიზმს, მსოფლიო უკვე დიდი ხანია აღიარებს და აქტიურად იყენებს. მისი გამოყენება ჯერ დაიწყო სკანდინავიის ქვეყნების დიდმა ნაწილმა და მოგვიანებით სხვა ევროპულ სახელმწიფოებშიც გავრცელდა.[142]

არის მოსაზრება, რომ გენდერული კვოტირება არ წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას, ბალანსის მისაღწევად. სანამ ამაზე უფრო ვრცლად ვისაუბრებდეთ მინდა აღვნიშნო, რომ ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ამჟამინდელ რეიტინგში პირველი ქვეყნების ათეულში არის ზუსტად ის ქვეყნები, რომლებმაც გენდერული კვოტირების გამოყენება დაიწყო, საკანონმდებლო თუ შიდაპარტიულ დონეზე.

საკანონმდებლო გენდერული კვოტების შემოღების გარეშე ქალთა ჩართულობა ცხოვრებაში და საკანონმდებლო ორგანოში მათი წარმომადგენლობის ზრდა, ალბათ შესაძლებელია, მაგრამ იგი სამკაოდ დიდ პროპაგანდას და ხანგრძლივ

---

141 About Gender Quotas. დამატებითი ტექსტი ინგლისურ ენაზე, სავალდებულო კვოტირების შესახებ, იხ. აღნიშნულ ვებ-გვერდზე: www.idea.int.

142 სავალდებულო გენდერულო კვოტირების შესახებ. Obligatory Quotas. ტექსტი სრულად იხ. : https://journals.sagepub.com

პერიოდს საჭიროებს. განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც დიდი პატრიარქალური გავლენები და სხვადსხვა წნეხი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის საარჩევნო ტრადიციები, ქალებთან მიმართებაში ისტორიულად ძალიან პროგრესული იყო, სხვადასხვა კულტურული წნეხი და გავლენა დიდია და ეს დამატებით საკანონმდებლო მხარდაჭერას საჭიროებს. მსოფლიო ქვეყნების წარმატებული გამოცდილება კი ნამდვილად არის გარანტიაა იმის, რომ გენდერულ კვოტირებას აზრი გააჩნია და იგი მუშაობს. ამის მიუხედავად, როგორც ყველა საკითხსს, ამ საკითხსაც გააჩნია სკეპტიკურად განწყობილი კრიტიკოსები, რომელის არგუმენტებს აყალიბებენ, აღნიშნული პროცესის წინააღმდეგ. არგუმენტები არ არის საფუძველს მოკლებული და ამაზე მრავალჯერ იმსჯელა სასამართლომ თუ დარგის ექსპერტებმა. ის კვლავ საკამათო საკითხად რჩება, თუნდაც ფემინისტ მკვლევარებს შორის, მაგრამ დადასტურდა, რომ ის ნამდვილად წარმოადგენს ეფექტური დადებითი მოქმედების ღონისძიებას (სწრაფი პოლიტიკა).

საარჩევნო გენდერული კვოტების ლეგიტიმურობა დამოკიდებულია კვოტების ხასიათსა და იმ მდგომარეობაზე, თუ რა პროცენტული მაჩვენებელია ამ ქვეყანაში გენდერული მონაწილეობის პოლიტიკაში. საბოლოოდ კი მივიდნენ დასკვნამდე, რომ იმდენად დიდია სიკეთე აღნიშნულისა, იგი აბათილებს მსოფლიოში საკანონმდებლო დონეზე გენდერული კვოტების შემოღების მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს.

მოწინააღმდეგეთა უპირველესი არგუმენტი არის, ის რომ იგი დისკრიმინაციულია. ყველა მოსაზრება კვოტირების დისკრიმინაცულ ხასიათზე, იქნებოდა მეტად ლეგიტიმური ჩვენ რომ ვცხოვრობდეთ თანასწორი შესაძლებლობების მქონე გარემოში. იქ სადაც ქალთა უფლებების დაცვის აუცილებლობა ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას და ყველანაირი სტატისტიკა გვიჩვნებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში, ქალის უფლებები კვლავ საჭიროებს წახალისებასა და სტიმულირებას, კვოტები დროებითი, მაგრამ მეტად საჭირო ზომაა.

პოლიტიკურ პროცესებში, ქალთა ინტეგრირება მეტად მნიშვნელოვანია. წლების განმავლობაში, საარჩევნო უფლებები და ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში, არ იყო დაცული და იზღუდებოდა. გენდერული კვოტები პოლიტიკაში, ასევე ცნობილია მეორე ტერმინით „საარჩევნო გენდერული კვოტები“ , წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საარჩევნო რეფორმას მსოფლიო პოლიტიკაში 1990-იანი წლებიდან. ეს არის ქმედება, რომელიც მოითხოვს ქალების გარკვეულ რაოდენობას ან პროპორციას პოლიტიკურ პროცესებში და წარმომადგენლობით ორგანოებში.

პირველად, 80-იან წლებში, სკანდინავიურ ქვეყნებში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიწყო ქალების მინიმალური კვოტების გამოყენება შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების დროს. მოგვიანებით მათი საარჩევნო სიების ფორმირებისას, გამოყენებულ იქნა ე.წ. პარტიული კვოტები.

მსოფლიოში მცხოვრებ ადამიანთა შორის, მიუხედავად სამყაროს განვითარების დონისა, არსებობს ხალხი, ვინც წერა-კითხვა ჯერ კიდევ არ იცის. მათ შორის ორი მესამედი სწორედ ქალია. ადგილობრივ თუ გლობალურ დონეზე, ქალების სახელფასო ანაზღაურებაც ერთი და იმავე მენეჯერულ პოზიციებზე ყველგან უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცისა. პოლიტიკაში მამაკაცების ჩართულობა ბუნებრივ მოვლენად და მათ საქმიანობად აღიქმება, ხოლო ქალი პოლიტიკაში, ჯერ კიდევ წარმოადგენს წასახალისებელ მოქმედებას, რომელიც ბევრ ქვეყანაში ჩვეულებრივი არ არის. სწორედ ამ და სხვა უთანასწორობებისა და დისკრიმინაციის ფონზე გენდერული კვოტირება აუცილებელ, პოზიტიური დისკრიმინაციის სახედ გვევლინება. კვოტირება წარმოადგენს კანონმდებლობით დეკლარირებულ ნორმას, რომელიც ხელს უწყობს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალების მონაწილეობის გაზრდას.

სქესთა შორის უთანასწორობაზე საუბარი მეტად ყოვლისმომცველი და ვრცელია. თითოეულ ქვეყანაში ამ დისბალანსს და დისკრიმინაციას, სპეციფიური

მიზეზები უდევს საფუძვლად. ზოგიერ ადგილად რელიგური გავლენებია მაღალი, ზოგერთ ქვეყანაში სოციალური წნეხია, ე.წ. ტრადიციებით განპირობებული. დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური კულტურისა და კლასის საკმაოდ დაბალი დონეა. მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპი თითქოს პოლიტიკა ქალის საქმე არ არის, რასაკვირველია საქართველოშიც პოპულარული მოსაზრებაა.

მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ქვეყნების 95%-ში ქალებს მოპოვებული ჰქონდათ საარჩევნო უფლებები, 2000 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით ქალი ლიდერი ჰყავდა პარტიების მხოლოდ 11%-ს, ხოლო პარლამენტარი ქალები მსოფლიო პარლამენტართა რიცხვის 11,4%-ს შეადგენდნენ. 2002 წლის არჩევნების შედეგად ქალთა რიცხვმა საკრებულოებში მხოლოდ 11,9% შეადგინა. 2009 წლისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 25 საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა რიცხვმა უმნიშვნელოდ მოიმატა და საშუალოდ 16,3% შეადგინა. მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყანაში, სხვადსხვა პარტიებმა და პარლამენტებმა უპასუხეს მზარდ ეროვნულ და საერთაშორისო ტენდენციას ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით, საარჩევნო გენდერული კვოტების შემოღებით.[143]

გენდერული კვოტების მომხრეები თვლიან, რომ ეს არის ეფექტური ინსტრუმენტი პოლიტიკურ ინსტიტუტებში გენდერული ბალანსის მიღწევის „სწრაფი თვალყურის დევნებისთვის“ , რაც აუცილებელია დემოკრატიული განვითარებისთვის, მაშინ როცა ოპონენტები ხშირად აღიქვამენ კვოტებს, როგორც:

1) *დამსახურების პრინციპის დარღვევას;*

2) *დისკრიმინაციას;*[144]

3) *პარტიულ თავისუფლებაში შეჭრას.*

---

[143] About gender quotas. ტექსტი სრულად, შეგიძლიათ იხ.აღნიშნულ ვებ-გვერდზე : https://journals.sagepub.com

[144] ეს უკანასკნელი, ყველაზე ხშირად გამოთქმული არგუმენტია, კვოტების მოწინააღმდეგეთა შორის. სიტყვა დისკრიმინაციას აფუძნებს თითქმის ყველა მოწინააღმდეგე, მათ სასარჩელო მოთხოვნებს.

რატომ არის კვოტირების ხასიათი ხშირად სადავო? იქნებ ვინაიდან იგი წარმოადგენს იძულებით ხასიათის ღონისძიებას და ერთგვარად ხელოვნური ჩარევაა პროცესში და ამის გამო აღიქმება დისკრიმინაციად. იქედან გამომდინარე, რომ ეს დისკრიმინაცია ცალსახად პოზიტიურ ხასიათს ატარებს და ემსახურება სხვა უფრო მნიშვნელოვან მიზანს, შეიძლება ითქვას, რომ როგორც დროებითი ღონისძიების სახე იგი გამართლებული და საჭიროა. გასათვალისწინებელია, რომ ბევრ ქალს არ სურს მოხდეს მათი არჩევა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალია. ამჟამად ქალები მთელ მსოფლიოში ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მხოლოდ 20%-ს შეადგენენ. ქალთა გაძლიერება და მათი სრული მონაწილეობა თანასწორობის საფუძველზე საზოგადოების ყველა სფეროში, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და ძალაუფლების ხელმისაწვდომობა, ფუნდამენტურია თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის მისაღწევად.

თანამედროვე მკვლევარები, რომლებიც მუშაობენ გენდერული თანასწორობისა და სავალდებულო კვოტირების საკითხებზე, გამოყოფენ იმ ძირითადად ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და რომელთაც ცენტრალური როლი ეკისრებათ ქალთა არა მხოლოდ კვოტირების საკითხში; ესენია:

- ქალთა განათლების ხარისხის განსაზღვრა და მათი წიგნიერების დონის ამაღლება;
- ქალთა სოციალური აქტივობა, ანუ როგორ არის ქალი ჩართული სამოქალაქო-პოლიტიკურ პროცესებში;
- ქალების წარმომადგენლობა მენეჯერულ პოზიციებზე, მათი ადმინისტრაციული და მმართველობითი პოზიციონირება;

- მეოთხე და ყველაზე მნშვნელოვანი ასპექტი - ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა.[145]

ქალთა პრობლემებს როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ქვეყანაში ინდივიდუალური ხასიათი გააჩნიათ, გეოგრაფიული მახასიათებლები, ადათები, ტრადიციები და რელიგიები, დისკრიმინაციულ მიდგომებთან პირდაპირ კავშირშია. ამ თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, კუტურული და რელიგიური განვითარების დონე და ხასიათი, პასუხს გვაძლევს ქალთა პრობლემატიკაზე ამ ქვეყანაში. ბევრ სახელმწიფოში ქალებმა წარმატებას მიაღწიეს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში, მაგალითად: განათლების, სამართლის, ეკონომიკის, სპორტის, ხელოვნების თუ სხვა, მათი როგორც პოლიტიკოსების ჩართულობა, თუმცა პროცენტული მაჩვნელებელი მაინც ძალიან დაბალია.

ტრადიციულად, საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო მამაკაცის კუთვნილ ასპარეზად აღიქმება და ქალებს არ აქვთ საშუალება დაკავდნენ პოლიტიკით და პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხებით. პოლიტიკის სფეროში დასაქმების და შემდგომ კარიერული განვითარებისათვის ქალთათვის დაბრკოლებებს ქმნის და ქმნიდა: სოციალური განწყობა, კულტურა და ტრადიციები. ეს ირიბი წნეხი, ხშირად წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო სახით იმდენად დიდია, რომ ქალი იჯერებს მისი მხრიდან მსგავსი საქმიანობის წარმართვის შეუძლებლობას. სწორად ასეთ დროს, როცა სოციალური მიდგომები მკაცრი და უსამართლოა, სახელმწიფომ უნდა შეძლოს კანონების მიღების გზით, უთანასწორობის აღმოფხვრა და ქალების მხარდაჭერა.

2010-11 წლების ბოლოს მოახერხა მსოფლიოს ქვეყნების ნახევარზე მეტმა მიეღო გარკვეული ტიპის საარჩევნო გენდერული კვოტები და ერთიანი მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. გაეროს, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიის

---

[145] R. Inglehart, P. Norris *Gender Equality and Cultural Change Around the World.* Cambridge University Press ,2003, 60-61.

მიერ, 1990 წელს განისაზღვრა მინუმუმ 30 პროცენტიანი ქალთა ჩართულობა, რათა მათ შეძლონ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რეკომენდაცია ამბობს: *„გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 1990/15 მოუწოდებს მთავრობებს, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს და პროფესიულ და სხვა წარმომადგენლობით ჯგუფებს, მიიღონ 30 პროცენტი ქალების მინიმალური პროპორცია ხელმძღვანელ თანამდებობებზე, თანაბარი წარმომადგენლობის მისაღწევად.[146]"*

CEDAW [147] კონვენციამ ასევე მნიშვნელოვნად წაახალისა გენდერული კვოტირება შემდეგი განმარტებით: *„დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომელიც მიზნად ისახავს მამაკაცისა და ქალის დე ფაქტო თანასწორობის დაჩქარებას, არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად" (მუხლი 4.1).[148] მოგვიანებით, გაეროს სამოქმედო პლატფორმამ, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში დემოკრატიის განვითარებას დაუკავშირა. ქალთა ტრანსნაციონალურმა მოძრაობებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ახალი გლობალური დისკურსის მიღებაში, ხოლო ქალთა ეროვნულმა მოძრაობებმა - მის განხორციელებაში.[149]*

2013 წელს ქალები მსოფლიოში ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოებში არსებული ადგილების დაახლოებით მეხუთედს იკავებენდნენ. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, გენდერული კვოტები აღიარებული და მოწონებულია მრავალი ქვეყნის მიერ, როგორც ყველაზე ეფექტური. [150] 1995 წელს გაეროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიში განვითარების პროგრამამ დაასკვნა, რომ 30 პროცენტი

---

[146] "The UN Economic and Social Council resolution 1990/15 calls on governments, political parties, trade unions, and professional and other representative groups to adopt a 30 percent minimum proportion of women in leadership positions, with a view to achieving equal representation."

[147] გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მიღებულია 1979 წლის 18 დეკემბერს. ტექსტი სრულად იხ:https://www.ohchr.org

[149] იქვე.

[150] R. Inglehart, P. Norris., *Gender Equality and Cultural Change Around the World,* Cambridge University Press ,2003, 60-61.

იყო „კრიტიკული უმცირესობა“, რომელიც საჭიროა „ქალების, როგორც ჯგუფისთვის“.

CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N28, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოთა ვალდებულებას პატივი სცენ, დაიცვან და უზრუნველყონ დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება, უზრუნველყონ ქალთა განვითარების ხელშეწყობა, მათი პოზიციების გაუმჯობესება და არსებითი თანასწორობის მიღწევა. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ქალთა პერსპექტივების გაუთვალისწინებლობა კანონმდებლობაში, პოლიტიკაში, პროგრამებსა და პრაქტიკაში და შესაბამისად, მისი ნეიტრალური ხასიათი დისკრიმინაციას იწვევს, გამომდინარე იქიდან, რომ ნეიტრალური ზომები ყურადღების მიღმა ტოვებს ქალთა წინარე არსებული უთანასწორო მდგომარეობას. მეტიც, არაპირდაპირი დისკრიმინაცია აძლიერებს უკვე არსებულ უთანასწორობას ქალთა სტრუქტურული და ისტორიული უთანასწორობისა და ქალსა და კაცს შორის ძალაუფლებრივი დისბალანსის უღიარებლობის გამო.

საქართველოში, ქალების ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველთვის ატარებდა დემოკრატიურ და პროგრესულ ხასიათს. ამის მიუხედავად, პოლიტიკურ არენაზე, ქალთა სიმცირე, მაინც შეინიშნება. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა და იგივე საკითხის წინაშე დგას განვითარებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. ქალების რიცხვი პოლიტიკაში, უკიდურესად ნელა იზრდება. ამის კორექციისათვის, გენდერული კვოტირება ერთადერთ დროებით, ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. სიტყვა, დროებითი კვოტირებასთან მიმართებაში ხშირად გამოიყენება. იმის გამო რომ მას გააჩნია დისკრიმინაციული ხასიათი, კანონმდებელი განხილავს მისი ფუნქციის შესრულების შემდეგ, ამის გაუქმებას. საინტერესოა, შენარჩუნდება თუ არა ის ეფექტი, რომელიც მიღებული იქნა სავალდებულო კვოტირების შედეგად. ცხადია შენარჩუნდება, მაგრამ არც ის არის გამორიცხულო, დროთა განმავლობაში ისევ დაკარგოს აქტუალობა. თავად კვოტირებასაც, დრო

სჭირდება რომ ეფექტურად იმოქმედოს. მკვლევარების მოსაზრებით, იგი თავის საუკეთესო შედეგს, სამი არჩევნების შემდეგ აღწევს. როდესაც კვოტირებასთან და ქალების ჩართულობის სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით საზოგადოების წნეხზე ვსაუბრობთ, საინტერესო იქნება გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით, 2013 წელს საქართველოში ჩატარებულ კვლევაზე ვისაუბროთ. იგი ჩატარდა, საზოგადოების დამოკიდებულების გასარკვევად გენდერული თანასწორობის მიმართ პოლიტიკასა და ბიზნესში.[151] როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის შედეგები აჩვენებდა, რომ პოლიტიკა უფრო მეტად მამაკაცთა საქმიანობის სფეროდ განიხილებოდა.[152] საზოგადოების აზრით, ქალის ადგილი პოლიტიკაში რთულად მოიძებნება. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ზოგადად კაცს უფრო შეეფერება პოლიტიკური საქმიანობა და მაღალი მენეჯერული პოზიციები, ვიდრე ქალს (66%), ხოლო მოსახლეობის 61% მიიჩნევდა, რომ კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან.[153]

სტატისტიკის მიხედვით ყველაზე მაღალი ჩართულობა ქალების საზოგადოებრივ **ცხოვრებაში იმ ქვეყნებს აქვთ, ვინც საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა ქალთა კვოტირების თემა,** თუმცა იგი მაინც საკამათო ზომაა. ფემინისტური ორგანიზაციებისა და აქტივისტების მიერ, მოყვანილია სხვადასხვა არგუმენტები კვოტების შემოღების მხარდასაჭერად და წინააღმდეგ.

რატომ არ არის ქალთა სავალდებულო კვოტირება დისკრიმინაციული ხასიათის:

- ქალები ისევე კვალიფიციურები არიან, როგორც მამაკაცები, მაგრამ ქალების კვალიფიკაცია დაქვეითებულია და მინიმუმამდეა დაყვანილი მამაკაცების

[151] სავალდებულო გენდერული კვოტები საქართველოში. 2021 წლისა და 2022 წლის გამოცდილება. დამატებითი ინფორმაცია იხ. აღნიშნულ ვებ-გვერდზე :https://www.undp.org

[152] იქვე.

[153] გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით, 2013 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევა. კვლევის შესახებ დამატებითი დეტალები იხ. შემდეგ ვებ-გვერდზე: https://www.undp.org

ხელოვნური ჩარევის და მათ მიერ დომინირებული პოლიტიკური პოზიციების დაკავების შედეგად;

- კვოტირების დროს, პოლიტიკური პარტიები აკონტროლებენ უბრალოდ პროცენტულობას და არა რაიმე სხვას. ამომრჩეველი თავად წყვეტს ვინ აირჩიოს. შესაბამისად, კვოტები არ წარმოადგენს ამომრჩეველთა უფლებების დარღვევას;
- კვოტები, მიზნად ისახავს გენდერულად დაბალანსებული წარმომადგენლობის გაზრდას. იგი შეიძლება დაწესდეს კონსტიტუციით ან საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანის გზით;
- ასევე შრომის ან გენდერული თანასწორობის კანონში შეიძლება გათვალისწინებული იქნას გენდერული კვოტების დაწესების ვალდებულება. კვოტების ტიპები ასევე განსხვავდება კვოტის შერჩევისა და ნომინაციის პროცესის ასპექტიდან გამომდინარე.

საარჩევნო გენდერული კვოტების რამოდენიმე სახე არსებობს. იგი ან მიღებულია როგორც კონსტიტუციური ცვლილების სახით, ან სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია.

გენდერული კვოტირება, შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც პროპორციულ ისე მაჟორიტარულ არჩევნებში. პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს, გამოიყენება ორი ტიპის კვოტა :

1) *მონაცვლეობის (50/50) მოდელი- როდესაც საარჩევნო სიაში მამაკაცები და ქალები ერთმანეთის მონაცვლეობით არიან წარმოდგენილნი. ეს წესი უზრუნველყოფს აბსოლუტურ პარიტეტს სქესთა შორის.*

2) *ბლოკის შექმნის მოდელი- ამ შემთხვევაში, საარჩევნო სიაში ქალთა რაოდენობა შეიძლება იყოს, 50 პროცენტზე ნაკლები.*[154]

პოლიტიკური კვოტების ყველაზე გავრცელებული ტიპები პარლამენტში ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობის საკითხის მოგვარება ხდება შემდეგნაირად:

- **ა) ადგილების რეზერვაცია:**

რეზერვირებული ადგილები ნიშნავს, როდესაც წარმომადგენლობით ორგანოს, რეზერვირებული აქვს კონკრეტული რაოდენობის ადგილები, მხოლოდ და მხოლოდ ქალებისათვის.

- **ბ) პარტიული რეზერვაცია:**

პარტიული რეზერვაცია, თავად პოლიტიკური პარტიების მიერ შექმნილი ადგილებია ქალებისათვის. ახლახან ირლანდიის რესპუბლიკამ მიიღო კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს ქვეყნის პოლიტიკურმა პარტიებმა დაასახელონ ორივე სქესის კანდიდატების მინიმუმ 30 პროცენტი, რათა არ დაკარგონ მათი პოლიტიკური კამპანიის დაფინანსების ნახევარი.[155]

- **გ) ნებაყოფლობითი კვოტირება**

ამისგან განსხვავდება ნებაყოფლობითი კვოტები, რომელიც არის პოლიტიკური პარტიების მიერ ნებაყოფლობით მიღებული კვოტები და არ გააჩნიათ სამართლებრივი სტატუსი. ინდივიდუალურად პარტიის მიერ განსაზღვრული მათი შიდა პოლიტიკის ნაწილი. მათ დამოუკიდებლად, საკანონმდებლო იძულების გარეშე, შეუძლიათ მიიღონ კვოტა, რომელიც მოითხოვს, რომ ქალები შეადგენდნენ წარდგენილ კანდიდატთა გარკვეულ ნაწილს ან წინასწარ არჩეული იყო პარტიის

---

[154] გოცირიძე ე., გენდერული *კვოტირების დოგმატიკისა და მიზანშეწონილობის განომილებათა კვეთში".* კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემ. პირველი ქართული კონსტიტუციის 100 წელი, 2021, გვ.444 -445.

[155] კვლევა სავალდებულო პარტიული კვოტების შესახებ. ინფორმაცია სრულად შეგიძლიათ იხ. შემდეგ ვებ-გვერდზე: https://www.undp.org

წარმომადგენლად არჩევნებში. ნებაყოფლობითი პარტიული ზომები შეიძლება განსხვავდებოდეს მისი ხასიათის მიხედვით. შეიძლება საჭირო იყოს ქალისა და მამაკაცების მონაცვლეობა სიაში. ამის ხასიათს, დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავად პარტია.

კანონისმიერი კანდიდატების კვოტები და ნებაყოფლობითი პოლიტიკური პარტიების კვოტები კვოტირების სისტემების ყველაზე გავრცელებული ორი ტიპია.

კანდიდატის კვოტების წარმატება ნაწილობრივ დამოკიდებულია სწორი სახის კვოტირების კანონის არსებობაზე და მის განხორციელებაზე. რა იგულისხმება "სწორ" პირობებში? გენდერული კვოტების შესწავლაში სპეციალიზებულმა მკვლევარებმა გამოავლინეს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ეფექტურ განხორციელებაზე. მაგალითად, პროფესორი პიპა ნორის[156] აცხადებს, რომ კვოტების ეფექტურობის ცვალებადობა შეიძლება აიხსნას იმით, არის თუ არა პროპორციული წარმომადგენლობის სია ღია ან დახურული (ეს უკანასკნელი ყველაზე ეფექტურია), განთავსების მანდატების არსებობა (რაც მოითხოვს პარტიების მოწოდებას ქალი კანდიდატები მაღალ თანამდებობებზე დახურულ პარტიულ სიებში), რაიონული სიდიდე (რაც მეტია კანდიდატების რაოდენობა რაიონში უფრო სავარაუდოა, რომ კვოტები იმუშავებს) და კეთილსინდისიერი მხარის არსებობა. მეცნიერები საბოლოოდ მაინც ასკვნიან, რომ ყველაზე ეფექტური მაინც კანონისმიერი, სავალდებულო კვოტებია.

აუცილებლად გასათვალიწინებელია რისკები და ფაქტორები, სავალდებულო გენდერული კვოტირების დროს :

- რაც უფრო ბუნდოვანია რეგულაციები, მით უფრო მაღალია რისკი იმისა, რომ კვოტების რეგულაციები არ იქნება სათანადოდ განხორციელებული. კანდიდატების კვოტები ავტომატურად არ იწვევს მეტი ქალის არჩევას.

---

[156] ჰარვარდის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მკვლევარი, საარჩევნო კვოტირების საკითხებში.

- ქალთა ორგანიზაციებისა და სხვა ჯგუფების ზეწოლა აუცილებელია პროცესის წარმატებული განხორციელებისთვის.
- უნდა არსებობდეს მონიტორინგი და სანქციები კვოტის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის.

ამავდროულად, სავალდებულო კვოტები ეწინააღმდეგება ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, ვინაიდან ქალებს უპირატესობა ენიჭებათ მამაკაცებზე. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია თანასწორობის საყოველთაო პრინციპი. საყოველთაო პრინციპი გულისხმობს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობას, განურჩევლად ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთნილებისა. როცა კონსტიტუციის ეს ჩანაწერი ცალსახად აღიარებს თანასწორობას და აკრძალულია სქესის ნიშნით დისკრიმინაცია მაშინ ამ კუთხით, კვოტები დისკრიმინაციულია, თუმცა ემსახურება სხვა უფრო კეთილშობილ მიზანს - დემოკრატიული პრინციპების გაუმჯობესებას. [157]

კვოტების შემოღება ქმნის მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს პარტიულ ორგანიზაციებში თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კვოტები თითქმის არღვევს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს, მაგრამ ეს მრავალი ქვეყნის მიერ გამოცდილი მექანიზმია და შეიძლება ითქვას, საკმაოდ გამოცდილი ბერკეტია.

კვოტირების გზით, ხდება ქალების წახალისება. ბევრი ქალი, რომელსაც არ ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესებში, აქტიურდება. ცხადია, როგორც საწინააღმდეგო სქესის შემთხვევაში, აქაც არსებობს კვალიფიციური და არაკვალიფიციური კადრები. მათი სქესი, ამ შემთხვევაში გადამწყვეტია იმ კუთხით, რომ ხდება კვალიფიციური, ქალი კანდიდატების გამოჩენა. გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ქალებს გავლენა არათუ პოლიტიკაში, ხშირ შემთხვევაში საკუთარ ოჯახში არ გააჩნიათ. კვოტირება კი ხელს უწყობს, მათი

[157] Schramm M., *Do Quotas Actually Help Women in Politics.* Georgetown Institute of Women Peace and Security. 2019, 24-25.

გავლენების გაზრდას და სოციუმს აჩვევს იმ აზრთან, რომ ქალი როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირი, თანაბარია მამაკაცთან. რომ ყველაფერი დამოკიდებული არა სქესზე, არამედ მათ გონებრივ შესაძლებლობებზე.

მიუხედვად ამ დადებითი ფაქტორების არსებობისა, გენდერული კვოტების დაწესება, გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება. მიზნობრივი ჯგუფი, ვისთვისაც კვოტები უნდა მუშაობდეს, ეს არ არის ის ქალები, რომლებიც უკვე მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესებში. ის ერთეული ადამიანები, რომლებიც იშვიათად, მაგრამ მაინც არიან გადაწყვეტილების მიმღები პირები. კვოტირება ემსახურება, ისეთი ქალების გააქტიურებას და დაინტერესებას, რომლებიც დგანან ჩრდილში. ურთულესია, მოხდეს მათი პირველადი დაინტერესება. სამართლებრივი ფაქტორების მოგვარების შემდგომ, იწყება მთავარი პრობლემები, რომელიც როგორც წესი ზუსტად კანონზე არ გადის. გადის მორალურ, ემოციურ ფაქტორებზე. ფსიქოლოგიურ და სოციალურ წნეხზე. ისტორიულად, იმ ქვეყნებში, სადაც ძლიერი არ არის თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის ღირებულებები და სადაც ძლიერია რელიგიის გავლენა, სქესთა შორის თანაწორობის მოთხოვნა, ერთგვარად არალეგიტიმურადაც კი აღიქმება. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მინიმუმ ოთხი არჩევნების ჩატარებაა საჭირო, რომ კვოტირების სისტემა ამუშავდეს.[158]

ამჟამინდელი რეალობაა და ის რაც განხილვის საგანს წარმოადგენს, ევროპულმა სახელმწიფოებმა უკვე გაიარეს. ვფიქრობ, სწორედ ამის ხარჯზე, ჩვენთვის მსგავსი რეფორმების განხორციელება, ბევრად მარტივია. ვინაიდან, გზა გაკვალულია და ბევრი ის საკითხი რომელის სადავოა, ნათელია. ევროპული მიდგომების მიხედვით, სავალდებულო გენდერული კვოტირება, თანასწორობის უზრუნველყოფის იდეით ამართლებს საარჩევნო უფლებებში ჩარევას.

---

[158] Schramm M., *Do Quotas Actually Help Women in Politics.* Georgetown Institute of Women Peace and Security. 2019, 27-28.

კვოტების იდეა არის ქალების ბიძგი, რათა ისინი აქტიურად ჩაებან პოლიტიკურ პროცესებში და არ დარჩნენ მხოლოდ დამკვირვებლის პოზიციაში. [159]

კვოტების ძალიან ეფექტური ნიმუშია, შიდა პატრიული კვოტები, რომელიც არა მხოლოდ არჩევნების დროს მუშაობს, არამედ შიდა მენეჯმენტის არჩევის, ხელმძღვანელი თანამდებობების განაწილების დროსაც. ზოგადად, ეს მოდელი არამხოლოდ პატიებში, ნებისმიერ საჯარო თუ კერძო სამსახურში თუ იქნება გათვალისწინებული, აღმოიფხვრება სქესის ნიშნით დისკრიმინაციის, ძალიან დიდი პრობლემა.

ცალკეული ქვეყნების გამოცდილება, კვოტების თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა. პიონერი ქვეყანა ნორვეგია აღმოჩნდა. მიმოვიხილოთ თითოეული ქვეყნის გამოცდილება. ***ნორვეგიის გამოცდილება გენდერულ კვოტირებასთან მიმართებაში*** პიონერია. 1975 წელს, სოციალისტურმა პარტიამ, შემოიღო 40 % კვოტა ორივე სქესისათვის. ასევე დანერგეს ე.წ. zipping system. აღნიშნული გულისხმობს, სხვადასხვა სქესის კანდიდატთა მონაცვლეობის წესს. 1969 წელს, ნორვეგიის პარლამენტში, ქალები, მხოლოდ და მხოლოდ 9 პროცენტით იყვნენ წარმოდგენილები. უკვე 1983 წელს კი მათმა პროცენტულმა მაჩვენებელმა 33 პროცენტს მიაღწია.

1967 წელს, ჩატარდა პოლიტიკური კამპანია. ეს კამპანია ემსახურებოდა, ქალების როლის გაზრდას, მათ ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში. შემუშავებული იქნა, მთელი რიგი სტრატეგიები. უნდა მომხდარიყო შესაბამისი კანდიდატურების მოძიება, მათი დარწმუნება, რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი რესურსი, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში.

ძალიან საინტერესო მოვლენები განვითარდა ნორვეგიაში 1967 წელს. ამ დროს, ქვეყანაში დაიწყო ცხარე დებატები ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში

[159] კვლევა სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხ. აღნიშნულ ვებ-გვერდზე :https://www.undp.org

გაწევრიანების შესახებ. ჩატარდა რეფერენდუმი. გააქტიურდა ფემინისტთა ფრთა. ამ საკითხზე, მემარცხენე თუ მემარჯვენე შეხედულებების, ბევრი ქალი გამოვიდა ასპარეზზე. ისინი მოგვიანებით გახდნენ ლოგიკური კანდიდატები, მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში. 1971 წელს ჩატრებულმა არჩევნებმა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სამ ყველაზე დიდ მუნიციპალიტეტში, მათ შორის ოსლოში, ქალ კანდიდატთა რიცხვი 50 პროცენტს აღემატებოდა.

1977 და 1979 წელს ჩატარდა საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნები. ამ დროს, შეიქმნა ქალთა კოალიცია. მასში შედიოდნენ ქალები, ყველა პოლიტიკური ჯგუფისგან, ფემინისტები, და ა.შ. კოალიცია მუშაობდა საარჩევნო სიებში მეტი ქალის ჩასმაზე და კოალიციაშივე შეიქმნა კომიტეტები, სადაც ხდებოდა მათი პოლიტიკური ხედვების შემუშავება.

ამგვარი საქმიანობა დაახლოებით ათი წელი გაგრძელდა. მომავალში, ინტენსივობამ იკლო. უმრავლესობა მათგანი სხვადასხვა პარტიაში განაწილდა. ამ საქმიანობის კულმინაცია იყო 1987 წელი, როდესაც ქალები შეადგენდნენ სოციალისტური პარტიის 44 პროცენტს.

ნორვეგიაში, კვოტები დაწესებული აქვს არამხოლოდ სოციალისტურ პარტიას. ამჟამად, ამ წესს იზიარებს: ლეიბორისტული, ცენტრისტული და ქრისტიანულ-სახალხო პარტია.[160] აქვე, აღსანიშნავია რომ ნორვეგიაში, კომპანიებს, მათ შორის კერძო კომპანიებს, ეძლევათ მითითება და გონივრული ვადა, ორი წლის ოდენობით გენდერული დისბალანსის აღმოსაფხვრელად. [161] ეს უკანასკნელი, ძალიან საინტერესო და ყურადსაღებია. ამ მოქმედებასაც შეიძლება ჰყავდეს მოწინააღმდეგეები და ეს აღიქვან, როგორც ბინზესში უხეში ჩარევა.

---

[160]ხომერიკი ლ., *გენდერი და პოლიტიკა,* ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის. 2006, 15-16.

[161] ნორვეგიის გამოცდილება, სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ., სრული ტექსტი იხ. აღნიშნულ ვებ-გვერდზე : https://sciencenorway.no

დიდ ბრიტანეთში, ქალთა სავალდებულო კვოტირება, საკანონმდებლო დონეზე არ არის განმტკიცებული. მას არ გააჩნია საკანონმდებლო ხასიათი და არც კონსტიტუციაში და არც საარჩევნო კოდექსში, არაფერია ნათქვამი სავალდებულო გენდერულ კვოტირებაზე. სამაგიეროდ, 2001 წელს, პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კანდიდატების, სქესთა დისკრიმინაციის აქტი. იგი გულისხმობს, რომ პოლიტიკურ პარტიებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, განახორციელონ პოზიტიური ქმედებები ქალ კანდიდატთა სასარგებლოდ, ისე რომ არ დაირღვეს მათი შრომის კანონმდებლობა.[162]

ბრიტანეთი, როგორც კონსერვატიული ქვეყანა, (დიდი ხნის მანძილზე, კონსერვატორთა მხარდაჭერა, ამ საკითხს არ ხდიდა აქტუალურს), 90-იან წლების დასაწყისში, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქალთა მდგომარეობის კუთხით, უნდა მომხდარიყო სერიოზული ცვლილებები. მომდევნო საპარლამენტო არჩევნების დროს, კონსერვატორთა პარტიის თავმჯდომარემ, მოუწოდა თავის პარტიას, რათა არჩევნებისათვის წარედგინათ, არანაკლებ 100 ქალი კანდიდატი. ეს შედეგი მიღწეული ვერ იქნა, თუმცა, უკვე 2000-იანი წლების დასაწყისისათის, კონსერვატორებმა 67 ქალი კანდიდატი წარადგინეს.[163]

დიდ ბრიტანეთში, ლეიბორისტულმა პარტიამ ჯერ კიდევ 80-იან წლებში შეიმუშავა გენდერული წახალისების პოლიტიკა. დაწესდა 40 პროცენტიანი გენდერული კვოტა, თავად პარტიის შიგნით, ხოლო მოგვიანებით, გათავისუფლებული, ვაკანტური ადგილების 50%-ზე მხოლოდ ქალების დასახელება გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში და 1996 წელს, იგი გაუქმდა, როგორც მამაკაცებისთვის დისკრიმინაციული და შეუთავსებელი.

---

[162] ხომერიკი ლ., *გენდერი და პოლიტიკა.* ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის. 2006, 16-17.

[163] დიდი ბრიტანეთის გამოცდილება, სავალდებულო გენდერული კვოტირების საკითხებში. დამატებითი ინფორმაცია იხ: https://www.cipd.co.uk

დიდი ბრიტანეთის მსგავსად, **გერმანიაში გენდერული კვოტირება** არ არის განსაზღვრული არც საარჩევნო კანონით და არც კონსტიტუციით. შიდა პარტიული პოლიტიკა, ამ მხრივ, სავსებით გამართული და წინ წასულია. განსაკუთრებით, თუკი დემოკრატიულ სოციალისტურ პარტიაზე ვისაუბრებთ. ასევე, ამ კუთხით წინ არიან მწვანეთა პარტია და ქრისტიან -დემოკრატები. მთელი ევროპის მასშტაბით, ამგვარ ცვლილებებს საფუძველი 80-იან წლებში ეყრებოდა. გერმანიაც არ აღმოჩნდა გამონაკლისი. ბუნდესტაგში, ყველა პარტიამ დაუჭირა მხარი საკანონმდებლო ორგანოში ქალთა მონაწილეობის გაზრდას. შესაბამისად, ბუნდესტაგში მაგალითად, ქალების რიცხვი 10 პროცენტით, გაიზარდა, ხოლო 2005 წლისათვის თითქმის 32 პროცენტს მიაღწია.[164]

საფრანგეთში, ყველაფერი სხვაგვარად არის. აქ, საქმე მარტო შიდაპარტიულ მიდგომებში და სიტყვიერ წახალისებაში არ არის. საფრანგეთმა გენდერული კვოტების აუცილებლობა, კონსტიტუციით განსაზღვრა. აღნიშნული ცვლილება კონსტიტუციური დამატების სახით, 1999 წელს შევიდა. ამ შესწორებას, პარიტეტული რეფორმის სახელით იცნობენ. [165] ცვლილების მიხედვით: ფრანგული კანონმდებლობა, მხარს უჭერს ქალისა და მამაკაცისათვის, საარჩევნო მანდატების, თანაბარ ხელმისაწვდომობას. რეფორმა ეხებოდა ყველა დონის არჩევნებს. იქნებოდა ეს მუნიციპალური, სენატი, ევროპის პარლამენტი, პარიზის საბჭოს არჩევნები, რეგიონული თუ სხვა.[166]

საფრანგეთი ამ კუთხით, კიდევ უფრო შორს წავიდა და ევროპული ქვეყნების მიერ, ჯერ არ გამოყენებულ ზომებს მიმართა. 2000 წელს, საარჩევნო კანონში შევიდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის ფინანსურ სანქციებს, რომლებიც არ დაიცავდნენ კანდიდატებს შორის გენდერულ ბალანსს.

---

[164] ხომერიკი ლ., *გენდერი და პოლიტიკა.* ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის. 2006, 16-17.

[165] სავალდებულო გენდერული კვოტირების საკითხები საფრანგეთში: https://www.europarl.europa.eu

პოლიტიკური პარტიების ფინანსირება, საფრანგეთში არ არის მარტივი საკითხი. პარტიებისათვის ამას, უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. შესაბამისად, ეს გახდა მოტივაცია პარტიებისთვის, დაეცვათ გენდერული პარიტეტი.[167] ჯერ კიდევ 1990 წელს, საფრანგეთი სოციალისტურ პარტიას 50 პროცენტიანი კვოტა გააჩნდა საარჩევნო სიების ფორმირების დროს.[168]

ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგალითად აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ან ბალტიის ქვეყნებში, ძირითადად სოციალისტები მუშაობენ ამ საკითხებზე და აწესებენ სავალდებულო კვოტებს. ჩეხეთის სოციალისტურ-დემოკრატიულ პარტიას, დაწესებული აქვს 25 პროცენტიანი კვოტა ქალებისათვის, იგივენაირად რეგულირდება საკითხი ლიტვაში და სლოვენიაში, ხოლო პოლონეთში, 30 პროცენტიანი კვოტა აქვს შემოღებული დემოკრატილ მემარცხენეთა ალიანსს, შრომის კავშირსა და თავისუფლების კავშირს.[169]

საარჩევნო უფლება ქალებმა, პოლონეთში 1918 წელს მოიპოვეს. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობა და წარმომადგენლობა, არასდროს იყო მაღალი. კვოტების დაწესების, რამოდენიმე მცდელობა იყო პოლონეთში. პირველი ასეთი მცდელობა, 1990 წელს იყო. კანონპროექტში, ქალთა და მამაკაცთა სავალდებულო უფლებების შესახებ, ჩართული იყო ქალთა კვოტირების შესახებ მუხლი.[170] მომდევნო მცდელობა, იყო ცვლილება საარჩევნო კანონში, 2001 წელს, თუმცა არცერთი მათგანი არ იქნა მიღებული. ასევე განიხილებოდა, პარტიებს შიგნით სავალდებულო კვოტების დაწესება. 2001 წელს, პარტიებმა ნებაყოფლობით დააწესეს გენდერული კვოტები. საარჩევნო სიებში, ორივე სქესი, მინუმუმ 30 პროცენტით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. 2009 წელს, ქ. ვარშავაში ჩატარდა ქალთა კონგრესი. ეს იყო ქალების ერთიანობა, რომელსაც ორგანიზება გაუწია ქალთა

---

[167] სავალდებულო გენდერული კვოტირების საკითხები, საფრანგეთში: https://www.europarl.europa.eu

[168] ხომერიკი ლ., *გენდერი და პოლიტიკა.* ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის. 2006, 17-18.

[169] იქვე.

[170] გენდერის წახნაგები. ინტერნეტ კრებული : https://ge.boell.org

ქსელმა. მათი უმრავლესობა არ იყო რაიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი ან დაინტერესებული პოლიტიკით. ამ მოძრაობის წევრები, ძირითადად იყვნენ: აკადემიურ სფეროში დაკავებული ქალები, მსახიობები, მომღერლები, ჟურნალისტები. სხვადასხვა ინტერესებით და პოლიტიკური შეხედულებებით. სწორედ ეს მოძრაობა გახდა ბიძგი, ქალთა აქტივიზმისა და სოციალური კამპანიის. მათ დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება, რათა სეიმს განეხილა გენდერული პარიტეტის შესახებ კანონი. აქტივისტი ქალები შეხვდნენ პრეზიდენტს, პრემიერს, საპარლამენტო ფრაქციების ლიდერებს და საკანონმდებლო ორგანოს, კომიტეტის თავმჯდომარებს. მათი აქტივიზმი, წარმატებული აღმოჩნდა. მათ შეძლეს, შეეგროვებინათ 150 000 ზე მეტი ხელმოწერა. 2010 წელს, მოქალაქეთა ინიცირების შედეგად, სეიმში მოხდა აღნიშნული კანონპროექტის განხილვა.

კანონპროექტი სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ, 2011 წლის 31 იანვარს საბოლოოდ გაფორმდა კანონად. სავალდებულო კვოტების შემოღების შემდგომ, პირველივე არჩევნებზე, ქალთა პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 20 პროცენტით.

3.2. სავალდებულო კვოტირება საქართველოში

საქართველოში, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობა საკანონმდებლო დონეზე, ყოველთვის იყო მხარდაჭერილი და წახალისებული. საარჩევნო უფლებების თვალსაზრისით, პასიური და აქტიური საარჩევნო უფლება საქართველოში ქალმა, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან შეიძინა. ამის მიუხედავად, საერთო საზოგადოებრივი პოზიცია და მოსაზრებები მათ მონაწილეობაზე პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხშირად გამხდარა სადავო ცალკეულ პირთა წრეში. ხშირად არ მიუჩნევიათ პოლიტიკური ცხოვრება და მნიშნელოვანი მენეჯერული პოზიები ქალის საქმედ. შესაბამისად, ამან განაპირობა ის რომ ნაკლები იყო მათი ჩართულობა უშულოდ პოლიტიკურ პროცესებში. პარტიები უპირატესობას

მამაკაცებს ანიჭებდნენ და პროცენტულად წლების განმავლობაში ძალიან ცოტა ქალი იყო არჩეული.

საქართველოს კონსტიტუციაა თუ საარჩევნო კანონი თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, უზრუნველყოფენ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW),[171] მე-2 მუხლი სახელმწიფოებს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის დაუყოვნებელი ზომებისა და პოლიტიკის მიღებისკენ მოუწოდებს ყველა მის ხელშემკვრელ მხარეებს.

ქალები სულ უფრო და უფრო აქტიურები და გავლენიანი ხდებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრ ქვეყანაში, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად ნაკლებადაა წარმოდგენილი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და ლიდერობის დონეზე, მათი ჩართულობა. ცოტა ქალია წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში და მათი პოზიციონირება უფრო ხდება დაბალ მენეჯერულ პოზოციებზე, სადაც არ ხდება გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოში, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბების უწყვეტი პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება, ძირითადად 2000 წლის შემდგომ პერიოდში დაიწყო. ქალთა ადგილობრივი ორგანიზაციის ჯგუფმა, წარადგინა ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიის შექმნას.

ამ პროცესში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგალითად, 2004 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ ჩამოაყალიბა პროექტი გენდერი და პოლიტიკა, რომელიც იმ პერიოდისათვის მეტად პროგრესული და ახალი სიტყვა იყო საქართველოში. აღნიშნული პროექტი მიზნად

---

[171] სტამბოლის კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: კონვენციის სრული ტექსტი იხ: https://www.undp.org

ისახავდა პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩამოყალიბებას. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2006 წელი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის კონცეფცია და ესეც წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა ქალთა უფლებების სფეროში.

სავალდებულო გენდერული კვოტირებისაკენ მიმავალ გზაზე კი, 2011 წელს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლიც ადგენდა ფინანსური წახალისების სისტემას. ის პარტია, რომელიც პროპორციული საარჩევნო სიის ყოველ ათეულში ორ ქალ კანდიდატს წამოაყენებდა, დამატებით მიიღებდა საბაზისო დაფინანსების 10 %-ს .[172] ეს იყო პირველი ბიძგი საკანონმდებლო დონეზე, მომხდარიყო წახალისება გენდერული ბალანსის დაცვისა.

როგორც დასაწყისში აღინიშნა , საზოგადოებრივი აზრის კვლევაზე, რომელიც ამბობდა რომ არც თუ ისე სახარბიელო სიტუაცია იყო გამოკითხულთა შორის, ქალთა უფლებების თვალსაზრისით, რასაც ვერ ვიტყვით 2014 წელს, NDI-ის მიერ ჩაატარებულ კვლევაზე. ჩატარებული კვლევის ფარგლებში, დაისვა შეკითხვა პარლამენტში არსებული გენდერული გადანაწილების შესახებ საზოგადოებრივი კმაყოფილების შესახებ. აღმოჩნდა, რომ იმ დროისთვის პარტლამეტში იყო 17 ქალი დეპუტატი. გამოკითხვამ კი ცხადყო, რომ მოსახლეობას მეტი ქალის ხილვა სურდა საკანონმდებლო ორგანოში. ასევე მაღალი იყო მათი დაინტერესებს პოლიტიკური პროესებით. საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში, 2017 წლის 12 ივნისს იქნა წარდგენილი. იგი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის ინიცირებული იყო და მოითხოვდა სავალდებულო გენდერული კვოტების დამტკიცებას.

---

[172] საქართველოს ორგანული კანონი ..*მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ.* მიღებულია" : 1997 წლის 31 ოქტომბერს.

საქართველოს ორგანული კანონის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, მე-11 მუხლი, ამბობს: *დაუშვებელია პარტიის წევრობის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.*

იმავე კანონის 39-ე პრიმა მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით : პარტია, რომელიც 2028 წლამდე ჩატარებული პარლამენტის არჩევნების საფუძველზე, ამ კანონის 30-ე მუხლით დადგენილი წესით იღებს საბიუჯეტო დაფინანსებას, მიიღებს დანამატს იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მისაღები დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ მის მიერ პარლამენტის ბოლო არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელია. ამ პუნქტით გათვალისწინებული დანამატი გამოყენებული უნდა იქნეს პარტიის სტრუქტურული ერთეულის – ქალთა ორგანიზაციის საქმიანობისთვის.

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 2 ივლისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მიიღო, რომლითაც დამტკიცდა 25%-იანი გენდერული კვოტირების მექანიზმი. განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, პროპორციულ პარტიულ სიებში პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი იქნებიან, **სულ ცოტა, ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის იყოს.** საქართველოს საარჩევნო კოდექსის, 143-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მხოლოდ ამ პარტიის წევრი ან ის პირი, რომელიც არ არის არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრი.

პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები. პარტიული სიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით პარტიის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება თანამიმდევრობით, სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით, და რომ გენდერული ბალანსის დაცვა უკავშირდება

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას. (ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან) .“[173]

საქართველოს მომავალ პარლამენტში 120 დეპუტატი პროპორციული სისტემით აირჩევა. ცვლილება ქალთა წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში მინიმუმ 30 დეპუტატამდე გაზრდის (რაც საერთო რაოდენობის 20%-ია). იგივე წესი იქნება გამოყენებული საპარლამენტო არჩევნებზე 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით და ასევე, რიგგარეშე არჩევნების შემდეგ, 2028 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე. 2028 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან 2032 წლის არჩევნებამდე კი, ცვლილებების მიხედვით, პარტიულ სიებში ყოველი მესამე ადამიანი განსხვავებული სქესის უნდა იყოს.

203-ე მუხლი კი, რომელიც ეხება 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პარტიული სიების წარდგენის ზოგიერთი დროებითი წესს, ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ,,საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია ან საარჩევნო ბლოკი, იმგვარად, რომ ცესკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. შესაბამისმა საარჩევნო სუბიექტმა პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, საარჩევნო სუბიექტს უბრუნდება სია

[173]საქართველოს ორგანული კანონი *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. მიღებულია:* 1997 წლის 31 ოქტომბერს.

და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო, 2028 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ ცესკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

საქართველოს პარლამენტის 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო, 2032 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ ცესკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.[174]

---

[174] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში *საქართველოს საარჩევნო კოდექსი* ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

საარჩევნო სუბიექტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული არჩევნებისათვის ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინოს პარტიული სია, რომლის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. აღნიშნული მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას მიიღებს.

თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პოლიტიკური პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში მისი მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი აღარ არის, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი.[175]

თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრია, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის მომდევნო იმავე სქესის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული

[175] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში *საქართველოს საარჩევნო კოდექსი* ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრია, მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით.[176]

2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ წარდგენილ სიაში ყოველი ორი კანდიდატიდან ერთი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის ამ მუხლით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.[177]

თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს– საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატი, თუ მან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის შეტყობინების მიღებიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში საკრებულოს გამოკლებული წევრის მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი.[178]

---

[176] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში *საქართველოს საარჩევნო კოდექსი* ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020

[177] იქვე.

[178] იქვე.

საარჩევნო კოდექსში ცვილელებების პაკეტი, რომლის მიხედვითაც კვოტირება სავალდებულო გახდა, არ აუქმებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების საქართველოს ორგანული კანონის, 39-ე პრიმა მუხლის, პირველი პუნქტში ნახსენებ სარეკომენდაციო კვოტებს და მისი შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებულ ფინანსურ დანამატს.

არჩევნები საქართველოში ტარდება შერეული პრინციპით. ეს არის: **მაჟორიტარული და პროპორციული.** სხვა ქვეყნების მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გენდერული ბალანსისათვის უფრო ხელსაყრელია პროპორციული სისტემა, ვიდრე მაჟორიტარული.

გენდერული კვოტირების მხარდაჭერით ქართულმა სახელმწიფომ ძალიან მნიშვნელოვანი,შედეგზე ორიენტირებული და სწორი ნაბიჯი გადადგა ჩვენი ქვეყნის პროგრესული განვითარებისაკენ. დღეს, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალია. საქართველოს კონსტიტუცია თანაბარ უფლებებს ანიჭებს ქალებს და კაცებს მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და ასევე დააყენონ საკუთარი კანდიდატურა. ამის მიუხედავად საქართველოში ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია.

მას შემდეგ რაც საქართველომ სავალდებულო საარჩევნო გენდერული კვოტირება შემოიღო, არჩევნებში უფრო მეტი ქალი იყრის კენჭს. იმისათვის რომ სრულად მოხდეს კვოტირების ეფექტის ამოქმედება, საჭიროა რამოდენიმე არჩევნების ჩატარება, ასევე, პოლიტიკური პარტიების შესაბამისი მისწრაფება და საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა. პარტიებმა, თავად უნდა იზრუნონ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი ჩართონ მათ დღის წესრიგში და პოლიტიკურ პროცესებში.

უკვე 2020 წელსვე, სავალდებულო საარჩევნო გენდერული კვოტირების შემოღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში, ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა. 14 პროცენტიდან, 20 პროცენტამდე მოიმატა საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში მაჩვენებელმა, ხოლო ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში,

უფრო უკეთესი შედეგი დადგა და 13 პროცენტიდან მაჩვენებელი 24 პროცენტამდე გაიზარდა. ეს შედეგი კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა ეფექტურად მუშაობს სავალდებულო გენდერული კვოტირების სისტემა. ხოლო, მომავალში იგი ბევრად სრულყოფილ შედეგს მოიტანს.

2021 წლის ადგილობრივ არჩევნებში, ქალებმა პროპორციულ სიებში მანდატების 31,4 პროცენტი მიიღეს (სულ 441 მანდატი). ეს შედეგი ბევრად უკეთესად გამოიყურება 2017 წლის არცევნების შედეგებთან შედარებით, როცა პროპორციულ სიებში ქალთა მანდატების რაოდენობა 19,8 პროცენტი იყო.[179] თუმცა, ერთი მეოთხედი ადგილობრივ თვითმმართველობაში, ხოლო ერთი მეხუთედი პარლამენტში, არ არის საკმარისი რაოდენობა, რომ ქალებმა რეალური გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღებაზე და პოლიტიკურ პროცესზე.

წარმომადგენლობით ორგანოში სავალდებულო გენდერული კვოტირების იდეას ჰყავს უამრავი მოწინააღმდეგე. ისინი მატკიცებენ, რომ ეს არის ხელოვნური პროცესი. თავსმოხვეული ქმედება არამხოლოდ ამომრჩეველზე, არამედ პოლიტიკურ პარტიებზე.[180] აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის, 2021 წლის 17 აგვისტოს მიმართა კონსტიტუციური სარჩელით. კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 311 მუხლი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის

---

[179] კვლევა, საქართველოში 2021 წლის არჩევნებში გენდერული თანასწორობის შესახებ:https://www.undp.org

[180] გოცირიძე ე., *გენდერული კვოტირების დოგმატიკისა და მიზანშეწონილობის განომილებათა კვეთში,* კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემა. პირველი ქართული კონსტიტუციის 100 წელი. 2021, გვ. 446-447.

„ა“ ქვეპუნქტი. საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტები საარჩევნო სუბიექტებს უდგენს ვალდებულებას, 2028 წლამდე ჩასატარებელ მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიული სია დაარეგისტრირონ იმგვარად, რომ წარდგენილ სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი მაინც იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად კი, თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს –საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, მის ადგილს იკავებს იმავე სქესის წარმომადგენელი ადგილმონაცვლე, ხოლო, თუ წარდგენილ პარტიულ სიაში იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, საქართველოს კონსტიტუცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკურ პარტიათა თავისუფალ საქმიანობას და მის როლს დემოკრატიული მმართველობის პროცესში. თავის მხრივ, პოლიტიკური პარტიების დემოკრატიული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, მათ გააჩნდეთ შიდაპარტიული მექანიზმების საფუძველზე პარტიული სიების შედგენის შესაძლებლობა, რასაც გამორიცხავს სადავო ნორმები. კერძოდ, სახელმწიფო უხეშად ერევა პოლიტიკურ პარტიათა პარტიული სიების შედგენის პროცესში და გამორიცხავს მისი ფორმირების შესაძლებლობას თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში. მოსარჩელეთა განმარტებით, **საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი არ ქმნის გენდერული კვოტების დაწესების საფუძველს და მისი შემოღება წინააღმდეგობაში მოდის თანასწორობის უფლებასთან. საერთაშორისო გამოცდილება ცხადად აჩვენებს, რომ გენდერული კვოტირება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციურად, თუკი ასეთ შესაძლებლობას იძლევა შესაბამისი კონსტიტუციური ჩანაწერი.** ამასთან, პარტიულ სიაში იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში მანდატის გაუქმება ეწინააღმდეგება დემოკრატიული

მმართველობის არსს. მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადავო ნორმები **ასევე ადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას** პოლიტიკურ პარტიათა შორის. კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკურ პარტიას კონკრეტული ოდენობის ქალი პოლიტიკოსები ჰყავს, იგი იძულებული ხდება, ყველა ქალი კანდიდატი გამოიყენოს კანონის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და პარტიულ სიაში ქალი კანდიდატები გაბნეულ იქნენ ყოველ სამეულში. მაგალითისთვის, თუკი პარტიის ორი საუკეთესო პოლიტიკოსიდან ორივე მათგანი ქალია, იგი იძულებული ხდება, რომ აღნიშნული ქალი არა პარტიული სიის პირველ ორ პოზიციაზე წარმოადგინოს, არამედ გადაანაწილოს პირველ ექვსეულზე, რათა კანონის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად ქალი პოლიტიკოსების რესურსი დარჩეს. მოსარჩელეთა მითითებით, სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 2017 წლის არჩევნების დროს, როდესაც პარტიამ ხაშურის საკრებულოს წევრობის პირველ ორ კანდიდატად პარტიულ სიაში წარადგინა ორი ქალი. კვოტირების შემოღების გამო კი დღეს პარტია იძულებული ხდება, ასეთ შემთხვევაში ქალები არა მოწინავე პოზიციებზე, არამედ ყოველ სამეულში თითო შეიყვანოს.[181]

საკონსტიტუციო სასამართლომ, აღნიშნული სარჩელი არ დააკმაყოფილა. საკონსტიტუციო სასამართლომ, შეცვალა სავალდებულო კვოტირების დამდგენი ნორმის შინაარსი შემდეგნაირად: *,,ა) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203-ე მუხლის მე-8 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენს, რომ 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის საარჩევნო სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს მამაკაცი; ბ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 203-ე მუხლის მე-10 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს წევრი*

[181] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილება

მამაკაცის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლედ ითვალისწინებს პარტიულ სიაში მყოფ მომდევნო მამაკაცს.[182]"

მოსარჩელეები აპელირებდნენ იმაზე, რომ აღნიშნული ქმედება არის დისკრიმინაციული ხასიათის და ასევე, მნიშვნელოვანია წარმომადგენლობით ორგანოში და პარტიაში ადამიანები მოხვდნენ არა სქესის, არამედ უნარების, ცოდნის და გამოცდილების ნიშნით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ: საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია და ბოლო სამი მოწვევის ფარგლებში 5-დან 16 პროცენტამდე მერყეობს. **საუკეთესო მაჩვენებელი, რაც კი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პროპორციული სისტემის ფარგლებში არჩეულ დეპუტატებს შორის ქალთა წარმომადგენლობის კუთხით დაფიქსირებულა, შეადგენს მხოლოდ 23,38 პროცენტს (2016 წლის საპარლამენტო არჩევნები).** ქალთა დაბალ წარმომადგენლობას არა ერთჯერადი, არამედ განგრძობადი ხასიათი აქვს (დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ქალთა წარმომადგენლობა არასოდეს ყოფილა 16 პროცენტზე მეტი). შესაბამისად, ეს რეალობა არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო შემთხვევითობად, რომელიც შესაძლოა, უახლოეს მომავალში სახელმწიფოს ჩარევის გარეშე თავისთავად შეიცვალოს. ამგვარ უთანასწორო წარმომადგენლობას შესაძლოა განაპირობებდეს მრავალი ფაქტორი, მათ შორის იმგვარიც, რომელიც არ არის დაკავშირებული ქალებისთვის არც კანონისმიერი და არც გარკვეული საზოგადოებრივი ბარიერების არსებობასთან. "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ეხმაურება ევროპულ მიდგომებს, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ, კვოტირებასთან დაკავშირებული საქმე (Zevnik and others v. Slovenia 54893/18) 2019 წელს, არ მიიღო განსხილველად უსაფუძვლობის გამო.

[182] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილება

სასამართლომ განმარტა, რომ გენდერული ბალანსის ნაკლებობა პოლიტიკაში, წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს, დემოკრატიული პროცესებისათვის.

3.3. სავალდებულო გენდერული კვოტირების შედეგები, თვალთახედვა და პერსპექტივა

საზოგადოება ეტაპობრივად მივიდა იმ დასკნამდე, რომ ქალთა ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის პოლიტიკურ პროცესებში აუცილებელია. ამ სფეროში თანასწორობის მიღწევის თაობაზე კონსენსუსმა, მთლიანად შეცვალა თავად თანასწორობის გაგება.

კანონისმიერი, სავალდებულო კვოტირებისაგან განსხვავები, ნებაყოფლობითი ანუ პარტიების მხრიდან რეზერვირებული ადგილების არსებობა არ ქმნის არავითად სამართლებრივ პრობლემას და არ წარმოშობს თანასწორობის ორაზროვან გაგებას. ბოლო ოცი წლის ტრანსფორმაციის განმავლობაში, ქალთა მოძრაობა და გენდერული პოლიტიკა, შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პოპულარიზაციის პროცესში.

ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი სამოქალაქო აქტივიზმი და ფემინისტური მოძრაობა, დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. კვოტები შეიძლება გამოყენებულ იქნას გენდერული დისბალანსის გამოსასწორებლად სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა დონეზე, მათ შორის პოლიტიკურ პარტიებში, გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეკონომიკურ ცხოვრებაში. სახელმწიფო დონეზე ეფექტური გენდერული პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის მიღწევის სტრატეგიის შემუშავებასა

და განხორციელებას, აგრეთვე, ამ სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კოორდინირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი, ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია, ეწინააღმდეგება ამ იდეას, მნიშვნელოვანია იმ მუხტის შენარჩუნება, რაც ქალთა სავალდებულო კვოტირებას ახლავს თან. სავალდებულო კვოტების მთავარი არგუმენტებია:

- პოლიტიკური პარტიები უნდა ასახავდეს საზოგადოების ძირითად სოციალურ ჯგუფებს. ვინაიდან ქალები შეადგენენ მოსახლეობის ნახევარს, მათ უნდა ჰქონდეთ თანამდებობების ნახევარი საჯარო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში;
- პოლიტიკური წარმომადგენლობა ეხება უფლებებსა და სამართლიანობას. ქალებს, როგორც მოქალაქეებს აქვთ თანასწორი წარმომადგენლობის უფლება. მსოფლიოში, პოლიტიკური თანამდებობების 80 პროცენტზე მეტს იკავებენ მამაკაცები;
- ქალთა კვოტები არ არის დისკრიმინაციული. პირიქით, ისინი ანეიტრალებენ იმ არსებულ ბარიერებს, რომლებიც აფერხებენ ქალების მონაწილეობას პოლიტიკური ადგილების სამართლიან გადანაწილებაში;
- ქალების კვოტები არ ახდენენ დისკრიმინაციას ცალკეული მამაკაცების მიმართ. პირიქით, კვოტის წესები ზღუდავს პოლიტიკური პარტიების ტენდენციას ძირითადად მამაკაცების წარდგენის და აიძულებს მათ მოძებნონ აქტიური და კომპეტენტური ქალი კანდიდატები. ამომრჩეველსაც მეტი თავისუფლება და კანდიდატების მრავალფეროვნება გააჩნია;
- ქალები ისეთივე კვალიფიციურები არიან, როგორც მამაკაცები, მაგრამ მათ კვალიფიკაციას არ ეძლევა გამოვლენის საშუალება, რადგან მამრობითი სქესი დომინირებულია ყველგან და ყოველთვის;

- ქალთა გამოცდილება საჭიროა პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა ისარგებლოს ამით ქალთა რესურსებით;
- ქალებს ყველაზე კარგად ქალები წარმოადგენენ, რადგან უკეთ შეუძლიათ მათი პრობლემების წარმოჩენა. უკეთ ესმით მათი საჭიროებები და ა.შ;
- კვოტები არჩეული ქალების რაოდენობის გაზრდის სწრაფი მეთოდია. კვოტების შემოღება აჩქარებს პროცესს და იწვევს დიდ პროგრესს არჩეულ ქალთა რაოდენობაში;
- კვოტები უკვე გამოიყენება მრავალ ქვეყანაში და ქალების პოლიტიკური წახალისების აუცილებლობა აღიარებულია რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებულ კონვენციაში, მათ შორის CEDAW-ში;
- კვოტები, ფორმალური თუ არაფორმალური, უკვე გამოიყენება სხვა კატეგორიებისთვის ნომინაციის პროცესშიც;
- ქალების ჩართვამ შეიძლება ხელი შეუწყოს დემოკრატიზაციის პროცესს და გაზარდოს ლეგიტიმაცია უკვე ჩამოყალიბებულ სისტემაში.

დავა იმის შესახებ, რომ ქალის განსხვავება მხოლოდ სქესის ნიშნით არასწორია და აქცენტი მის უნარებზე უნდა გაკეთდეს, პრაქტიკული თვალსაზრისით უშედეგოა. პოლიტიკური პარტიები, სწორედ უნარისა და გამოცდილების გამო არჩევენ კანდიდატებს. კანონის ძალით შექმნილი შესაძლებლობები, უბრალოდ აძლიერებს მათ პოზიციებს. სავალდებულო კვოტირება წაახალისებს, გააძლიერებს და ბიძგს მისცემს ქალთა აქტივიზმს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ისტორიული გამოცდილება და ევროპული ქვეყნები მაგალითები ამბობს, რაც მეტია წნეხი საარჩევნო კანონმდებლობაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ამ კუთხით, რაც მეტია პროპაგანდა და საინფორმაციო კამპანია აქტიურია, მით მეტად ხელსაყრელია შედეგი.

რეფორმის განხორციელების თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობის არის 2020 წლის 2 ივლისს განხორციელებული ცვლილება საქართველოს საარჩევნო კოდექსში, რომლითაც დამტკიცდა 25%-იანი გენდერული კვოტირების მექანიზმი, რომლის მიხედვით, პროპორციულ პარტიულ სიებში პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი იქნებიან, სულ ცოტა ყოველი მეოთხე ადამიანი განსხვავებული სქესის იყოს.

დასკვნა

ქალთა უფლებების დაცვის საკითხი, ისტორიულად ძალიან მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხია. მთელ მსოფლიოში, ისტორიის თითქიმის ყველა მონაკვეთში, ხდებოდა ქალის უფლებების დაცვის საკითხების წამოჭრა სხვადასხვა ფორმით. ამ უფლებების სათნადო დაცვა სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ ქალებსა და გოგონებს, არამედ საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრს. მაშინ როდესაც ქალები ფაქტობრივად მიიღებენ თანაბარ უფლებებს მამაკაცებთან და მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პროგრესზე საუბარი. დიდ პროგრესად შეიძლება ჩაითვალოს, რომ წინა საუკუნისგან განსხვავებით, ქალის უფლებების საკანონმდებლო კუთხით, იშვიათი გამონაკლისების გარდა, თითქმის ყველა ქვეყანაში გათანაბრებულია მამაკაცის უფლებებთან.

ქალთა უფლებები ცალკე რომ არ არსებობდეს და არ იყოს ამ საკითხებზე მუდმივი ბრძოლა და საზოგადოებრივი ქმედებები, ქალებს არ მიეცემოდათ თავის დროზე ის ელემენტარული უფლებაც კი, როგორიც ხმის მიცემის უფლება ან მემკვიდრედ ყოფნის უფლება. სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა ასევე მათი პოლიტიკაში მოღვაწეობა და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობა.

რა არის საჭირო იმისათვის რომ სრულყოფილად მოხდეს საკითხის გადაწყვეტა? უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირება. რა აწუხებს ახლა ქალს. სად ირღვევა მისი უფლებები. ისტორია ადასტურებს რომ სამოქალაქო აქტივობები ამ საკითხში უმნიშვნელოვანესია. რევოლუციური ცვლილებები, ქალთა უფლებების სფეროში, მოიტანა ქალთა მსვლელობებმა.

კანონმდებლობა საქართველოში გენდერულად ნეიტრალურია. განმტკიცებულია მათი ყველა უფლება და თავისუფლება და ასევე საქართველო წარმოადგენს ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტის ხელშემკვრელ მხარეს. ამის მიუხედავად, არაფერია სრულყოფილი და შესაბამისად კანონმდებლობასაც გააჩნია გარკვეული ტიპის ხარვეზები. იმისათვის , რომ საკანონმდებლო სივრცე უკეთ განვითარდეს,საჭიროა გადაიდგას, შემდეგი სახის **კონკრეტული ნაბიჯები:**

- *უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დაისახოს გენდერული ცნობიერების ამაღლების არამხოლოდ მყისიერი გეგმები, არამედ ისეთი გეგმები, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაშია შედეგის მომტანი. განათლება იწყება სკოლიდან. სწორედ სკოლაში უნდა მოხდეს ბავშვისათვის, გენდერული თანასწორობის სწავლება და მათთვის ცნობიერების ამაღლება ისე როგორც ეს ხდება ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა დაწყებით სკოლაში. ევროპის ყველა საშუალო სკოლაში, მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან გენდერული იდენტობის, გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების შესახებ. სკოლაში, დაწყებით კლასებში, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, შესაბამისი გზით მიწოდებული ინფორმაცია, მომავალში გენდერული სტერეოტიპების მსხვრევას გამოიწვევს. გენდერული სტერეოტიპები კი, ის უმთავრესი პრობლემაა, რომელიც ახლა საზოგადოების წინაშე დგას საქართველოში. მხოლოდ კანონმდებლობა უძლურია, თუკი არ მოხდება ჯერ კიდევ სკოლიდან თანასწორობის იდეის სწორი მიწოდება.*

- *უმნიშვნელოვანესი სფეროა შრომითი ურთიერთობები. აქ, გენდერული თანასწორობის პრობლემა ყველაზე ხშირად და თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი. შრომით ბაზარზე, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის კუთხით, აუცილებლად უნდა დაწესდეს მონიტორინგი, რომელიც მოახდენს*

იმის კონტროლს, ხომ არ ხდება ქალთა დისკრიმინაცია მათი სქესის გამო. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, არსებობს სპეციალური დეპარტამენტი: შრომის პირობების ინსპექტირების სამსახური. დეპარტამენტის ფუნქციაა განახორციელოს მონიტორინგი იძულებითი შრომის, მომეტებული საფრთხის მატარებელი სამსახურების მიერ დასაქმებულთა უფლებების დაცვის კუთხით. აღნიშნული დეპარტამენტი არ ახორციელებს კონკრეტულად გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების მონიტორინგს და ფოკუსირებულია, სხვა ტიპის დარღვევებზე. შესაძლებელია, სპეციალური გრძანებულებით, მათ განესაზღვროთ ვალდებულება, განახორციელონ შრომის ბაზარზე, გენდერული ნიშნით არსებული დისკრიმინაციის კონტროლი. შეიქმნას დავების საბჭო, სადაც შესაბამისი დარღვევის არსებობისას, მოქალაქეს უფლება ექნება მიმართოს მათი უფლებების დასაცავად სასამართლომდე.

საჯარო სამსახურებში არსებული დავების საბჭოს მექანიზმის, არის ეფექტური და უფრო მარტივი გზა, პრობლემის სწრაფად და ეფექტურად აღმოსაფხვრელად. მხოლოდ ამის შემდეგ, თუკი ვერ ხერხდება ადმინისტრაციული ორგანოს ჩარევის გზით გადაიჭრას დისკრიმინაციული მიდგომა, შრომითი დავების განხილვა უნდა განაგძოს სასამართლომ. ეს ასევე შეუმსუბუქებს შრომას სასამართლოს და ადამიანს არ მოუწევს დიდი ხანი ლოდინი, რათა მოხდეს მისი საკითხის ადეკვატური გადაწყვეტა.

- *ხელფასის უთანასწორო მაჩვნებელი და დეკრეტული შვებულების გამოუყენებლობა დღეს შრომის ბაზარზე, აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ქალისა და მამაკაცის ხელფასი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთი და იგივე მენეჯერულ პოზიციებზე, ხელფასის სქესის*

ნიშნით განსხვავება, ხშირია. ასევე, არის ვაკანსიები, რომელიც აღიქმება, კონკრეტულად ქალის საქმედ და არის ვაკანსიები, რომელიც მხოლოდ მამაკაცისთვის არის განკუთვნილი. ეს მიდგომა, ვაკანსიის გამოცხადების ტექსტშიც ჰპოვებს ასახვას. ხშირია მითითება: ვაკანსია გოგონებისათვის. მსგავსი მიდგომა დისკრიმინაციული და დაუშვებელია.

კვლავ დიდი გამოწვევაა, გენდერული ნიშნით სახელფასო განსხვავება. ქალის საშუალო თვიური ხელფასის თანაფარდობა კაცის საშუალო თვიურ ხელფასთან, მნიშვნელოვნად არის განსხვავებული. ***საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა ცხადჰყოფს, რომ მაგალითად 2018 წელს, ქალების საშუალო თვიური შემოსავალი იყო 823 ლარი, მაშინ როდესაც მამაკაცების საშუალო თვიური შემოსავალი იყო 1281 ლარი.***

- *ასევე, იქედან გამომდინარე, რომ კერძო კომპანიებში რთულია დეკრეტული შვებულებების კონტროლი, ვინაიდან აქ ურთიერთობებს არეგულირებს კონტრაქტი, საჭიროა შევიდეს ცვლილებები შრომის კოდექსში, სადაც განსაზღვრული იქნება მინიმალური დეკრეტული შვებულების დრო, რომელიც უნდა იყოს გონივრული და ეფუძნებოდეს ქალის ფსიქო-ემოციურ და ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. დაუშვებელია, ბავშვის გაჩენიდან ერთ თვეში, ქალი დაუბრუნდეს სამუშაო ადგილს, მხოლოდ იმიტომ რომ მისი ურთიერთობა დამსაქმებელთან რეგულირდება კონტრაქტით. ასევე უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები ნორმატიულ აქტებში და დამსაქმებელს დაუწესდეს როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში, სახელფასო მონიტორინგი. დაუშვებელია სქესის ნიშნით ხელფასის ოდენობაში განსხვავება. დეკრეტულ შვებულებაში თუ სახელფასო პოლიტიკაში ჩარევა, ცხადია გამოიწვევს დამსაქმებელთა პროტესტს და ეს აღქმული იქნება, როგორც თავისუფალი*

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებში ჩარევა. თუმცა, აუცილებლად გასატარებელი მოქმედებებია, ვინაიდან მეორე მხარეს დგას ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ღირებელებები. მაგალითისთვის გამოდგება ისლანდიაში თანასწორი ანაზღურების სტანდარტის შესახებ მიღებული ცვლილებები, რომელიც 2012 წელს იქნა შემუშავებული.

ეს დოკუმენტი ეხებოდა სოციალურ საკითხებს და შეიმუშავებდნენ სტანდარტს, რომელიც თანაბარი ანაზღაურების პირობებს მოიცავდა , ასევე გენდერული თანასწორობის საკითხს, ხელფასის ოდენობას და, დასაქმებისა და სამსახურიდან გათავისუფლების თემატიკას. შესაბამისად, ეს არ იქნება შრომით უფლებებში უხეში ჩარევა და თავისუფალი ბაზრის ერთგვარი კონტროლი. იგივე პრინციპია სავალდებულო გენდერული კვოტირების საკანონმდებლო რეგულაცია. როდესაც სახეზეა უფრო მეტად მნიშვნელოვანი უფლების დაცვა, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს შესაბამისი კონტროლი და ჩარევა.

- *უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცის მიერ დეკრეტის გამოყენების შესაძლებლობა, უდავოდ წინ გადადმული ნაბიჯია და ეს იწვევს ორაზროვან დამოკიდებულებებს. პრეცენდენტები, სადაც მამაკაცი იბრძვის კუთვნილი დეკრეტული შვებულების მისაღებად, არც თუ ისე იშვიათია. საქართველოში სასამართლოს მიღებული აქვს სავსებით სამართლიანი და კანონისმიერი გადაწყვეტილებები ამ საკითხთან მიმართებით.*

- *მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ისევ შრომის კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილება, სუროგატი დედისა და სუროგაციის გზით შეძენილი ბავშვის მშობლის, დეკრეტული შვებულების შესახებ.*

გასათვალისწინებელია, რომ საკითხი მეტად დელიკატურია და საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომებს. დასაცავი და გასათვალისწინებელია, როგორც ბავშვის, ისე ორივე ქალის საუკეთესო ინტერესები. კანონმდებელი ამ თემას არ ეხება, ღიად ტოვებს და შესაბამისად გაურვეველია თუ როგორ შეძლებს ადამიანი დეკრეტული შვებულებით სარგებლობას. დამსაქმებელს ხშირად უწევს კანონის ინტერპრეტაცია, ხოლო საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, ამის შესახებ არავის საუბრობს, არ მოიპოვება შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა და ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემა, რჩება გაურკვეველი. ბუნდოვანების თავიდან აღმოსაფხვრელად, საჭიროა ვიმოქმედოთ ევროპული სტანდარტების შესაბამისად და შრომის კოდექსში ცალკე განისაზღვროს აღნიშნული საკითხი. აქვე, განსაკუთრებით ყურადსაღებია რომ სუროგატი დედა უნდა სარგებლობდეს დეკრეტული შვებულებით ორსულობისა და მშობიარობის გამო, ხოლო სუროგაციის გზით შეძენილი ბავშვის მშობელი, ბავშვის მოვლისა და ზრუნვის გამო. კანონმდებელმა, უნდა დაარეგულიროს შესაბამისი ვადები და განსაღვროს შესაბამისი დღეების რაოდენობა, ბავშვისა და დედის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

- *რაც შეეხება სავალდებულო გენდერულ კვოტირებას. საკითხის ავკარგიანობაზე საუბარი, მოითხოვს სიღრმისეულ დაკვირვებას.* ***სადავოდ მივიჩნევ, საერთოდ გენდერული კვოტირების, როგორც მოვლენის თანასწორობის უფლებაში ჩარევის კვეთას. ამ შემთხვევაში, ლეგიტიმური იქნება დავსვათ შეკითხვა: როდის ირღვევა თანასწორობის იდეა, როდესაც წესდება მსგასი პოზიტიური დისკრიმინაციის ზომები თუ მაშინ, როდესაც საერთოდ არ ხდება არანაირი ჩარევა.*** *ამ შემთხვევაში, ალბათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, სიტყვა- უფრო. როდის უფრო ირღვევა თანასწორობის იდეა. საზოგადოდ, თანასწორობა არ მოიცავს მატერიალურ-არსობრივი*

გაგებით თანასწორობას. ზოგიერთ შემთხვევაში, თანასწორობის იდეა, შეიძლება მოიცავდეს ფაქტობრივი გათანაბრების იდეას.

თუკი ამ თვალსარიზსს დავეყრდნობით, მაშინ სქესთა თანასწორობისკენ მიმავალ გზაზე განხორციელებული პოზიტიური დისკრიმინაციული ნორმები, აღარ გახდება სადავო. სანამ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციებში გაჩნდებოდა შესაბამისი მითითებები გათანაბრების შესახებ, პოზიტიური ვალდებულებების შესახებ, რომელიც ფემინისტური მოძრაობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების პირდაპირი პასუხი იყო, საკონსტიტუციო სასამართლოები ძირითადად არაკონსტიტუციურად ცნობდნენ გენდერული კვოტირების იდეას და ამის მთავარ არგუმენტად აყალიბებდნენ, თანასწორობის ცნების იმგვარ გაგებას, რომ იგი არ გულისხმობს შედეგებში გათანაბრებას. ძირითადი რეკომენდაციები, რომელიც გამაჩნია სავალდებულო გენდერულ კვოტირებასთან მიმართებით, არის შემდეგი:

- *აუცილებელია, სავალდებულო გენდერული კვოტის მოქმედების ვადისა და პროპორციის გაზრდა საარჩევნო კოდექსში. განსაზღვრული არ უნდა იყოს ვადა, როცა სავალდებულო გენდერულო კვოტირება წყვეტს მოქმედებას. არამედ უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ იგი მოქმედებდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევამდე.*
- *ასევე უნდა გაიზარდოს მისი მოქმედების ვადა და პროპორცია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების შემთხვევაშიც. იგი არ უნდა ეხებოდეს მხოლოდ პარლამენტს.*
- *დილემას წარმოადგენს მაჟორიტარების არჩევნის წესი და ქალების რაოდენობა. თუკი პროპორციული წესით, შეგვიძლია ვაკონტროლოთ შესაბამისი ცვლილებების შედეგად მათი წარმომადგენლობა, ეს შეუძლებელია*

მაჟორიტარული არჩევნების დროს. ამიტომ, პარტია, მაოჟორიტარების ხარჯზე ზრდის, მამაკაცების რაოდენობას. უნდა შევიდეს აგრეთვე ცვლილება მაჟორიტარების არჩევნის წესში და თუკი პირობითად, პარტია მთელი საქართველოს მასშტაბით წარადგენს 1000 კანდიდატს, უნდა განისაზღვროს, რომ აქედან 50 % აუცილებლად უნდა იყოს განსხვავებული სქესის.

- *პრობლემას წარმოადგენს საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატები. ამ შემთხვევაში, არ ხდება გენდერული ბალანსის კონტროლი და პარტიებს ამ გზით შეუძლიათ შესაბამისი კანდიდატის წარდგენა. აუცილებელია ბალანსის დაცვის მიზნით, საინიციატივო ჯგუფებს დაუწესდეთ შესაბამისი შეზღუდვები.*

დასასრულს, შეჯამების სახით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ქალთა უფლებები გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ არის გარკვეული საკითხები, რომლებიც დახვეწას ან/და განსხვავებულ მიდგომას საჭიროებენ. ამერიკის უზენაესი სასამართლოს ლეგენდარული მოსამართლე, რუთ გინსბურგი ამბობდა, რომ ქალების ადგილი არის ყველგან, სადაც გადაწყვეტილება მიიღება. გენდერული სტერეოტიპები კი განსხვავებულ მიდგომებს აყალიბებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ქალთა მოქმედების არეალი სტერეოტიპულად ვიწროა და არ გულისხმობ გადაწყვეტილების მიმღებ წრეში მათ მონაწილებას. საზოგადოებამ, უნდა შეძლოს გაითავისოს, რომ მაღალ თანამდებობებზე პოლიტიკაში, ბიზნესში, განათლებაში თუ სხვაგან, ისევე ქალის ადგილი როგორც მამაკაცის.

გენდერული თანასწორობა არ არის თითიდან გამოწოვილი თემა, რომელიც ხშირად მოდურ განხილვის საგანს წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, იგი ადამიანის უფლებაა. ქალებს უფლება აქვთ, იცხოვრონ ღირსეულად, სიღარიბისა და შიშის გარეშე. ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს სოციალური განვითარების მისაღწევად და სიღარიბის აღმოსაფხვრელად. სტატსტიკურად, ყველა ქვეყანა სადაც ქალი არ არის ძლიერი და არ მონაწილეობს საერთო სამოქალაქო

ბრუნვაში, არის ღარიბი. ძლიერი ქალები ხელს უწყობენ სახელმწიფოს კეთილდღეობას.

ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაცია, გენდერული ნიშნით ძალადობა, უთანასწორობა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებში, ეკონომიკური ძალადობა და სხვა უთანასწორობის ყველაზე გავრცელებული ფორმები, ისევე როგორც ადრე ხმის უფლების არქონა, მემკვიდრედ ყოფნის შეუძლებლობა, მალე ჩაბარდება წარსულს და მხოლოდ ეპოქის მორიგ გამოწვევად დარჩება.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი;
3. საქართველოს კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ;
4. საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ორგანულ კანონში საქართველოს საარჩევნო კოდექსი, ცვლილების შეტანის შესახებ, 02.07.2020
5. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ;
6. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
7. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია;
8. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ;
9. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია;
10. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ;
11. გაზეთი ხმა ქართველი ქალისა N1, ორშაბათი, 5 აპრილი, 1919 წელი, კლუბის დამაარსებელი კრების საერთო წერილი;
12. გოგისვანიძე თებეა, ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა როგორც გენდერული თანასწორობის დაცვის მექანიზმი. ჟურნალი მართლმაჯულება და კანონი, 2023 წელი;
13. გოგისვანიძე თებეა, ქალის უფლებების ისტორიული რეტროსპექტივა საქართველოში. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2022 წელი;

14. გოცირიძე ევა, გენდერული კვოტირების დოგმატიკისა და მიზანშეწონილობის განომილებათა კვეთში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემა. პირველი ქართული კონსტიტუციის 100 წელი. 2021 წელი;
15. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ;
16. კუბლაშვილი კონსტანტინე, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, მეხუთე გამოცემა;
17. მესხი მარინა, ქალის უფლებათა დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონულ ინტრუმენტებით. სახელმძღვანელო წიგნი I. გამომცემლობა შპს ულტრა. 2021 წელი;
18. ნადარეიშვილი გიორგი, რომის სამოქალაქო სამართალი. გამომცემლობა ბონა-კაუზა თბილისი, 2005 წელი;
19. პაპუაშვილი გიორგი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონტიტუცია 90 წლის გადმოსახედიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა;
20. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (ICESCR);
21. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (ICESCR);
22. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (ICCPR);
23. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (ICCPR);
24. საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წელი მასალები II, თბილისი, საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2018 წელი;

25. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018 წელი;
26. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია;
27. ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921). პროექტის ავტორი და სამეცნიერო რედაქტორი: ლელა გაფრინდაშვილი. გამომცემლობა თბილისი. 2018 წელი;
28. ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენცია;
29. ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენცია;
30. ხომერიკი ლელა, გენდერი და პოლიტიკა ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის;
31. ჯიქია მარიამ, გენდერული კვოტირების სისტემა, როგორც ქალთა პოლიტიკური აქტივიზმის გარანტი. თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი მეორე, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამოცემა. 2022 წელი;

უცხოენოვანი წყაროები:

1. Affective Labor and Feminist Politics, Johanna Oksala, Loyola University Chicago;
2. Amy C. Alexander & Welzel, C.`Empowering Women: Four Theories Tested on Four Different Aspects of Gender Equality;2003;
3. Angela Wroblewski. Quotas and Gender Competence: Independent or Complementary Approaches to Gender Equality,2021;
4. Ann Ellis Hanson, "The Restructuring of Female Physiology at Rome," Université de Nantes, 1991 ;
5. Ariadne Staples, From Good Goddess to Vestal Virgins: Sex and Category in Roman Religion 1998;
6. Beryl Rawson, "Finding Roman Women," in a Companion to the Roman Republic 2010;
7. Beryl Rawson, "The Roman Family in Italy"1999;
8. Beryl Rawson, "The Roman Family", in The Family in Ancient Rome: New Perspectives Cornell University Press, 1986;
9. Beryl Rawson, Children and Childhood in Roman Italy.Oxford University Press, 2003;
10. Blewett Lee, "Sketch of Woman's Rights in Ancient Rome," Northwestern Law Review 2, no. 3 February 1894;
11. Brancusi University of Targu Jiu, Letters and Social Sciences Series 2008;
12. Brockett Linus Pierpont. Woman: Her Rights, Wrongs, Privileges, and Responsibilities. 1869;

13. Bruce W. Frier and Thomas A.J. McGinn, A Casebook on Roman Family Law Oxford University Press: American Philological Association, 2004;
14. Correa Moylan Walsh, Feminism (New York: Sturgis & Walton Co., 1917;
15. Dahlerup, D. `Using Quotas to Increase Women's Political Representation. 1998;
16. Darcy, R., S. Welch & J. Clark. Women, Elections and Representation. Lincoln: University of Nebraska Press 1994;
17. Drude Dahlerup, Gender Quotas in Politics, Oxford Bibliographies. 2020;
18. Gender equality and women's rights in the context of child custody and child maintenance: An international and comparative analysis. Publication year: 2019;
19. Gerhard, Ute .Debating women's equality: toward a feminist theory of law from a European perspective. Rutgers University Press 2001;
20. Herbert L. Bodman; Nayereh Esfahlani Tohidi, eds. Women in Muslim Societies: Diversity Within Unity. Lynne Rienner Publishers 1998;
21. Hosken, Fran P., 'Towards a Definition of Women's Rights' in Human Rights Quarterly, Vol. 3, No. 2. 1981;
22. Hugo Reid, Woman, Her Education & Influence (New York: Fowlers & Wells., 1850;
23. Inglehart, R. & Norris, P. 2003. Rising Tide: Gender Equality and Cultural Change Around the World. Cambridge: Cambridge University Press;
24. John Stuart Mill On Liberty, Batoche Books Limited, Canada, Ontario, 2001;
25. John Stuart Mill, On Liberty, Batoche Books Limited, Canada, Ontario, 2001;
26. Judith P. Hallett, Fathers and Daughters in Roman Society: Women and the Elite Family (Princeton University Press, 1984;
27. Kathleen J. Ferraro, "Policing Woman Battering," Social Problems 36, no. 1 February 1989;
28. Kelly Olson, "The Appearance of the Young Roman Girl," in Roman Dress and the Fabrics of Roman Culture University of Toronto Press, 2008;

29. Kramer, Samuel Noah (1963), The Sumerians: Their History, Culture, and Character, Chicago, Illinois: University of Chicago Press;

30. Kristina Milnor "Women in Roman Historiography," in The Cambridge Companion to the Roman Historians Cambridge University Press, 2009;

31. Laurel Sorenson, "A Woman's Unwritten Code for Success," American Bar Association Journal 69, no. 10;

32. Lauren, Caldwell, "Roman Girlhood and the Fashioning of Femininity" (Cambridge University Press, 2014;

33. Lauren, Paul Gordon (2003). The evolution of international human rights: visions seen. University of Pennsylvania Press. p. 32. ISBN 978-0-8122-1854-1;

34. Locke, John. Second Treatise of Government. pp. Sect. 2,. 1690;

35. Lockwood, Bert B. (ed.), Women's Rights: A "Human Rights Quarterly" Reader (Johns Hopkins University Press, 2006;

36. Marietta Horster, "Primary Education", in The Oxford Handbook of Social Relations in the Roman World;

37. Marina G. Okladnaya; Liliya S. Menkova, "Woman in the Diplomatic Service: History, Problems and Prospects," Law and Innovative Society 2020;

38. Mordecai Margaret Gregg. Progress: What It Means: A Study of the Evolution of Religion, Education and Woman. St. Louis, B. Herder;

39. Myers William Fenton. Woman and the Law, Including Rights and Duties of Citizenship. Albany, Aiken Book Co;

40. Namita Nimbalkar, John Locke on Personal Identity. 2011;

41. Nickel, James. "with assistance from Thomas Pogge, MBE Smith, and Leif Wenar (December 13, 2013)." Stanford Encyclopedia of Philosophy, Human Rights 2014;

42. Norris, P. 1993. `Conclusions: Comparing Legislative Recruitment.In Gender and Party Politics, eds. J. Lovenduski & P. Norris. London: Sage;

43. Peggy Cooper Davis; Carol Gilligan, "A Woman Decides: Justice O'Connor and Due Process Rights of Choice," McGeorge Law Review 32, no. 3, 2001;
44. Property Rights of Women". Umd.umich.edu. Archived from the original on 5 August 2012. Retrieved 30 August 2011;
45. Richard A. Bauman, Women and Politics in Ancient Rome Routledge, 1992;
46. Rob Picheta and Kieron Mirchandani "Only six countries have equal rights for men and women, World Bank finds". 2019;
47. Simona Bojinca, "The Woman's Rights - Historical Evolution," Annals of the Constantin;
48. Smith T. V. American Philosophy of Equality. Chicago, University of Chicago Press;
49. Sneider, Allison. "The New Suffrage History: Voting Rights in International Perspective". 2010;
50. Steve Kolbert, "Does the Woman Suffrage Amendment Protect the Voting Rights of Men?"
51. Universal Declaration of Human Rights. Preamble;
52. Waves of Feminism. Jofreeman.com. Retrieved 30 August 2023;
53. Women in Parliament: Beyond the; Numbers. Inter-Parliamentary Union;

სასამართლო გადაწყვეტილებანი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის საქმე N০ბს -463-451(კ-13), 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N3ბ/436-16. 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება;
3. Konstantin Markin v. Russia ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის გადაწვეტილება. No. 30078\06;
4. Court of Justice of the European Union, Advocate General's Opinion in Case C 167/12 CD v ST. Luxembourg, 26 September 2013;
5. Zevnik and others v. Slovenia ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება. No. 54893/18.

ინტერნეტ რესურსების გადამოწმების თარიღი : 27.02.2024.

დანართი 1

- *როგორ შეაფასებდით დღევანდელ კანონმდებლობას გენდერული თვალსაზრისით?*

  დღეს საქართველოს კანონმდებლობა მნიშვნელოვან გარანტიებს ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის მისაღწევად და კანონმდებლობის სათანადო იმპლემენტაციის პირობებში თანასწორობის მიღწევა უფრო ეფექტიანად იქნება შესაძლებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2006 წელს ოჯახში ძალადობის შესახებ მიღებული კანონი (რომელიც, წლების მანძილზე, დაიხვეწა და უფრო მნიშვნელოვანი გარანტიები გაითვალისწინა), 2010 წლის გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი (რომელიც ძირითადად დეკლარაციული ხასიათისაა, მაგრამ გამოხატავს სახელმწიფოს ნებას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით), 2012 წელს ოჯახში ძალადობის კრიმინალიზება ცალკეული მუხლის გამოყოფით სისხლის სამართლის კოდექსში, 2017 წელს სტამბოლის კონვენციის რაფიცირება და საარჩევნო კოდექსში საკანონმდებლო მოთხოვნის გაჩენა სავალდებულო გენდერული კვოტების თაობაზე. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ადვოკატირების საფუძველზე გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობები და ცალკეული სხვა დანაშაულები დამამძიმებელ გარემოებად არის გამოყოფილი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში (109, 115 და 117). ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილება ასევე 2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში გაჩენილი ჩანაწერია (მე-11 მუხლი), რომელიც არსებითი თანასწორობის მოდელს ამკვიდრებს.

- **რა ხარვეზებს ხედავთ შრომის კანონმდებლობაში ? ირღვევა თუ არა გენდერული თანასწორობა ხშირ შემთხვევაში, კონკრეტულად ამ სფეროში და რა ბერკეტები გესახებათ კერძო კომპანიების მიერ, ქალებისათის არასამარლიანი დეკრეტული შვებულების დასარეგულირებლად ისე რომ თან არ დაირღვეს თავისუფალი ბაზრის პრინციპები?**

გენდერული თანასწორობის კუთხით, სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილას, განსაკუთრებით კერძო კომპანიებში, კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. კანონმდებლობა და პრაქტიკა უშვებს შესაძლებლობას, რომ ქალებს, რომლებიც სექსუალურ შევიწროებაზე საჯაროდ საუბრობენ და ამისთვის სათანადო ფაქტობრივი გარემოებები აქვთ, „პატივის და ღირსების შელახვის“ საფუძვლით შევიწროების ჩამდენმა სასამართლოში უჩივლოს და ეს პროცესი მოსამართლემ მის სასარგებლოდ გადაწყვიტოს. კანონმდებლობის ამგვარი გამოყენება შევიწროების მსხვერპლი ქალების გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ, უკიდურესად დამაზიანებელია გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით შრომით ურთიერთოებებში და აიძულებს მსხვერპლებს მოითმინონ ძალადობა. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ბოლო პერიოდში საჯარო უწყებებმა შეიმუშავეს სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების შიდა მექანიზმები, რაც მნიშნველოვანი დადებითი ნაბიჯია, თუმცა, ამ მექანიზმების ამოქმედება და ეფექტიანობა დამოკიდებული იქნება საჯარო უწყებების შიდა პოლიტიკაზე. რაც შეეხება კითხვის დანარჩენ ნაწილებს - თავისუფალი ბაზარი აბსოლუტურ დერეგულაციას არ გულისხმობს და დეკრეტული შვებულებით სარგებლობა (ისევე, როგორც ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვა), არ ეწინააღმდეგება ბაზრის

თავისუფლების პრინციპს და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ძირითად ვალდებულებას (minimum core obligation).

- **უახლოეს მომავალში, რა კონკრეტული ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას გენდერული თანასწორობის უკეთ მისაღწევად, საკანონმდებლო კუთხით?**

საკანონმდებლო კუთხით საქართველომ მნიშვნლოვანი პროგრესს მიაღწია გასულ წლებში. გამოწვევები ძირითადად კანონმდბელობის იმპლემენტაციის კუთხით აღინიშნება. თუმცა, კამნონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად გაუპატიურების დეფინიცია რჩება, რომელიც დღესდღეობით არ ეფუძნება მსხვერპლის თანხმობის არარსებობას (ხერხებად ითვალისწინებს ძალადობას, ძალადობის მუქარას და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებას). ამით კანონმდებლობა არღვევს სტამბოლის კონვენციასა და სხვა სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტებს და გაუპატიურების სხვადასხვა ფორმის დაუსჯელობას იწვევს. კიდევ ერთი მნიშვნლოვანი ხარვეზი, რომელიც გრევიოს მიერ საქართველოს 2022 წლის ნოემბრის შეფასებაში გამოვლინდა არის ადევნების მუხლის არასათანადო დეფინიცია. ქმედების ადევნებად კვალიფიკაციისთვის მსხვერპლის მიერ ცხოვრების წესის ცვლილება ან ასეთი ცვლილებების რეალური საჭიროება არ უნდა იყოს მოთხოვნა.[183]

[183] საკანონმდებლო საკითხების უკეთ კვლევის მიზნით, ახლანდელი მდგომარეობის, ხარვეზების და კონკრეტული ნაბიჯების შესახებ,განხორციელდა ესექსის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის, ქალთა უფლებადამცველის, იურისტის, თამარ დეკანოსიძის ინტერვიურება.
ინტერვიუ შედგა, 2023 წლის 14 მარტს.

დანართი 2

- **შეკითხვა: სავალდებულო გენდერული კვოტირება არის, დროებითი ხასიათის ღონისძიება. კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, რა კრიტერიუმებით, ინდიკატორებით მოხდება იმის განსაზღვრა, რომ მიღებულმა მექანიზმმა, ნამდვილად იმუშავა?**

  პასუხი: სავალდებულო გენდერული კვოტირება დადებითად აისახა ქალთა რაოდენობაზე პარლამენტში და საკრებულოებში. განსაკუთრებით თვითმმართველობის არჩევნებზე ქალების რაოდენობა (მკაფიოდ რეგიონებში) საგრძნობლად გაიზარდა.

  რაც შეეხება ინდიკატორს, სხვადასხვა ქვეყვების მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, კვოტირება მოტივაციას აძლევს პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მოიძიონ მეტი ქალი და წარმოადგინონ საარჩევნო სიებში. მეტი წარმატებული ქალის მაგალითი კი სხვა ქალებს უბიძგებს გააქტიურდნენ პოლიტიკურად და არ შეიკავონ თავი გახდნენ არჩეული (მაჟორიტარი დეპუტატები, მერები და ა.შ)

  სავალდებულო კვოტირების ვადის გასვლის შემდეგ, არსებობს მოლოდინი, რომ პოლიტიკური ორგანიზაციები ბუნებრივად ეცდებიან ქალების გააქტიურებას და ის ქალები, რომლებიც უკვე იქნებიან არჩეულები, თავად გახდებიან მოტივაციის მიმცემი სხვა ქალებისთვის, რომლებიც ამათუ იმ მიზეზით (ძირითად შემთხვევაში სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო) თავს იკავებენ პოლიტიკისგან.

- **შეკითხვა: გენდერული კვოტირება 2032 წლამდეა განსაზღვრული. იმ შემთხვევაში, თუკი ამ დროისთვის შედეგი არ იქნა მიღწეული არის თუ არა შესაძლებელი მისი გახანგრძლივება და მაგალითად, როგორც პოლონეთში, განუსაზღვრელი ვადით მისი მოქმედების შესაძლებლობა?**

  პასუხი: ამაზე წინასწარ საუბარი არ არის მარტივი, გამომდინარე იქიდან, რომ გადაწყვეტილებას კვოტირების კანონის ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, იღებს საქართველოს პარლამენტი.

  ჩვენს გვაქვს გამოცდილება, რომ კვოტირების კანონს პარლამენტმა პირველ ჯერზე მხარი არ დაუჭირა.

- **შეკითხვა: რა გენდერული პოლიტიკა ტარდება შიდაპარტიულ დონეზე?**

  პასუხი: პარტიულ სტრუქტურასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებებს იღებს პარტიის პოლიტიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არაერთი ქალია.

  რაიონული პარტიული თავმჯდომარეების პოზიციებს ასევე იკავებენ ქალებიც.

  რაც შეეხება კონკრეტულ გენდერულ პოლიტიკას, შიდა პარტიულ დონეზე მკვეთრად გამოხატული არ არის.

  საბოლოო ჯამში, გენდერული კვოტირება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქალი კანდიდატებისათვის რომლებიც ზოგადი დაკვირვებით გამორჩეულნი არიან იდეოლოგიური მდგრადობით და პარტიული ერთგულებით. ასევე ყველასთვის ცნობილი ფაქტია, მათი უნარი აწარმოონ მოლაპარაკებები და მიაღწიონ შედეგს, უაღრესად კულტურული და დიპლომატიური გზით. ქალების წარმომადგენლობის ზრდა საკანონმდებლო ორგანოში და არამხოლოდ, გარდა ქალთა და ბავშვთა უფლებების უკეთ დაცვისა, ხელს უწყობს ქვეყანაში განათლების, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის

მიმართულებით უკეთესი კანონმდებლობის შემუშავებასმ ვინაიდან ზუსტად ქალმა უკეთ იცის და იცნობს ამ სფეროს საჭიროებებს.

ამრიგად, აღნიშნული საკითხის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსოფლიო გამოცდილება, ანათლად წარმოაჩენს ქალების პოლიტიკაში მაღალი წარმომადგენლობის დადებით მხარეს მშვიდობის უზრუნველყოფისა და კონფლიქტების დარეგულირების სფეროში. ეს უკანასკნელი, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტური ვითარების გათვალისწინებით ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. დღემდე ძალიან ძნელია იპოვო კონკრეტული პარტიული სტრატეგია გენდერულ პოლიტიკასთან მიმართებაში და ამას ინტერვიუც ადასტურებს.[184]

[184] საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, ვესაუბრე თინათინ ნიბლოშვილს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს და გენდერული კომიტეტის თავმჯდომარეს.
ინტერვიუ შედგა, 2023 წლის 18 აპრილს.